# ალია

სამი მოთხოვნა, რის გამოც მარჯვენასაჭიანი მანქანების მძღოლები აქციებს იწყებენ



3


N9 /3325/ 21 იანვარი 2016 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE


## კახა კუკავა: „მოვემზადოთ ივანიშვილის ხელისუფლების დემონტაჟისა და გასამართლებისთვის“

რის თქმას აპირებს არასაპარლამენტო ოპოზიცია ევროსაბჭოში?



11

## მამუკა არეშიძე: „ეს სქემა არ არის ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმებული...“

რამ გააღიზიანა ექსპრემიერი და რა ხდება „ოცნების“ კულუარებში?

4

# ახალი დანიშვნები შსს-ში

ვინ ვისი კადრია და რა სკანდალები უკავშირდება ახალ ჩინოსნებს



6

სანქტერესო ამბები... სანქტერესო ამბები... სანქტერესო ამბები...

### ეჭვიანმა ქმარმა ცოლი აიძულა, ქუჩაში შიშველი ევლო



14

### ტაივანში ფეხსაცმლის ფორმის ეკლესია ააგეს



15

### ამერიკელი მეცნიერი მიიჩნევს, რომ საეკლესიო საკმეველი კიბოს მკურნალია



14

### ბრიტანეთის კონტრდაზვერვის სამსახური ყველაზე კარგი დამსაქმებელი ორგანოა... გეებისთვის



15

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ბაღების სააგენტო: თუ ბავშვი გაციებულია, სურდო, ან ტემპერატურა აქვს, ბაღში არ დაიშვება



5

რა გაიხსენა დავით პოპოვმა „მაესტროსთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში



5

100-ქულიანი საჯარიმო სისტემა, სავარაუდოდ, შეიცვლება




2

სასწრაფო დახმარების სამსახური საგანგებო მუშაობის რეჟიმზე გადადის



13

საქართველოში მალე ამერიკული ტანკები შემოვა



2

## „დაიოშ“, „გაგჟიმონ“, „ბლიად“ — რას ასწავლიან არასრულწლოვნებს ქართულ სკოლებში


დაიოშ! მერე აბხაზებმა რომ დაგიჭირონ და გაგჟიმონ?
– რათ უნდა დამიჭირონ.
– როგორ რათ, ქართველი ხარ?
– ხო, მერე?
– მერე მაგათ ქართველები არ ევასებათ.
– რა ეცოდინებათ, რო ქართველი ვარ.

ქართული ენა და ლიტერატურა
IX კლასის სახელმძღვანელო
მიენიჭა 2012 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ (ბრძანება №375; 18.05.2012)
შემდგენლები: ვახტანგ როდონაია (ჯგუფის ხელმძღვანელი), ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი


– დაიოშ! მერე აბხაზებმა რომ დაგიჭირონ და გაგჟიმონ?

– რათ უნდა დამიჭირონ?

– როგორ რათ? ქართველი ხომ ხარ?

– ხო, მერე?

– მერე მაგათ ქართველები არ ევასებათ, – ეს ამონარიდია ქართული ენისა და ლიტერატურის მე-9 კლასის წიგნიდან, რომელსაც გრიფი განათლების სამინისტრომ 2012 წელს მიანიჭა. წიგნი ვახტანგ როდონაიას ხელმძღვანელობით არის გამოცემული და სწავლება დღესაც მიმდინარეობს.

ამავე წიგნში კიდევ ერთ ტექსტს შეხვდებით:

– გადავწყვიტე გოშკა მენახა, იმან ყველაფერი იცოდა, ალბათ, ისიც ტყვარჩელში რომ უნდა ჩავსულიყავი.

– ნუ ბლიად, – მითხრა გოშკამ...

ამ ყველაფრის ნახვის შემდეგ განათლების სამინისტროს დავუკავშირდით და სკოლაში მსგავსი ტექსტების სწავლის მიზანშეწონილობაზე ვკითხეთ.

ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, განათლების სამინისტროში გვითხრეს, რომ ეს ტექსტი ნამდვილად არსებობს და რატომ მოხდა ეს კონკრეტული მასალა სასწავლო წიგნში, მათთვის უცნობია.

კითხვაზე, რა კრიტერიუმებით ხდება სასწავლო-საგანმანათლებლო წიგნებისთვის გრიფის მინიჭება, უწყების პრესსამსახურში გვითხრეს, რომ გრიფის მინიჭების წესები ახალია და ამ დროისთვის დადგენილი არ არის. უწყების პრესსამსახურის ხელმძღვანელის ნატა ასათიანის თქმით, საკითხს აუცილებლად შეისწავლის შესაბამისი სამმართველო და ინფორმაციას უახლოეს დღეებში მოგვაწვდიან.

– სამწუხაროდ, ეს ტექსტები ნამდვილად არის სასწავლო წიგნში, დეტალებს სამმართველოს შესაბამის უწყებებთან დავაზუსტებ და მოგაწვდით ინფორმაციას, – განაცხადა ნატა ასათიანმა. (argumenti.ge)

## 100-ქულიანი საჯარიმო სისტემა, სავარაუდოდ, შეიცვლება




– 100-ქულიანი საჯარიმო სისტემა, სავარაუდოდ, შეიცვლება, – ამის შესახებ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე აცხადებს. მისი თქმით, მთავრობა და დეპუტატები ფიქრობენ, რომ 100-ქულიანი სისტემის წესი შემოღებული უნდა იქნას და ეს არ შეიცვლება, რადგან მისივე თქმით, „პრინციპი ემსახურება იმას, რომ წესრიგი იქნას დაცული. ვიღაცამ კი ამისთვის თავის არიდება ჯარიმის, ანუ ფულის გადახდით არ უნდა შეძლოს“. თუმცა, როგორც ხმალაძე ამბობს, შეიცვლება ის პრინციპი, რომ 100-ქულიანი ლიმიტის ამოწურვის შემდეგ პირს მართვის უფლება ჩამოერთმევა და ამ უფლების მოპოვება მხოლოდ 2 თვის შემდეგ, გამოცდის თავიდან ჩაბარების საფუძველზე ექნება.

– თუკი 100 საჯარიმო ქულა დაგროვდა, პირს მართვის უფლება უფრო ხანგრძლივი ვადით – 4-5-6 თვით უნდა შეუჩერდეს და არა ჩამოერთვას. ხოლო, თუ ამ პირს უნდა, მართვის უფლება უფრო ადრე მოიპოვოს, მაშინ გავიდეს, გამოცდა ჩააბაროს და დაადასტუროს, რომ მან მანქანის მართვაც იცის, მოძრაობის წესებიც იცის და მაშინ მას მართვის უფლება გამოცდის ჩაბარებისთანავე აღუდგება, მაგრამ თუკი მას გამოცდაზე გასვლა არ სურს, მაშინ ის რამდენიმე თვის განმავლობაში მანქანას ვერ ატარებს, შემდგომ კი გამოცდის ჩაუბარებლად მანქანის მართვას ხელახლა შეძლებს, – ამბობს ხმალაძე.

ამას კი იმით ხსნის, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის გამოცდის ჩაბარება დისკომფორტის შემქმნელია და ამით ესეც იქნება თავიდან აცილებული.

გარდა ამისა, ხმალაძე ამბობს, რომ გადაიხედება ცალკეული დარღვევისთვის პროექტით განსაზღვრული ქულები. თუმცა, ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებს და ამბობს, რომ საკომიტეტო განხილვებისას შეჯერდებიან, რა დარღვევა რამდენი ქულით შეფასდეს.

მთავრობის ინიციატივის განხილვას პარლამენტი მიმდინარე კვირიდან დაიწყებს. (ghn.ge)

## იაშვილის კლინიკის მონაცემებით, H1N1-ის სიმპტომებით მიმართვიანობამ იმატა



იაშვილის სახელობის ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს მონაცემებით, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ვირუსული ინფექციებით მიმართვის რაოდენობამ იმატა. კლინიკის ინფორმაციით, შემთხვევების მატება დაიწყო დეკემბრის ბოლოს-იანვრის დასაწყისიდან. მომდევნო 4-5 კვირის განმავლობაში მიმართვიანობა, სავარაუდოდ, კიდევ მოიმატებს.

ექიმები ყურადღების გამახვილების რეკომენდაციას აძლევენ იმ მშობლებს, რომელთა ბავშვები რისკის ჯგუფებში მყოფებად მოიაზრებიან. მათ შორის, დღენაკლულები, ასევე, მცირე მასის მქონე ჩვილები.

– მივმართავთ მშობლებს, თუ თქვენს შვილს მწვავედ განუვითარდა შემდგომი კლინიკური სიმპტომები: ცხელება 38 გრადუსზე მეტი და ერთი ან მეტი ჩამოთვლილთაგან: ხველა, ყელის ტკივილი, თავის ტკივილი, რინორეა/ცხვირის გაჭედვა, ღებინება/დიარეა, ქოშინი ან სუნთქვის უკმარისობა, ხოლო ჩვილ ბავშვებში – თუ ძუძუს წოვის შეუძლებლობას შეამჩნევთ დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს, – აღნიშნავენ იაშვილის კლინიკაში. (ნიუპოსტი)

## 8 თვეში ჩვენ ყველანი ერთად გადავირჩევთ ივანიშვილის რეჟიმს — გიგა ბოკერია



– 8 თვეში ჩვენ ყველანი ერთად გადავირჩევთ ივანიშვილის რეჟიმს, ეს აუცილებლად მოხდება და შემდეგი მთავრობა – ჩვენ, ამ ანტიკრიზისულ გეგმას აუცილებლად გავახორციელებთ, რათა ჩვენი ქვეყანა კრიზისიდან გამოვიდეს, – აცხადებს გიგა ბოკერია.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები ახლოვდება, მაინც მნიშვნელოვანია, ცვლილებები მოხდეს ამ 8 თვის განმავლობაშიც.

– ამ 8 თვის განმავლობაშიც მნიშვნელოვანია, პენსიონერებს პენსია 50 ლარით გაეზარდოთ (შემცირდეს ბიუროკრატიული ხარჯები და ამის ფონზე გაიზარდოს პენსია), ლარი კიდევ უფრო არ გაუფასურდეს, ბიზნესსა და ჩვეულებრივ ადამიანებს შეუმსუბუქდეთ ტვირთი მოგების გადასახადის გაუქმებით. მიუხედავად იმისა, რომ ახალი პრემიერის პირობებშიც კი ოპტიმიზმის დიდი საფუძველი არ გვაქვს, მაინც ვალდებულები ვართ, ყველაფერი ვცადოთ, – განაცხადა ბოკერიამ. (ნიუპოსტი)

## ეკონომიკური პროგრამა „გირჩმაც“ წარადგინა




„გირჩი“-ს შეფასებით „დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენმა ეკონომიკამ დაკარგა ბევრი წელი და ათობით მილიარდი, მაშინ როცა სხვა ქვეყნები ვითარდებოდნენ. საქართველოს აქვს ერთადერთი არჩევანი – გადავდგათ თამამი ნაბიჯები და სწრაფად წავიდეთ წინ.

საქართველოს ეკონომიკას დღეს სჭირდება:

1. გადასახადების შემცირება – მეტი ფული დასახარჯად მოქალაქეებს, ნაკლები ფული მთავრობას გასაფლანგად! უნდა გაუქმდეს: მოგების გადასახადი; საშემოსავლო გადასახადი; ქონების გადასახადი; იმპორტზე გადასახადი; დაშვებული უნდა იქნას თავისუფალი სავალუტო რეჟიმი. ბიუჯეტი შემცირდება 7 931 411 683 ლარამდე, რაც სავსებით საკმარისია მთავრობის ფუნქციონირებისთვის. საქართველო უნდა იქცეს საუკეთესო ადგილად ბიზნესის საკეთებლად მსოფლიოში!

2. მთავრობის შეკვეცა და უფლებამოსილებების შეზღუდვა – გაბერილი სახელმწიფო ბიუროკრატია, რომელიც გამოიყენება საარჩევნო მიზნებისთვის, უნდა შემცირდეს და ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს პოლიტიკური პარტიების მიერ ძალაუფლების შენარჩუნების წყურვილისთვის ჩვენი შვილების მომავალი კეთილდღეობის შეწირვა! უნდა აიკრძალოს: ახალი სახელმწიფო ვალის აღება; დეფიციტური ბიუჯეტის მიღება; ქონების 1 ლარად გაჩუქება; მთავრობის ხარჯები, მათ შორის სახელფასო ხარჯი, არ შეიძლება გაიზარდოს ეკონომიკის ზრდის ტემპის ნახევარზე მეტად; საქართველოს მთავრობის შენახვა ხალხს და ბიზნესს არ უნდა უჯდებოდეს ძვირი!

3. სიმდიდრის სამართლიანი გადანაწილება ყველა მოქალაქეზე – დაუშვებელია ღარიბ ქვეყანაში სახელმწიფო ფლობდეს უამრავ ქონებას, რომელიც არ ხმარდება მოქალქეების კეთილდღეობას! მიწები, რომელთაც ჰყავს ტრადიციული მესაკუთრე უნდა დაურეგისტრირდეს მფლობელებს; უნდა მოხდეს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაცია; პრივატიზაციიდან მიღებული თანხები პროპორციულად უნდა გადანაწილდეს საქართველოს თითოეულ მოქალაქეზე; მიწის მესაკუთრე ამავდროულად უნდა გახდეს ამ მიწაში არსებული ნებისმიერი რესურსის მესაკუთრე (ე.წ. ანგლო-საქსური მოდელი)

ყველა რესურსი რომელიც არსებობს ქვეყანაში უნდა იყოს კერძო მფლობელობაში და შესაბამისად ჩართული უნდა იყოს ეკონომიკურ აქტივობაში!

4. დახმარებების ზრდა – თანადგომა გაჭირვებული ოჯახებისთვის. შეძლებული მოქალაქეები უნდა ეხმარებოდნენ გაჭირვებულებს და არა პირიქით! უნდა დავეხმაროთ: ოჯახს და არა ინდივიდს; გაჭირვებულებს და არა ყველას; უნდა დავეხმაროთ ფულით და არა სახელმწიფო სერვისებით (ფინური მოდელი).

დღეს სოციალურ დახმარებებზე იხარჯება დაახლოებით 4 500 000 000 ლარი, მაგრამ მაინც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს 432 622 მოქალაქე, იმიტომ რომ ეს დახმარება ყველაზე ნაწილდება ერთნაირად, მდიდარზეც და ღარიბზეც. აუცილებელია, ამ სისტემის შეცვლა და თანხების გაჭირვებული მოსახლეობისაკენ მიმართვა. შეძლებული ოჯახი მიიღებს სარგებელს იმით რომ მათი შრომა და შემოსავალი არ დაიბეგრება. საშუალო ფენა მიიღებს დახმარებას სახელმწიფოსგან იმისთვის რომ არ ჰქონდეს ჯანმრთელობის პრობლემების შიში. ღარიბი ოჯახები მიიღებენ ყველაზე მეტ დახმარებას“. – აღნიშნულია პროგრამაში. (newpost.ge)

## საქართველოში მალე ამერიკული ტანკები შემოვა



მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე საბრძოლო მანქანა „აბრამსი“ საქართველოში პოლიგონებზე მალე გამოჩნდება, რომლის წარმოება ამერიკაში 1978 წელს დაიწყეს და მას შემდეგ ის ქვეყნის ძირითად საბრძოლო ტექნიკას წარმოადგენს.

ამერიკული ტანკების საქართველოში გამოჩენა თავდაცვის მინისტრმა დააანონსა.

– საქართველოს მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყანა მივიყვანოთ კონდიციამდე, რომ ნებისმიერ ხელისუფალს ორჯერ დაფიქრება მოუწიოს, სანამ არასწორ გადაწყვეტილებას მიიღებს ჩვენთან დაკავშირებით, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

ხიდაშელი ღიად საუბრობს იმაზე, რომ სამხედრო ტექნიკის გარდა, მთავარი მოკავშირისგან ოფიციალური თბილისი სხვა დახმარებასაც იღებს. ცნობილი ხდება, რომ ავღანეთიდან საქართველოში ამერიკულმა სარდლობამ 70 ტონა სამხედრო ტვირთი გამოაგზავნა და თბილისი-ქაბულის გავლით ვაშინგტონისგან დამატებით ტვირთს ელოდება. (accent.com.ge)

## სკანდალი ჩვილ ბავშვთა სახლში — რა გახდა 2 წლის ბავშვის გარდაცვალების მიზეზი



რა გახდა 2 წლის ბენეფიციარის გარდაცვალების მიზეზი და დადგება თუ არა დაწესებულების თანამშრომელთა პასუხისმგებლობის საკითხი – ეს ის კითხვებია, რომელთაც გამოძიებამ უნდა გასცეს პასუხი.

საქმე ეხება 28 ნოემბერს ნუცუბიძის ქუჩაზე, ჩვილ ბავშვთა სახლში, მცირეწლოვნის გარდაცვალების ფაქტს.

ცნობილია, რომ გარდაცვლილი გონებრივი განვითარებით ჩამორჩებოდა და სასუნთქი გზების პრობლემა ჰქონდა. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გარდაცვალების ღამეს ბავშვს სუნთქვა გაუჭირდა და მედპერსონალის დახმარება დასჭირდა, თუმცა მასთან არავინ აღმოჩნდა.

გავრცელებული ინფორმაციით, არსებობს 15-წუთიანი შემზარავი კადრები, სადაც კარგად ჩანს, როგორ ებრძვის ბავშვი სიკვდილს...

ჩვილ ბავშვთა სახლში მომხდარ ფაქტს სახალხო დამცველიც სწავლობს. ბავშვის გარდაცვალების შემდეგ თანამდებობა დატოვა დაწესებულების დირექტორმა დავით პავლიაშვილმა, სამსახურიდან განთავისუფლდნენ მორიგე თანამშრომლებიც.

ჩვილ ბავშვთა სახლის დირექტორის მოვალეობას ამჟამად თეა სიმონია ასრულებს, რომელიც 28 ნოემბერს მომხდარი ფაქტის შესახებ საუბრობს:

– საუბრობენ ძალიან ბევრ საკითხზე, თუმცა ბავშვის გარდაცვალების მიზეზი შეიძლება სხვა რამე იყოს. ამიტომ სანამ გამოძიება არ დასრულდება, ვინმეს ბრალეულობაზე საუბარი ნაადრევია. რაც შეეხება ვიდეოკადრებს, პირადად მე ეს კადრები ნანახი არ მაქვს. ჩემს ოთახში არის ის მონიტორი დამონტაჟებული, საიდანაც ჯგუფებში დამონტაჟებული კამერები კონტროლდება. მე გადახვევის რეჟიმთან წვდომა არ მაქვს. შესაბამისად, ეს კადრები ნანახი არ მაქვს, – აცხადებს თეა სიმონია.

მისი განცხადებით, ადგილზე სასწრაფო სამედიცინო დახმარებაც იქნა გამოძახებული.

– ვერ გეტყვით, ზუსტად რომელ საათზე მოვიდა სასწრაფო. როგორც წესი, ისინი არასდროს იგვიანებენ ჩვენი პროფილის გათვალისწინებით. ვინაიდან მძიმე დაავადების მქონე ბავშვებთან გვაქვს შეხება, ხშირად გვიწევს მათი გამოძახება და არ ყოფილა შემთხვევა, რომ მათ დაეგვიანებინათ, – აცხადებს სიმონია.

მისი თქმით, ბავშვის გარდაცვალების საკითხზე, ბენეფიციარის მშობლებს პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

შს სამინისტროს ინფორმაციით, ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. დანიშნულია რამდენიმე ექსპერტიზა, რაც გარდაცვალების მიზეზს დაადგენს. (ნიუპოსტი)

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



## სამი მოთხოვნა, რის გამოც მარჯვენასაჭიანი მანქანების მძღოლები აქციებს იწყებენ



დღეს პარლამენტის შენობასთან 12.30 საათზე მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მფლობელები, „ეკო ტრანსპორტ ცენტრი“ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები საპროტესტო აქციას გამართავენ. ისინი შსს-ს კანონპროექტს გააპროტესტებენ, რომლის განხილვა საკანონმდებლო ორგანოში იგეგმება. აქციის ორგანიზატორებს 3 ძირითადი მოთხოვნა აქვთ. 1. შსს-ს მიერ შემუშავებული კანონპროექტიდან მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვის ამოღება. 2. ავტომობილების განბაჟების სისტემის შეცვლა, 2009 და 2014 წელს ზემოთ ავტომობილების განბაჟების საფასურის ძველ მარჟაზე დატოვება, ან მინიმალურად გაძვირება (ავტომობილის მოტორის 1 კუბატურის განბაჟების გაძვირება, მაქსიმუმ, 10-20 თეთრით). 3. მართვის მოწმობებზე ქულათა ამორიცხვის მეთოდის დანერგვაზე უარის თქმა, ვიდრე არ ჩატარდება სათანადო კვლევები და დეტალურად არ იქნება ეს საკითხი შესწავლილი. ეს უკვე მერამდენე აქცია იმართება ამ მოთხოვნებით, მაგრამ ხელისუფლებას ფეხებზე ჰკიდია ხალხის მოთხოვნები. შსს-ს კანონპროექტის კანონად ქცევასა და მის ამოქმედებას ხელისუფლება 1-ლი მარტიდან აპირებდა. შემდეგ, თითქოს გადაწყდა, რომ კანონპროექტის მიღება-ამოქმედება 1-ელ მარტს აღარ მოხდებოდა. თუმცა, ამის შემდეგ, ახალმა პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ მარჯვენასაჭიან ავტომობილებთან დაკავშირებით, ხელისუფლება უკან ერთი ნაბიჯით დახევას არ აპირებს. სავარაუდოდ, ეს სიგნალი იყო პარლამენტისთვის, რათა აღარ გადაედოთ შსს-ს კანონპროექტის განხილვა. ამით კი ისედაც ჯოჯოხეთად ქცეულ ყოფას, ხალხს კიდევ უუარესებს. იმ ადამიანებს, ვისაც მარჯვენასაჭიანი ავტომობილები ჰყავთ, უფლებას ართმევს, იაფფასიანი და ხარისხიანი ავტომობილებით იარონ. ასეთი მანქანების პატრონების უმრავლესობა ტაქსაობს და ათასობით ოჯახისთვის ეს ერთადერთი შემოსავალია. აი, ამ ათასობით ოჯახს კი ლუკმაპურს ართმევს ხელისუფლება, მათი ბედი საერთოდ არ ადარდებს. ხალხი ისედაც უმუშევარია და ამ თვითდასაქმებულ ტაქსისტებსაც უმუშევრად ტოვებს. თავად აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები სწორედ ამ ადამიანებისა და სხვათა მიერ გადახდილი გადასახადებით დადიან საუკეთესო მარკისა და ახალთახალი ავტომობილებით, ამ ხალხმა კი, ვინც მათ ეს და სხვა მრავალი სახის კომფორტი შეუქმნა, იაფფასიანი მანქანითაც არ უნდა იაროს, მათი ოჯახები შიმშილით უნდა ამოწყდნენ.ამ მართლა უუნარო და უსუსურ ხელისუფლებას თბილისში საცობების პრობლემა ვერ გადაუჭრია. აი, ეს არის რეალური მიზეზი მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვისაც და ძველი ავტომობილების შემოყვანის განბაჟების კატასტროფულად გაძვირებისაც. ხელისუფლება იმისაა, ერთი პრობლემა ისე მოაგვაროს, რომ მეორე არ გააჩინოს. ხელისუფლება, რომელსაც 3 წელია, თბილისში საცობების პრობლემა ვერ მოუგვარებია, უნდა ადგეს და წავიდეს.

დღევანდელი აქციის თანაორგანიზატორი არასამთავრობო ორგანიზაცია „ტრანსპორტისა და გზების ასოციაციაა“. „ალიას“ მისი თავმჯდომარე, **დავით მესხიშვილი** ესაუბრება:

– დავიწყებ მართვის მოწმობიდან, 100-ქულიანი სისტემის ინიციატივით. ეს საკითხი გადასახედი და შესასწავლია. ამის ასე ნაჩქარევად შემოღება არ შეიძლება. მით უფრო, როცა მართვის მოწმობაზეა ათასობით ადამიანი დამოკიდებული, მძღოლები თავიანთი პროფესიით არჩენენ იჯახებს და რამდენიმე დარღვევის გამო რომ მათ მოწმობა ჩამოართვა და უმუშევარი დატოვო, ძალიან არაგონივრული მიდგომაა. რატომ გამორჩა ეს ხალხი ხელისუფლებას, არ ვიცი. ახლა იმაზეა ლაპარაკი, რომ ნასვამი მძღოლი 700 ლარს გადაიხდის და მართვის მოწმობას აღარ ჩამოართმევენ. ეს არის დანაშაული და ამის დაკანონება არ შეიძლება. ნასვამი მძღოლი პოტენციური მკვლელია, ეს ყველამ ვიცით და როგორ შეიძლება, 700 ლარი გადაახდევინო და მართვის მოწმობა არ ჩამოართვა, ანუ ისევ დაუტოვო მანქანის მართვის უფლება? ეს არის ბიუჯეტის შევსება მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიკვდილიანობის მომატების ხარჯზე.

**— მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვაზე რას იტყვით? ხელისუფლებას, ფაქტობრივად, არანაირი არგუმენტი არ გააჩნია და მაინც თავისას მიერეკება, უნდა ავკრძალოო. ისე გამოდის, ძალა ჩემს ხელშია და რისი ხოშიც მაქვს, იმას გავაკეთებო.**

– კი, არანაირი არგუმენტი არ გააჩნია. იძახიან, მარჯვენასაჭიანებით ბევრი ავტოსაგზაო შემთხვევა ხდებაო და შესაბამისი სტატისტიკა არ წარმოუდგენიათ. მერე თქვეს, ჰაერის დაბინძურებასთან არის კავშირშიო და ეს არის ტყუილი, რადგან იაპონიიდან შემოყვანილი მარჯვენასაჭიანი ავტომობილები პირიქით, ევროპიდან შემოყვანილ მარცხენასაჭიანებზე ტექნიკურად უფრო გამართულები არიან და შესაბამისად, მათი გამონაბოლქვი ბევრად სუფთაა, ჰაერსაც მათზე ნაკლებად აბინძურებენ. ასევე, ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების წილი დიდია იმაში, რომ თბილისში საცობებიაო. თბილისში მარცხენასაჭიანი ავტომობილების რიცხვი, საერთო რაოდენობის, 95% მაინც იქნება და მოდით, ისინი ავკრძალოთ და ამით გადაიჭრება საცობების პრობლემა. ხედავთ, რამხელა აბსურდულ „არგუმენტებთან“ გვაქვს საქმე? საცობები თბილისში იმიტომ არის, რომ თბილისის მერიამ ვერ მოაგვარა ეს პრობლემა, საგზაო სამუშაოები არ ჩაატარა დროულად, არც ასფალტი დააგო იქ, სადაც საჭიროა და არც ვეებერთელა ორმოები ამოავსო ქალაქში, რომელთა რიცხვიც კატასტროფულად ბევრია. ასევე, არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი არ განუხორციელებია ხელისუფლებას, რათა ეს საცობები განეტვირთა. მოკლედ, თბილისის მერიის ხელმძღვანელობის მიერ თავმოუბმელ საქმეებს აბრალებენ მარჯვენასაჭიან ავტომობილებს.

**— 10 წლისა და უფრო ძველი ავტომობილების იმპორტის აკრძალვაც ძალიან დააზარალებს მოსახლეობას. თუკი ტექნიკურად გამართულია, რა მნიშვნელობა აქვს ასაკს?**

– რა თქმა უნდა. ეს აკრძალვა ავტომობილების გაძვირებას გამოიწვევს. სავარაუდოდ, 30%-ით, ბევრი ვერ შესწვდება შედარებით ახალ ავტომობილს, ამიტომ უმუშევარი დარჩება. ცხადია, იმ ხალხს ვგულისხმობ, ვინც ამ მოძველებული მანქანებით ტაქსაობს. ხელისუფლება თვითდასაქმებულ ადამიანებს უმუშევრად ტოვებს, ნაცვლად იმისა, რომ სამუშაო ადგილების შექმნაზე იზრუნოს. ასევე, ეს ტაქსით მგზავრობის გაძვირებას გამოიწვევს და ესეც დაბალ და საშუალო ფენებს დააწვება მხრებზე და არა ხელისუფლების წარმომადგენლებს, რადგან მათ უიშვიათესად უწევთ ტაქსით გადაადგილება და სწორედ ამ ხალხის წყალობით ჰყავთ სამსახურებრივი ავტომობილები.

**— ახლა ერთ პრობლემასაც მივადექით. თუ ძველი ავტომობილების განბაჟება გაძვირდა, ტაქსის მძღოლებისა და პოტენციური მძღოლების დიდი ნაწილი, ვინც 10 წელზე და უფრო ძველ მანქანას ვერ შემოიყვანს, ადგება და ავტოგანვადებისა და საბანკო კრედიტის მეშვეობით შეიძენს შედარებით ახალ მანქანებს. ეს ხალხი ბანკების კაბალური ხელშეკრულების მსხვერპლი ხდება. გარდა იმისა, რომ ბანკებს კრედიტები უნდა უხადონ, ყველას არ გაუმართლებს და ეს კრედიტი ვალად დაედება. ამის ბოლო მოგეხსენებათ — ამ ხალხს სახლ-კარს გაუყიდიან ბანკები. არც ამაზე დაფიქრებულა ხელისუფლება, საუბედუროდ, რადგან ხალხის ბედი საერთოდ არ ადარდებთ.**

– კი. კიდევ ერთი სოციალური ფენა გახდება ბანკებზე დამოკიდებული, გაჭირვებული ხალხის ხარჯზე ბანკების შემოსავალი გაიზრდება და ის სავალალო შედეგები, რაც თქვით, სავსებით რეალურია. გამოდის, რომ იმ სტანდარტებს, რასაც ხელისუფლება აწესებს, მხოლოდ ის ავტომობილები დააკმაყოფილებენ, თავად ხელისუფლების წარმომადგენლებს რომ ემსახურებათ და კიდევ შეძლებული ფენის მანქანები. ეს ხალხზე ზეწოლა და მათი ინტერესების უგულებელყოფა გამოდის.

**— მე ვიტყოდი, ხალხის აბუჩად აგდება და დაცინვა.**

– შეუძლებელია, არ დაგეთანხმოთ. იმის ნაცვლად, რომ თბილისის მერიამ საცობების პრობლემა მოაგვაროს, შსს ავტოსაგზაო შემთხვევების შემცირებას ებრძოლოს, სხვადასხვა სტრუქტურებმა ჰაერის დაბინძურების საკითხს რეალურად მიხედონ, ადგნენ და ყველაფერი მარჯვენასაჭიან და მოძველებულ ავტომობილებს გადააბრალეს, გაუმართლებელი აკრძალვებით აპირებენ პრობლემების გადაჭრას, ეს შედეგს ვერ გამოიღებს, მხოლოდ ხალხს გაუუარესებს ისედაც მძიმე ყოფას.

ეს აქციები კვლავაც გაგრძელდება, რადგან ხალხი ხელისუფლების ამ გაუაზრებელ ცვლილებებს არ შეეგუება. ხელისუფლებამ უნდა დათმოს, რადგან მას ამ ცვლილებების გასამართლებელი არგუმენტები არ გააჩნია, ხალხი კი რასაც ითხოვს, სამართლიანად და საფუძვლიანად ითხოვს.

> **„კიდევ ერთი სოციალური ფენა გახდება ბანკებზე დამოკიდებული, გაჭირვებული ხალხის ხარჯზე ბანკების შემოსავალი გაიზრდება და ის სავალალო შედეგები, რაც თქვით, სავსებით რეალურია. გამოდის, რომ იმ სტანდარტებს, რასაც ხელისუფლება აწესებს, მხოლოდ ის ავტომობილები დააკმაყოფილებენ, თავად ხელისუფლების წარმომადგენლებს რომ ემსახურებათ და კიდევ შეძლებული ფენის მანქანები“**

## „უდანაშაულობის პრეზუმფცია არ დარღვეულა“ — თალაკვაძის პასუხი კუჭავას ოჯახს



ბიძინა კუჭავას ოჯახის წევრებისა და ადვოკატების განცხადებებს შს მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე ეხმაურება.

მისი განცხადებით, განცხადებების გაკეთების დროს უდანაშაულობის პრეზუმფცია არ დარღვეულა.

– საზოგადოებას ვუთხარი პასუხი შეკითხვებზე, რომელიც დაისვა ჩვენ მიმართ. უდანაშაულობის პრეზუმფცია არ დარღვეულა. უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის ვალდებულება ბრალდების მხარეს არ აქვს, მისი ვალდებულებაა, ამტკიცოს ბრალეულობა, – განაცხადა თალაკვაძემ.

იგი, ასევე, უსაფუძვლო ჭორს უწოდებს ადვოკატების განცხადებას, რომ მათ დავით პოპოვი შსს-მ და სუს-მა მიუგზავნა.

– უსაფუძვლო ჭორია. ამის დადასტურება არ შემიძლია, – განაცხადა თალაკვაძემ.

შეგახსენებთ, პროკურორის მკვლელობაში ბრალდებული ბიძინა კუჭავას ოჯახმა შს მინისტრის მოადგილე უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაში დაადანაშაულა. (ნიუპოსტი)

## კახა ბენდუქიძის მემკვიდრე ანასტასია გონჩაროვაა



მოსკოვში, სასამართლომ 25 წლის ანასტასია გონჩაროვა კახა ბენდუქიძის ბიოლოგიურ შვილად აღიარა და მემკვიდრედაც სწორედ გონჩაროვა ცნო. რუსული მედიის ინფორმაციით, ანასტასია გონჩაროვა კახა ბენდუქიძის ქონების ნაწილის მფლობელი გახდება.

გონჩაროვამ ტელეკომპანია **ДОЖДЬ**-ის ეთერში განაცხადა, რომ ამიერიდან ანასტასია ბენდუქიძე-გონჩაროვა იქნება.

შეგახსენებთ, რომ კახა ბენდუქიძის გარდაცვალების შემდეგ დავა სასამართლოში გაგრძელდა. ბენდუქიძის ოჯახის წევრები ანასტასია გონჩაროვას მემკვიდრედ არ აღიარებდნენ. სასამართლო პროცესები რუსეთსა და საქართველოში მიმდინარეობდა.

2015 წლის დეკემბერში მოსკოვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიურომ დასკვნა გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, ბენდუქიძისა და გონჩაროვას დნმ-ის ანალიზი 99,9996 პროცენტით დაემთხვა. ანალიზის შედეგების საფუძველზე თბილისის სასამართლომ გონჩაროვა კახა ბენდუქიძის შვილად აღიარა. (რეპორტიორი)

## პოპოვი კუჭავას ადვოკატთან შეხვედრას ფარული კამერით იწერდა



ბიძინა კუჭავას ადვოკატი ნათია კორკოტაძე დავით პოპოვს შეხვდა. გამოძიების ვერსიით, სწორედ პოპოვის მანქანაში მოიკლა თავი „საქართველოს ხმის“ დამფუძნებელმა ბიძინა კუჭავამ.

შეხვედრა ადვოკატ ნათია კორკოტაძესა და დავით პოპოვს შორის დილომში პოპოვის ინიციატივით გაიმართა.

შეხვედრის დროს დავით პოპოვმა ტერიტორია მოულოდნელად დატოვა. მას ჟურნალისტებთან კომენტარი არ გაუკეთებია და აგრესიით გამოირჩეოდა. კუჭავას ადვოკატის განცხადებით, შეხვედრაზე მისული დავით პოპოვი შეხვედრას ფარულად იღებდა.

ნათია კორკოტაძის თქმით, მას ტანსაცმელზე მიმაგრებული ჰქონდა ფარული კამერა, რომელიც შეამჩნიეს და სწორედ ამის შემდეგ მიიღო პოპოვმა წასვლის გადაწყვეტილება. ადვოკატი ვარაუდობს, რომ პოპოვს სურდა, შეხვედრა ფარულად გადაეღო და შემდეგ კადრები, როგორც მასზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტი, პროკურატურაში წარედგინა.

თავად პოპოვმა განაცხადა, რომ ის ბიძინა კუჭავას იცნობდა და მას ის ორჯერ ჰყავდა ნანახი. (პირველი რადიო)

## „ნარიყალას მბრძანებელი“ და ბერლინის კედელი თბილისის ცენტრში

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა აცხადებს, რომ ჯოკია ბოდოკიას სკანდალური ჩვენება, რომელიც მერიის ყოფილი მაღალჩინოსნის დაკავებასთან ბიძინა ივანიშვილის კავშირს ეხებოდა, მიჩუმათდა. გუგავა ამბობს, რომ ამის მიზეზი არის ის, რომ ბოდოკიამ სრული სიმართლე თქვა:

– მიჩუმათების ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ ის, რომ რაც მან თქვა, ის იყო სიმართლე, ეს ყველაფერი დაკავშირებული იყო „ნარიყალას მბრძანებელთან“ – ბატონ ივანიშვილთან. ზოგადად, პროკურატურაც, სასამართლოც, სპეცსამსახურებიც ივანიშვილის ხელში გამოყენებულია პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დევნის მექანიზმად. რომელი საქმე ნახეთ თქვენ, რომელიც დაკავშირებული იყო ივანიშვილთან ან ხელისუფლების სხვა მაღალჩინოსნებთან, რომლის შესახებაც ფაქტობრივი მასალები დაიდო, ჩვენებები მისცეს და ა.შ. და გამოძიებულ იქნა. ბუნებრივია, არც ერთი. აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ მთლიანად მთელი სახელისუფლებო ვერტიკალი განსაკუთრებით ძალოვანი და სამართალდამცავი სტრუქტურები, მთლიანად ოლიგარქის გავლენის ქვეშაა და მისი დავალებების შემსრულებლად ითვლება. ბოდოკიამ რომ არ ილაპარაკოს, „პანორამა თბილისს“ უკანონოდ არ ახორციელებს? ამ არქიტექტურულ ურჩხულს, დედაქალაქის ცენტრში ბერლინის კედელს ხომ უშენებს მოქალაქეებს თავისუფლების მოედანზე? – აცხადებს გიორგი გუგავა. (პირველი რადიო)


ნინო სამხარაძე
599 71-14-22

მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი გახდა, ნაცვლად იმისა, რომ ოდიოზური მინისტრების გადაყენების საკითხი აქტიურად განხილულიყო, ყოველდღიურად. მართალია, დიდი საკადრო ცვლილებები მოხდა შს სამინისტროში, მაგრამ არის საუბარი, რომ მას შინაგან საქმეთა ახალი მინისტრის მოადგილეები მართავენ. ჯერჯერობით ამ კაცს არაფერი დაუშავებია გარდა იმისა, რომ ის მინისტრად ირაკლი ღარიბაშვილმა წარადგინა.

რაც შეეხება საპარლამენტო სიას, ის უკვე ყარს და ცვლილებები აუცილებელია. ინკოგნიტო დეპუტატი გვეუბნება, რომ საგურამოში, ჭავჭავაძეების მარანში ივანიშვილმა გვითხრა, — ჩვენ ვართ ერთი გუნდი, არ მიგატოვებთ, ბოლომდე ერთად ვიდგებით და ყველას ხელს შეგიწყობთ, თქვენი პროფილით განვითარდეთ, დაუსაქმებელს არავის დაგტოვებთო. ჩვენი წყარო ასევე აცხადებს, რომ ფრაქციაში ძალიან დიდ გაღიზიანებას იწვევს იმ ადამიანების გულზე მჯიღის რტყმა, ვინც სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლას გვამადლის: ბოლოს და ბოლოს, თუ იბრძოდი სააკაშვილის წინააღმდეგ, შენი თავისთვის იბრძოდი და არა ბიძინა ივანიშვილისთვის. და თუ შენი პრინციპების ერთგული ხარ, დარჩენილიყავი იმ პარტიასთან, ვის გამოც „დუბინკები“ გხვდებოდა. როგორც ჩანს, სოსო ჯაჭვლიანის, ლუკა კურტანიძისა და ზოგიერთების განგაში იმის თაობაზე, რომ ვეღარ მოხვდებიან პარლამენტში და ამის გამო საყვედურობენ კოლეგებს, ეს გამაღიზიანებელი ხდება და მათ ახსენებენ წარსულს, როცა იყვნენ ბურჯანაძის პარტიაში და შემდეგ, ბიძინა ივანიშვილის ბანაკში გადმობარგდნენ.

ექსპერტი **მამუკა არეშიძე** „ალიას“ კითხვებს პასუხობს:

**— ბატონო მამუკა, კვლავ აქტუალურია გიორგი მღებრიშვილის გადაყენების საკითხი, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, ვინ არის დაინტერესებული მისი მოხსნით?**

– საქართველოში ზოგჯერ ისეთი ლოგიკა მუშაობს, რომ სიტუაციას ალოგიკურს ხდის, მეორე მხრივ, შეგვიძლია, შეთქმულების პრინციპიდან გამოვიდეთ და ვთქვათ, რომ ღარიბაშვილის დროს დაწინაურებულ კადრებს იშორებენ. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ ამა თუ იმ ადამიანის კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება და მერე გადაწყვეტილება იცვლება. ამიტომ კატეგორიულად რამის თქმა, იქნება მარჩიელობა. მე ვიცი, რომ მინისტრების ცვლილებებთან დაკავშირებით ხელისუფლებაში საუბარია, თუმცა ამ მიმართულებით აქტიურად გადადგმული ნაბიჯები ჯერ არ ჩანს. რაც შეეხება გიორგი მღებრიშვილს, საუბრები ამ თემაზე არ წყდება და ალბათ, ლოგიკურ ფინალს ვნახავთ.

**— ივანიშვილი ჭავჭავაძეების მარანში ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად გამოჩნდა და თუკი ღარიბაშვილის კადრებს ებრძვიან, ივანიშვილი რატომღა ჩნდება ღარიბაშვილთან ერთად?**

– ღარიბაშვილთან ერთად გამოჩენა არის იმით განპირობებული, რომ ისინი ძალიან ახლობლები არიან, მათ 15 წლის ურთიერთობა აკავშირებთ. მეორეც, პირადად ღარიბაშვილს ქვეყნისა და ხალხის წინაშე ისეთი გადაცდომები არ აქვს, შეიძლება შეცდომები გამოუცდელობის გამო დაუშვა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მის წინაშე დამნაშავეები მისი გუნდიდან არიან ის ადამიანები, ვინც ხელი არ შეუწყო ღარიბაშვილის გუნდში დამკვიდრებას და ძალიან ბევრი პასუხისმგებლობა აჰკიდა მას. მე ვთვლი, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ საკითხს ძალიან კარგად აცნობიერებს და ამიტომ იყო მიწვეული საგურამოში. როგორც ვიცი, თუკი ღარიბაშვილი დასთანხმდება, ის იქნება საპარლამენტო სიაში, თუმცა ზოგიერთი ამ ინფორმაციას უარყოფს და ამბობს, რომ ირაკლი ღარიბაშვილი საარჩევნო სიაზე უარს იტყვის. როგორც ჩანს, ღარიბაშვილი ამ ვითარებაზე ნაწყენია, ის თვლის, რომ ივანიშვილს მისი წასვლის შესახებ გადაწყვეტილება ზოგიერთმა პოლიტიკურმა ძალამ მიაღებინა და ზოგიერთმა მისმა კოლეგამ.

**— თქვენ, ალბათ, ვიცე-პრემიერ კახი კალაძეს გულისხმობთ...**

– ...სხვათა შორის, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება საარჩევნო სიის პირველ ოცეულში. დღეს საუბარია იმაზე, თითქოს, თებერვლის ბოლოს დამთავრდება სიის შედგენა. ვერ დასრულდება, ძალიანაც რომ უნდოდეთ, რადგან ყველაფერი მოვლენების განვითარებაზე იქნება დამოკიდებული და მე ვვარაუდობ, რომ საპარლამენტო სიის შედგენა დასრულდება ივნისის ბოლოსთვის. აქვე გეტყვით ერთ მნიშვნელოვან დეტალს, გასათვალისწინებელია ევროკავშირის რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობს მანდილოსნებისთვის პარლამენტში 30%-იან კვოტას. შეიძლება ამდენი ქალბატონი ვერ აღმოჩნდეს სიაში, რადგან ქალების რესურსი პრობლემატურია, მაგრამ ქალებისთვის რიცხვი რომ უნდა გაიზარდოს, ამაზე სხვა აზრი არ არსებობს.

**— „ეროვნული ფორუმი“ აგრესიულ პოლიტიკაზე გადადის, ისინი ითხოვენ საარჩევნო სიაში კვოტების გაზრდას, თუმცა ამბობენ, „რესპუბლიკური პარტია“ რეკორდს ხსნის და გამსვლელ სიაში 25%-ს ითხოვსო. რა ინფორმაცია გაქვთ, რა ხდება კულუარებში?**

– აუცილებლად მოხდება კოალიციის გადახალისება. დიახ, „რესპუბლიკური პარტია“ საერთო რაოდენობის 25%-ს ითხოვს გამსვლელ 60-კაციან სიაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი მესამე „რესპუბლიკელი“ უნდა იყოს, ვის მოსწონს „რესპუბლიკური პარტია“ და ვის – არა, ეს ცალკე თემაა, მაგრამ ფაქტი ერთია, რომ „რესპუბლიკელები“ კოალიციას პროდასავლურ იმიჯს უნარჩუნებს, ამავე დროს „ქართული ოცნების“ ქმედებები გარკვეულ ბალანსს ქმნის დასავლეთსა და რუსეთს შორის, თუ გეოპოლიტიკურ ვითარებას გადავხედავთ და ვნახავთ, რა ხდება ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანსა და თურქეთში, კოალიციის ეს ბალანსი საქართველოში გარკვეულწილად სტაბილურ განწყობას ქმნის. კოალიციაში ასეთი პარტია უნდა იყოს, ამას აცნობიერებენ „რესპუბლიკელები“ და მოთხოვნაც შესაბამისი აქვთ. კოალიციას შეემატება ახალი სუბიექტი, ეს არის „სოციალ-დემოკრატები“ და მხოლოდ გია ჟორჟოლიანით ეს პარტია აღარ იქნება წარმოდგენილი, ესეც ბალანსისთვის ძალიან კარგი იქნება. „სოციალ-დემოკრატებს“ ევროპარლამენტში სოლიდური მდგომარეობა უკავიათ, ევროპული სოციალ-დემოკრატია, ეს არის მყარი ტრადიციების მქონე ორგანიზაცია. როგორც ჩანს, ამ პროცესს ხელს შეუწყობენ. რაც შეეხება კოალიციიდან რომელიმე სუბიექტის გასვლას, ეს მხოლოდ და მხოლოდ პარტიებზე იქნება დამოკიდებული და მათ არავინ მიუთითებს კარისკენ. კოალიციის ოთხწლიან ისტორიას ახსოვს რყევები, მაგრამ რღვევის ტენდენცია არ შეიმჩნევა, მიუხედავად იმისა, რომ შიგნით არსებობს უამრავი პრეტენზია. ფრაქცია „ქართულ ოცნებას“ სულაც არ ეხატება გულზე „რესპუბლიკური პარტია“, მაგრამ თითოეული მათგანი აცნობიერებს, რომ ქვეყანას სჭირდება დაბალანსების პოლიტიკა და სტაბილური განვითარებისთვის ეს მნიშვნელოვანია. „ნაცმოძრაობამ“ ეს ბალანსი რომ დაარღვია, ამიტომ აღმოჩნდა ეს ქვეყანა კატასტროფულ მდგომარეობაში.

**— ფრაქცია „ქართული ოცნებიდან“ ზოგიერთს რომ ჰკითხო, გიპასუხებენ, სამართლიანობისთვის ყველაზე საუკეთესო ვარიანტია, კოალიცია დაიშალოს და მაშინ გამოჩნდება, რომელ პარტიას უჭერს ხალხი მხარს და ვის რა რეიტინგი აქვს. გამარჯვების შემდეგ, თუ საჭირო გახდება, კოალიციას შევქმნითო.**

– ეს სქემა არ არის ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმებული და ის არ ფიქრობს კოალიციის დაშლაზე, თუმცა გეტყვით, რომ იყო ერთი მომენტი, როცა ივანიშვილი ძალიან გაღიზიანებული გახლდათ და იმ აზრზე იყო, რომ მარტო მიეღო „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში მონაწილეობა. ამბობდა კიდეც, თუ მარტო მივიღებთ მონაწილეობას და გავიმარჯვებთ, არავითარი კოალიციის შექმნაზე საუბარი აღარ იქნება.

**— ამასობაში სახელდება მერობის ახალი კანდიდატები — დავით საგანელიძე. გამოჩნდა პეტიცია — „ირაკლი მეძმარიაშვილი ქალაქის მერად“. როგორც ჩანს, „მცოცავი ანექსია“ ნარმანიასაც უახლოვდება, რას გვეტყვით ამ თემაზე?**

– ეს არის თითით საჩვენებელი თემა, ხან ლექვინაძე მიაშველეს, ახლა ლილუაშვილი, კანდიდატურის ძებნა ბოლომდე გრძელდებოდა, რომელიც ჩაანაცვლებდა ნარმანიას, ნარმანია კი საპარლამენტო სიაში გადაინაცვლებდა, აი, გამოჩნდა კანდიდატურა, ლილუაშვილის იქ მისვლით, არ არის გამორიცხული, არჩევნების მოახლოებასთან ერთად მისი კანდიდატურა დადგეს მერის პოსტზე და ნარმანიამ გადაინაცვლოს საპარლამენტო სიაში. ნარმანიას მუშაობით რომ კვლავ უკმაყოფილოა ივანიშვილი და მთელი გუნდი, ეს აშკარად ჩანს, გიორგი კვირიკაშვილმა აქტიურობისკენ და მეტი მუშაობისკენ მოუწოდა ნარმანიას და ესეც ბევრ რამეზე მეტყველებს.

**— ინტერპარტიული ჯგუფი ბოიკოტს უცხადებს გარდაბნის რიგგარეშე ადგილობრივ არჩევნებს გამგებლის პოსტზე, რადგან თვლიან, რომ ხელისუფლებამ არ შეცვალა საარჩევნო სისტემა, კვლავ აპირებს სპეცუბნები გამოიყენოს არჩევნებში და ამ მასკარადში ამიტომ არ მონაწილეობენ. როგორ ფიქრობთ, რას შეცვლის მათი ბოიკოტი?**

– როდესაც გარდაბანში თავის დროზე ჯარის რესურსი იყო გამოყენებული ჩემს წინააღმდეგ, როგორც „ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატის, ცენტრალურ შტაბში ერთი ამბავი იყო ატეხილი, რომ „ნაციონალების“ მხრიდან უკანონობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამ ხელისუფლებამ ისევ დატოვა ეს კანონი და ჯარის გამოყენება ამ სიტუაციაში არის სისუსტის ხაზის გასმა. ნუ დაავიწყდება „ქართულ ოცნებას“ რომ ამ მახინჯი კანონის გამო ოთხმა მაჟორიტარმა „ქართული ოცნებიდან“ წავაგეთ არჩევნები გარდაბანში, დედოფლისწყაროში, თერჯოლაში და ხონში, ზუსტად იმიტომ, რომ ჯარი დაგვიპირისპირეს და იგივეს ნუ გააკეთებენ. ჯერ არ დაწყებულა არჩევნები და ხომ ხედავთ, დაიწყო ლაპარაკი, არჩევნებს გვიყალბებენო, დაიწერება საჩივრები, იქნება აყალმაყალი. ეს იქნება რეპეტიცია ოქტომბრის არჩევნების წინ. დიდ არჩევნებზე კი ჩვენ ვნახავთ „ნაციონალების“ მხრიდან დესტრუქციულ მოქმედებას, კომპრომატების ომს. არ გამოვრიცხავ, იგივე კადრებით დაუპირისპირდნენ ხელისუფლებას, რა კადრებითაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, იმ განსხვავებით, რომ შესაძლოა, ამ კადრებში ჩვენ ვნახოთ პატიმრების წამება და არა, გაუპატიურება, მაშინ მიხვდებით, ტყუილად არ ვსაუბრობდი „მეხუთე კოლონაზე“, რომელიც ჩანერგილები ჰყავდა „ნაციონალურ მოძრაობას“, ისინი მიზანმიმართულად ემზადებიან არჩევნების დისკრედიტაციისთვის, თუმცა ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, რა მდგომარეობაში იქნება იმ დროისთვის უკრაინაში მიხეილ სააკაშვილი. თუ სააკაშვილს უკრაინის პოლიტიკას ჩამოაცილებენ, მაშინ გარწმუნებთ, ძალიან მძიმე არჩევნები გველის, მაგრამ თუ სააკაშვილი ჩართული იქნება უკრაინის პოლიტიკაში, მას დრო და რესურსი აღარ დარჩება, მოიცალოს და დაგეგმოს საქართველოში პროვოკაციები.

# მამუკა არეშიძე: „ეს სქემა არ არის ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმებული...“

## რამ გააღიზიანა ექსპრემიერი და რა ხდება „ოცნების“ კულუარებში?





**„ჩვენ ვნახავთ „ნაციონალების“ მხრიდან დესტრუქციულ მოქმედებას, კომპრომატების ომს. არ გამოვრიცხავ, იგივე კადრებით დაუპირისპირდნენ ხელისუფლებას, რა კადრებითაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, იმ განსხვავებით, რომ შესაძლოა, ამ კადრებში ჩვენ ვნახოთ პატიმრების წამება და არა, გაუპატიურება, მაშინ მიხვდებით, ტყუილად არ ვსაუბრობდი „მეხუთე კოლონაზე“**

## ირანი ევროპას ნავთობზე ფასს უკლებს



ნავთობის მსოფლიო ბაზარზე დაბრუნების შემდეგ ირანმა ევროპას მნიშვნელოვანი ფასდაკლება შესთავაზა. როგორც სააგენტო „როიტერი“ წერს, მსგავსი გადაწყვეტილება ირანის ხელისუფლებამ მსოფლიო ბაზარზე საუდის არაბეთისთვის კონკურენციის გასაწევად მიიღო.

სააგენტო ირანის ეროვნული ნავთობკომპანიის მონაცემებს აქვეყნებს და წერს, რომ „ირან ჰევის“ ტიპის 1 ბარელი ნავთობი, რომელიც „ოპეკის“ კალათაში შედის, 23,85 აშშ დოლარი ღირს.

ევროპელი მომხმარებლისთვის ირანული ნავთობი 6 აშშ დოლარითა და 55 ცენტით იაფი ეღირება.

18 იანვარს, სანქციების გაუქმების შემდეგ, ირანმა ნავთობის წარმოება დღეში 500 ათას ბარელამდე გაზარდა.

შეგახსენებთ, გასულ კვირას, აშშ-მა და ევროკავშირმა ირანის მიმართ არსებული სანქციები გააუქმა. ირანმა და „დიდმა შვიდეულმა“ ირანის ბირთვული პროგრამის შეზღუდვის შესახებ ისტორიულ შეთანხმებას გასული წლის მაისში მიაღწიეს, რაც ყველა სამხედრო და შესაძლო საეჭვო ობიექტზე ინსპექციის ჩატარებას ითვალისწინებს. გუშინ კი, ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს დასკვნის თანახმად, რომელიც ირანის მიერ ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული პირობების შესრულებას ითვალისწინებს, ირანს სანქციები მოეხსნა. (ნიუპოსტი)

## ნავთობის ფასი 27 დოლარამდე დაეცა



მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი კიდევ შემცირდა – „ბლუმბერგის“ მონაცემებით, 1 ბარელი **WTI** ტიპის ნავთობის ყიდვა 27,52 აშშ დოლარადაა შესაძლებელი. „ბრენტის“ ნავთობი კი 28,18 აშშ დოლარი ღირს.

„შავი ოქროს“ ყიდვა ბოლოს ამ ფასად 2003 წელს იყო შესაძლებელი. ნავთობის ფასმა კიდევ ერთხელ მას შემდეგ დაიკლო, რაც 19 იანვარს ენერგიის საერთაშორისო სააგენტოში განაცხადეს, რომ ნავთობაზრებზე ჭარბი მიწოდებაა მოსალოდნელი.

ამას ირანის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ სანქციების მოხსნაც მოჰყვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო ბაზარს ენერგორესურსების კიდევ ერთი მიმწოდებელი დაუბრუნდება.

ექსპერტების მოსაზრებით, უახლოეს მომავალში მოსალოდნელია ნავთობის ფასის მორიგი მნიშვნელოვანი კლება. (bpn.ge)

## სოფელ ლამბალოში მოკლული ხანუმ ჯეირანოვას ოჯახი რეალური დამნაშავეების დასჯას ითხოვს



ზახიდ ჯეირანოვი შვილის თვითმკვლელობამდე მიყვანის ორგანიზებაში დამნაშავე 4 თანასოფლელის დასჯასა და სიძის ციხიდან განთავისუფლებას უკვე 1 წელზე მეტია, უშედეგოდ ითხოვს.

შემთხვევა საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში მოხდა, სადაც 30 წლის ხანუმ ჯეირანოვა ოჯახის წევრებმა ჩამომხრჩვალი ნახეს. თვითმკვლელობამდე ერთი დღით ადრე კი, ოჯახის ინფორმაციით, ქალი, ღალატის ბრალდებით ქმრის ნათესავებმა, სოფლის ცენტრში, ადგილობრივებისა და მცირეწლოვანი შვილების თვალწინ სასტიკად სცემეს. მომხდარიდან რამდენიმე დღეში პოლიციამ გარდაცვლილი ქალის ქმარი აჯი გასანოვი დააკავა.

აჯი გასანოვს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ოჯახი ყვება, რომ ის მეუღლის თვითმკვლელობამდე მიყვანაში დამნაშავე პირების დაკავებას სამართალდამცავებს სთხოვდა, თუმცა პოლიციამ რეაგირება არ მოახდინა, რის შემდეგაც მან შურისძიება თავად გადაწყვიტა და ერთ-ერთ პირს იარაღი ესროლა.

აჯი გასანოვის მიერ დანაშაულის ჩადენის პროვოცირებაში პროკურატურასა და სამართალდამცავებს ადანაშაულებენ მესამე სექტორის წარმომადგენლები. საქმე სახალხო დამცველის ანგარიშშიც მოხვდა. (ნიუპოსტი)


## საუკეთესო 2G, 3G და 4G ქსელის მფლობელი „მაგთიკომი“ 2016 წელსაც სამთავრობო კონსოლიდირებული ტენდერის გამარჯვებულია

2016 წელს „მაგთიკომის“ გამარჯვება სამთავრობო სტრუქტურებისთვის გამოცხადებულ ფიქსირებულ სატელეფონო კონსოლიდირებულ ტენდერში კვლავაც განაპირობა:

- მომსახურების მაღალმა ხარისხმა;
- დაფარვის უდიდესმა არეალმა;
- ტენდერის პირობებით მოთხოვნილი სერვისების სრულად უზრუნველყოფამ;
- ოპტიმალურმა ტარიფებმა;
- საუკეთესო **2G, 3G** და **4G** ქსელმა,

რასაც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (2015 წლის მე-3 კვარტალის) მონაცემებიც ადასტურებს:

„მაგთიკომს“ მობილურ ოპერატორებს შორის ყველაზე მეტი საბაზო სადგური აქვს, რაც მისი ქსელის საუკეთესო ხარისხს განაპირობებს.

| საბაზო სადგურები | მაგთიკომი | ჯეოსელი | ბილაინი |
|---|---|---|---|
| 2G GSM | 1404 | 1213 | 948 |
| 3G UMTS | 1278 | 717 | 0 |
| 4G LTE | 456 | 34 | 309 |
| სულ საბაზო სადგურები | 3138 | 1964 | 1257 |

*** წლევანდელ ტენდერში გამარჯვებულად „მაგთიკომთან“ ერთად „ჯეოსელიც“ დასახელდა.**


## „ნაციონალები“ მთავრობას ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის გეგმას სთავაზობენ




„ნაციონალური მოძრაობაში" ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ კრიზისზე საუბრობენ და მთავრობას ინიციატივებს სთავაზობენ, რომელიც მათი თქმით, ქვეყანას ღრმა კრიზისიდან გამოიყვანს. მათი განცხადებით:

„ბოლო წლებში ბიძინა ივანიშვილის მიერ კონტროლირებადი მთავრობის მიერ დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა, ხედვის არქონამ, უნიათობამ, მავნებლურმა პოლიტიკამ და კორუფციამ ქვეყანა ღრმა ეკონომიკურ კრიზისში შეიყვანა. ეროვნული ვალუტა გაუფასურდა, გაიზარდა ფასები, ათიათასობით ოჯახს შემოსავლები შეუმცირდა, მკვეთრად გაიზარდა მთავრობის ვალი, გაუარესდა თითქმის ყველა ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორი. სამწუხაროდ, მთავრობას არათუ არ წარმოუდგენია რაიმე სახის ანტიკრიზისული გეგმა, არამედ, სრულებით უპასუხისმგებლოდ, არც აღიარებს, რომ კრიზისია და გვეუბნება, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგადაა. ერთადერთ გამოსავლად ამ მთავრობის და მთლიანად ივანიშვილის არაფორმალური მმართველობის 2016 წლის არჩევნებზე დასრულება მიგვაჩნია და ეს აუცილებლად მოხდება დემოკრატიულად, არჩევნების გზით. მაგრამ, არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში, მიგვაჩნია, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს ქვეყნის უკუსვლისა და გაღარიბების შესაჩერებლად. ამიტომ, თუ ახლად დანიშნული პრემიერის, გიორგი კვირიკაშვილის შემოთავაზება ოპოზიციასთან შეხვედრისა და ჩვენი ანტიკრიზისული გეგმის განხილვის თაობაზე გულწრფელი იყო, ჩვენ მზად ვართ ასეთი შეხვედრებისთვის.

უკანასკნელი 3 წლის მანძილზე, მთავრობამ ბიუროკრატიული ხარჯები მნიშვნელოვნად გაზარდა. ამ და სხვა ხარჯების შემცირებით შესაძლებელია ისეთი ინიციატივების განხორციელება, რომელიც ქვეყანას ღრმა კრიზისიდან გამოიყვანს. ასეთი ნაბიჯებია:

1. პენსიის 50 ლარით გაზრდა. ვინაიდან მთავრობას არ შეუმცირებია ბიუროკრატიული ხარჯები, კვლავ არის შესაძლებელი პენსიის ზრდა 50 ლარით, რაც გაზრდილი ფასების პირობებში მოსახლეობის გაჭირვებულ ნაწილს საკმაოდ დაეხმარება;

2. გადასახადების დაწევა. კერძოდ, მოგების გადასახადის გაუქმება და საშემოსავლო გადასახადის მკვეთრი შემცირება, რაც აამუშავებს ბიზნესს, გააჩენს ახალ სამუშაო ადგილებს, მეტი ფული დარჩება მოქალაქის ჯიბეში და ნაკლები ფული დაიხარჯება ბიუროკრატიაზე;

3. ამასთან ერთად, საჭიროა ეკონომიკური საქმიანობასთან დაკავშირებით მუხლების შემსუბუქება და დანაშაულის დეკრიმინალიზაცია, რაც პარლამენტში უკვე ინიცირებულია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ. ეს ნაბიჯი გააუმჯობესებს ქვეყანაში ბიზნეს გარემოს. ბიზნესი იქნება უფრო დაცული ნებისმიერი მთავრობისგან, რადგან ეკონომიკური გადაცდომები არ ჩაითვლება დანაშაულად“. – ნათქვამია განცხადებაში.

(newpost.ge)

ბიძინა კუჭავას გარდაცვალების საქმის მოწმე დავით პოპოვი გახმაურებული საქმის ირგვლივ პირველ კომენტარს აკეთებს.

როგორც მთავარმა მოწმემ „მაესტროსთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, ის ბიძინა კუჭავას 30 დეკემბერს შეხვდა, მკვლელობაში ეჭვმიტანილმა მას ბიზნესგეგმა გააცნო.

მისი თქმით, ბიძინა კუჭავასთან შეხვედრა მას მოსკოველმა მეგობარმა გოჩა კუჭავამ სთხოვა.

– ამის შემდეგ, 16 იანვარს, ღამის 12 საათი იქნებოდა, ჩემმა მეგობარმა მოსკოვიდან დამირეკა და მთხოვა, შეხვდი და გაიგე, რა პრობლემა აქვს, რა უნდა და თუ შეგეძლება, დაეხმარეო. ნომერიც მომცა. გადავრეკე ბიძინასთან და მითხრა, ნახევარ საათში შევხვდეთ გლდანში, სადაც ადრე შევხვდით. ადგილზე მისულმა დავინახე ბიძინა, რომელიც ტაქსიდან გადმოვიდა და მანქანაში ჩამიჯდა. წავიყვანე სახლში. სახლში რომ მივიყვანე, ვკითხე, რა პრობლემები ჰქონდა. მითხრა, რომ მაქვს დიდი პრობლემა და ერთი დღე მაქვს დრო, ქვეყნიდან უნდა წავიდეო, ფული მთხოვა, – განაცხადა პოპოვმა.

მისივე განმარტებით, ბიძინა კუჭავას ბილეთი არ ჰქონდა და მას სთხოვა თვითმფრინავის ბილეთის ფული. როგორც პოპოვმა აღნიშნა, კუჭავას ჰქონდა 160 ლარი, თვითონ პოპოვს – 250 ლარი, დანარჩენი საჭირო თანხა კი გამოიტანა „ევროპაბეთიდან“, რომელიც ფილარმონიასთან მდებარეობს.

როგორც პოპოვმა აღნიშნა, კუჭავა მანქანის უკანა მხარეს ჩაჯდა და წავიდნენ აეროპორტისკენ, თუმცა სანაპიროზე ისინი პატრულმა გააჩერა.

– მოვიდა ერთ-ერთი თანამშრომელი და მომთხოვა საბუთები. 2 წუთში უკან დაბრუნდა მეორე თანამშრომელთან ერთად და მომთხოვეს მანქანაში მსხდომების საბუთები. როდესაც ვუთხარი, ბიძინა, საბუთებს ითხოვენ, მიეცი-მეთქი, მან მიაწოდა საბუთი. როგორც კი გაცდნენ მანქანას პატრულის თანამშრომლები, შავი „ჯიპებით“ მოცვივდნენ, გადმოვიდნენ შეიარაღებული ხალხი, როლებმაც დაიწყეს ყვირილი, რომ ვართ პოლიციის თანამშრომლები, ამ აურზაურში ჩემს მანქანაში გაისმა გასროლის ხმა. გავიხედე და დავინახე სისხლიანი კაცის თავი. 5-6 წუთში უკვე ვიყავი პატრულის მანქანაში. ერთადერთი დავინახე, რომ მეუღლე ცალკე გადაჰყავდათ, – განაცხადა პოპოვმა. მისივე თქმით, კუჭავასთვის ფეხზე დაზიანება არ შეუმჩნევია.

პოპოვი ამტკიცებს, რომ კუჭავას ადვოკატებთან შეხვედრისას ფარული კამერა არ ჰქონია და საუბარს მხოლოდ მობილურით იწერდა. მან ისიც კატეგორიულად უარყო, რომ ადვოკატებთან შეხვედრა მისი ინიციატივით შედგა.

– შეხვედრის ინიციატორი არ ვყოფილვარ. 19 იანვარს დამირეკა ჩემი მეგობრის შვილმა, ვაჟა ჩიკვილაძემ და მითხრა, რომ ბიძინას შვილსა და ადვოკატს სურთ შენი ნახვა და აინტერესებდათ სახლის მისამართიო. მომენტალურად ვუთხარი უარი, – თქვა მოწმემ.

ადვოკატების განცხადებაზე, რომ დავით პოპოვს შეხვედრისას ეცვა სპეციალური პერანგი, რომელიც მხოლოდ სუს-ის თანამშრომლებს აცვიათ, მან განაცხადა, რომ ის არც ერთ ძალოვან სტრუქტურაში არ მუშაობს.

– რა სპეციალური პერანგი, არც გამიგია. მე მათ მხოლოდ ჩემი მობილური ტელეფონით ვიწერდი, – თქვა მან.

დავით პოპოვი აცხადებს, რომ მოკლული პროკურორის ვახტანგ ქირიას შესახებ ტელევიზიითა და პროკურატურაში დაკითხვისას გაიგო.

პოპოვი ირწმუნება, რომ ბიძინა კუჭავას მასთან შეხვედრისას პროკურორის სახელი და გვარი არ უხსენებია.

– ძალიან სერიოზულ პრობლემაში გამოვჩნდი, ის ბიჭი – გოჩა კუჭავაც გაგიჟებული იყო, რომ ამ კაცმა რა შარში გაგხვიათო, ჩამოსვლა უნდოდა, მთხოვა, პროკურორისთვის მისი ნომერი მიმეცა, – განაცხადა დავით პოპოვმა. ასევე, მან მკვლელობაში ბრალდებულის მეუღლესაც მიმართა და აღნიშნა, რომ კუჭავამ ის და მისი მეუღლე გადაარჩინა.

– მაგას რომ მანქანიდან ესროლა, ამას შეიძლება ძალიან ცუდი რაღაც მოჰყოლოდა. შეიძლება მე აქ არ ვმჯდარიყავი. გასაგებია, რომ აღელვებულია, მეუღლე დაეღუპა, მაგრამ კაცი მიმყავდა აეროპორტში, მივეცი თანხა, რომ გაფრენილიყო, კარგის მეტი არაფერი არ მინდოდა მაგ კაცისთვის, – განაცხადა პოპოვმა. (ნიუპოსტი)

## რა გაიხსენა დავით პოპოვმა „მაესტროსთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში



## „ხალხო, ვიხუმრე! გურული ვარ მე!“ — ბერძენიშვილი საკუთარ განცხადებაზე



უმრავლესობის დეპუტატი ლევან ბერძენიშვილი საკუთარ განცხადებასთან დაკავშირებით მცირე განმარტებას სოციალურ ქსელში აკეთებს.

– ხალხო, ვიხუმრე! გურული ვარ მე! – წერს ბერძენიშვილი.

შეგახსენებთ, რომ ლევან ბერძენიშვილმა პარლამენტის სტაჟიორებთან და პრაქტიკანტებთან შეხვედრის დროს შემდეგი განცხადება გააკეთა:

– საქართველოს ერთ-ერთი პრობლემა არის ის, რომ ნახევარი მილიონი გაუთხოვარი ქალია. ძალიან დაბალია ქორწინების მაჩვენებელი. ევროპას ყველაზე უკუღმართული გზით დავემსგავსეთ. გოგოები გვიან აპირებენ გათხოვებას. ევროპაში ეს იმიტომ ხდება, რომ მუშაობენ და კარიერაზე არ უნდათ, უარი თქვან. შვეიცარიაში კაცს ცოლის მოყვანა რომ არ უნდა, ამის მიზეზად ამბობენ, რომ არ სცალიათ. ამერიკაში წლების განმავლობაში ქალთან ერთად არიან და რომ უთხრა, მიყვარხარო, ჰგონიათ, რომ იმ წუთას დაკარგავენ. (ნიუპოსტი)

ალია

## ღარიბაშვილის ქვევრი და კვირიკაშვილის გზა



ექსპერტი გია ხუხაშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის იმ განცხადებას ეხმაურება, რომლის მიხედვითაც ის საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის წარსადგენ წლიურ ანგარიშზე დასწრებას აპირებს. როგორც ხუხაშვილი აცხადებს, პრემიერის დამოკიდებულება მისასალმებელია.

ექსპერტის თქმით, გიორგი კვირიკაშვილი ირაკლი ღარიბაშვილის სრული ანტიპოდია, რადგან ექსპრემიერი ღარიბაშვილი პრემიერობის დროს მხოლოდ ქვევრის ფუნქციას ასრულებდა. თუმცა, ხუხაშვილი იმასაც ამბობს, რომ დადებითი ნიშნები ჯერჯერობით მხოლოდ კვირიკაშვილის განცხადებებშია და აუცილებელია მან დაამტკიცოს, რომ ის ნამდვილად პრემიერ-მინისტრია და თავად იღებს გადაწყვეტილებებს. ხუხაშვილი ფიქრობს, რომ კვირიკაშვილს ეს ძალიან გაუჭირდება:

– პრემიერ-მინისტრის ეს განცხადება მოსაწონია. მისი ეს გზავნილები არაკონფრონტაციულია, ანუ ის, ფაქტობრივად, ღარიბაშვილის ანტიპოდად მოგვევლინა. პრობლემა ღარიბაშვილი შეიძლება იმდენად არ იყო, რამდენადაც ის მუშაობდა ქვევრის პრინციპით. მას რომ რაღაცას ჩასძახებდნენ მიაჩნდა, რომ ანალიზის გარეშე და შესაბამისი ინტელექტუალური გააზრების გარეშე პირდაპირ უნდა ამოეძახა და წვავდა ხიდებს ყველა მიმართულებით, რისი კომფორტიც ხელისუფალს არა აქვს. პოლიტიკაში საკუთარ ემოციებზე არ ეწყობა არაფერი. შეიძლება ვილაცა გიყვარდეს, ან არ გიყვარდეს, მაგრამ პოლიტიკას აქვს თავისი თამაშის წესები, რომელიც დაცული უნდა იყოს. ღარიბაშვილისთვის ეს არ იყო დამახასიათებელი. ის არ ტოვებდა შთაბეჭდილებას ადამიანისას, რომელსაც შეუძლია გააზრებული ნაბიჯების გადადგმა. ის იყო ამომძახებელი იმისა, რასაც ჩასძახებდნენ და მეტი არაფერი. ამიტომაც შეიქმნა ეს პრობლემები. კვირიკაშვილი, ჩვენდა საბედნიეროდ, ასეთი ადამიანების რიცხვს არ მიეკუთვნება. მისი ყველა განცხადება, რაც ბოლო პერიოდში გაკეთდა, აბსოლუტურად ადეკვატურია, სწორი და სახელმწიფოებრივია. მაგრამ ეს არის განცხადებები. ჩვენ უნდა ვიხილოთ ეს ქმედებებში მეორე ეტაპზე. მისი განცხადებები არის იმედისმომცემი, მაგრამ უკვე პოლიტიკურ ქმედებებზე როდესაც გადავა, რას გააკეთებს, იქ გამოჩნდება ძალიან ბევრი რამ. მას ჯერ კიდევ აქვს დასამტკიცებელი, რომ მხოლოდ პრემიერ-მინისტრის შესაფერის განცხადებებს კი არ აკეთებს, არამედ რეალურადაც პრემიერ-მინისტრია და ამისთვის მას გრძელი გზა აქვს გასავლელი. ძალიან მძიმე გზა აქვს გასავლელი და მე ვუსურვებდი წარმატებებს ამ გზაზე. პირდაპირ გეტყვით, რომ ძალიან გაუჭირდება, – განაცხადა გია ხუხაშვილმა. (პირველი რადიო)

# ახალი დანიშვნები შსს-ში

## ვინ ვისი კადრია და რა სკანდალები უკავშირდება ახალ ჩინოსნებს



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61




„კვირის ქრონიკის“ ორშაბათის (№3) ნომერში დეტალურად ვწერდით, რა ცვლილებები მოხდა და მოხდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროში. მას შემდეგ, რაც მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა სამი მოადგილე გამოცვალა, პოლიციის რეგიონული სამმართველოების უფროსებსაც დააწერინა განცხადებები. ჩვენ კულუარულ ინფორმაციაზე დაყრდნობით „ვიწინასწარმეტყველეთ“, რომ ზოგს საერთოდ გაუშვებდნენ, ზოგს კი დააწინაურებდნენ. მაშ ასე, მოვყვეთ თავიდან და შემდეგ მივიდეთ ბოლო ორ-სამ დღეში განხორციელებულ ცვლილებებამდე: როგორც ამბობენ, გიორგი მღებრიშვილის სამი ახალი მოადგილიდან ერთი (მერაბ მალანია) არის ბიძინა ივანიშვილის პირადი დაცვის ყოფილი წევრი, მეორე (დავით ვარდიაშვილი) – სკანდალურ ოთარ ფარცხალაძის კადრი, რომელიც მასთან ერთად მუშაობდა ფინანსურ პოლიციაში, შემდეგ კი ნავთობის კორპორაციაში, ხოლო მესამე (ბესიკ ამირანაშვილი) ბოლო დროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი იყო და მანამდე კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსად ღარიბაშვილმა დააწინაურა. ახლა კიდევ ერთხელ ვნახოთ, რეგიონებში ვის დააწერინეს განცხადებები, ვინ დანიშნეს მათ ადგილებზე, ვინ სად გადაიყვანეს და ვინ გაუშვეს სახლში. 16 იანვარს განცხადებები დაწერეს: მცხეთა-მთიანეთი – ივანე ზურაბიშვილი, შიდა ქართლი – იაგო საური, ქვემო ქართლი – ლევან კვიციანი, კახეთი – გიორგი ბუბუნაური, სამცხე-ჯავახეთი – თეიმურაზ კალანდაძე, იმერეთი-რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი – თეიმურაზ კალანდაძე, გურია – კობა ცერცვაძე, სამეგრელო-ზემო სვანეთი – გურამ ზესაშვილი. მაშინ ინკოგნიტო წყარო გვიმტკიცებდა, რომ ადგილი არ ჰქონდა ირაკლი ღარიბაშვილის კადრების ჩამოშორებას, რადგან თავად გიორგი მღებრიშვილი ღარიბაშვილის კადრია. მისი თქმით, ბესიკ ამირანაშვილი კახეთის სამხარეოს უფროსი იყო, ირაკლის დანიშნული. დავით ვარდიაშვილი კი გიორგი მღებრიშვილის კადრია. სანდო წყარომ ასევე მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ თანამდებობიდან გაუშვეს თბილისის პოლიციის უფროსი, შალვა ბედოიძე. ეს ინფორმაცია 100-პროცენტიანი გამოდგა, მაგრამ ცდომილება მოხდა მის ადგილზე დასანიშნ კადრთან დაკავშირებით – თითქოს ამ თანამდებობაზე ქვემო ქართლის პოლიციის ყოფილი უფროსი, ლევან კვიციანი უნდა დაენიშნათ, მაგრამ ბოლო მომენტში გაჩნდა გიორგი ალადაშვილის კანდიდატურა, რომელიც ჰარვარდის უნივერსიტეტის მაგისტრია. მან განათლება ამერიკაში, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტსა და ჰააგის საერთაშორისო სამართლის აკადემიაში მიიღო და აქვს სამართალდამცავ სტრუქტურებში მუშაობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება. 2014 წლიდან ალადაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ატაშე იყო ავსტრიის რესპუბლიკაში. კულუარული ინფორმაციის თანახმად, ის 2013 წელს ვაკე-საბურთალოს პოლიციის უფროსმა, გოჩა კასრაძემ მიიყვანა ამ სისტემაში, შემდეგ კი ავსტრიაში გაუშვეს. ამჟამად კასრაძე თადარიგში ჰყავთ გადაყვანილი ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემასთან დაკავშირებით. ალბათ, გახსოვთ, დაახლოებით ორი თვის წინ ადვოკატმა მდინარაძემ სამართალდამცავები ცემაში დაადანაშაულა, რომელიც ტვინის შერყევით საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი თქმით, ვაკე-საბურთალოს მე-5 განყოფილებაში პოლიციელები გაუსწორდნენ. ცემის მიზეზი მისი დაცვის ქვეშ მყოფ არასრულწლოვანთან დაკავშირებით არჩეული სტრატეგია გახდა, კერძოდ კი, დუმილის უფლების გამოყენება.

„ალიამ“ მოიპოვა ინფორმაცია, რომ სახლში გაუშვეს, ანუ არც დაუწინაურებიათ და არც სხვაგან გადაუყვანიათ მცხეთა-მთიანეთის პოლიციის უფროსი, ივანე ზურაბიშვილი. როგორც ამბობენ, ის ირაკლი ღარიბაშვილის ცოლისძმის, პარლამენტარ ლექსო თამაზაშვილის მეგობარია. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ლექსო გახლავთ ზურაბიშვილის მეჯვარე. თუ ლოგიკას გავყვებით, გამოდის, ღარიბაშვილის ერთი კადრი საერთოდ ჩამოიშორეს. მის ადგილზე დანიშნეს ქვემო ქართლის პოლიციის უფროსი, ლევან კვიციანი. პრინციპში, აქ ადგილები გაცვალეს – თავად ბედოიძე ქვემო ქართლში გაამწესეს კვიციანის ადგილზე. რაც შეეხება აჭარას, ბესიკ ამირანაშვილის ადგილზე 30 წლის ლაშა გოგნიაშვილი დაინიშნა. ეს ერთ-ერთი იმ თოთხმეტთაგანია, ამირანაშვილმა კახეთიდან რომ ჩაიყვანა ბათუმში და საკვანძო თანამდებობები ჩააბარა. თავად გოგნიაშვილი ქალაქ ბათუმს კურირებდა. სხვათა შორის, ამ ადამიანთან პრეტენზიები „ქართული ოცნების“ აქტივისტებს ჯერ კიდევ 2012 წლის სექტემბერში ჰქონდათ: მაშინ „ქართული ოცნების“ ქარელის ახალგაზრდული ფრთის ლიდერი, გიორგი ბერუაშვილი აცხადებდა, რომ ქარელის პოლიციის უფროსი ლაშა გოგნიაშვილი, სამ თანმხლებ პირთან ერთად, ქუჩაში დახვდა და მისთვის იარაღის ჩადებას ცდილობდა. ბერუაშვილი ასევე ყვებოდა, გოგინაშვილი დღისით-მზისით გაეკიდა, იარაღი დაუმიზნა და სროლით დაემუქრა. ეს საქმე მოგვიანებით „ჩაიფარცხა“ და უკვე აჭარაში დაწინაურებული კადრი მაშინ კახეთის სამხარეო სამმართველოში გადაიყვანეს. სწორედ იქ მუშაობდნენ ერთად ამირანაშვილი და გოგნიაშვილი. აქ ერთი ფაქტია ალსანიშნავი: რატომღაც, ამ სფეროში ცენტრალური ხელისუფლება არასოდეს ენდობოდა და არც დღეს ენდობა ადგილობრივ კადრებს, ერთადერთი გამონაკლისი იყო ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდი. მას შემდეგ, პოლიციის სამმართველოს უფროსად და რაიონების განყოფილებების უფროსებად სულ თბილისიდან ჩაჰყავდათ ხალხი. თუმცა, ერთი გამონაკლისი ამ ხელისუფლებამაც დაუშვა 2014 წელს, ამ თანამდებობაზე აჭარელი დავით თამაზაშვილი დანიშნეს, მაგრამ როგორც ამბობდნენ, სწორედ იმ დროიდან „გაგულავდნენ“ ამ კუთხეში ე.წ. კანონიერი ქურდები და ყველაზე მეტად „ლავას ოლლი“. მოკლედ, თამაზაშვილის პოლიცმაისტერობის პერიოდში ბათუმში რამდენიმე ხმაურიანი კრიმინალური ფაქტი მოხდა – საუბარია ავტომანქანების აფეთქებაზე და „ლავას ოლლის“ (მინდია გორაძე) თავისუფლად გადაადგილებაზე. ასევე, ღამის ბარ „ვეგასში“ მოკლეს პოლიციის თანამშრომელი, თარაშ მუკბანიანი. ბათუმში სცემეს ორი პოლიციელი, რაც „ლავას ოლლის“ დაუკავშირეს. როდესაც ამირანაშვილი ჩაიყვანეს აჭარაში, „კანონიერი ქურდი“ ავანსცენიდან გაქრა.

ბოლო დღეებში ასევე ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს შინაგან საქმეთა მინისტრის, გიორგი მღებრიშვილის შეცვლის საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ჯერ ამბობდნენ, მის ადგილს ბიძინა ივანიშვილის დაცვის ყოფილ უფროსს, ანზორ ჩუბინიძეს ნიშნავენო, რომელიც ამჟამად სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს ხელმძღვანელობს, მერე თქვეს, მინისტრის პოსტს უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე, იოსებ გოგაშვილი დაიკავებსო. ჩუბინიძემ 20 იანვარს კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ გავრცელებული ინფორმაცია არასწორია:

„არ ვიცი, რატომ ატყდა ასეთი აჟიოტაჟი ამ თემის ირგვლივ. გიორგი მღებრიშვილი ჩემი ახლო მეგობარია და მასთან უხერხულია, რაც ხდება. ის არის ძალიან კარგი მინისტრი, დაკისრებულ მოვალეობას თავს კარგად ართმევს, საკადრო გადაადგილებებს ახორციელებს. სულაც არ მაქვს მინისტრობის სურვილი, ძალიან კარგ სამსახურში ვმუშაობ“.

მიუხედავად ასეთი განცხადებისა, გარკვეულ წრეებში მაინც ამბობენ, რომ მღებრიშვილს დღეს თუ ხვალ მაინც გაუშვებენ და ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ მისი ადგილი მართლაც იოსებ გოგაშვილმა დაიკავოს, რადგან ერთ-ერთი ინფორმაციით, ის ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილის, უჩა მამაცაშვილის კადრია. როგორც ჩანს, მას უფრო ენდობიან, ვიდრე ირაკლი ღარიბაშვილის მიერ დაწინაურებულ მღებრიშვილს. 19 იანვარს გაჩნდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, თანამდებობა ასევე დატოვოს უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა, ვახტანგ გომელაურმა. სხვათა შორის, ეს ინფორმაცია უკვე მოულოდნელი იყო და უსაფრთხოების სამსახურში უარყვეს. პრინციპში, თუ ვახტანგ გომელაური თავად არ დაწერს განცხადებას, ვერავინ შეეხება, რადგან ის 6 წლით პარლამენტმა დაამტკიცა და ასევე პარლამენტმა უნდა გადააყენოს საკონსტიტუციო უმრავლესობით, რაც დღეს გამორიცხულია. კულუარებში „ალიასთან“ აცხადებენ, რომ მღებრიშვილისა და გომელაურის გაშვება ვილაცების მხოლოდ სურვილია და არა რეალობა.

**„მიუხედავად ასეთი განცხადებისა, გარკვეულ წრეებში მაინც ამბობენ, რომ მღებრიშვილს დღეს თუ ხვალ მაინც გაუშვებენ და ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ მისი ადგილი მართლაც იოსებ გოგაშვილმა დაიკავოს, რადგან ერთ-ერთი ინფორმაციით, ის ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილის, უჩა მამაცაშვილის კადრია. როგორც ჩანს, მას უფრო ენდობიან, ვიდრე ირაკლი ღარიბაშვილის მიერ დაწინაურებულ მღებრიშვილს“**

## ტრაგედია ქარელში — ავარიას 6 წლის გოგონა ემსხვერპლა




ქარელის გადასახვევთან ავტოსაგზაო შემთხვევას 6 წლის გოგონას სიცოცხლე ემსხვერპლა, სამი ადამიანი კი მძიმედ დაშავდა. ავტომობილი, რომელსაც გოგონას დედა მართავდა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხეს შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად დაშავებულებს შორის ორსული ქალბატონიც არის, რომელიც სამედიცინო დაწესებულებაშია გადაყვანილი. შსს-ს პრესსამსახურის განმარტებით, მომხდართან დაკავშირებით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესის დარღვევას ითვალისწინებს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. (ნიუპოსტი)

## საახალწლო დღეებშიც კი თურქულ-ინდურ სერიალებს გვაყურებინეთ, აი, „ტელევიზიონშიკებო“, პეტიცია გაგიბაბანეს!

**manifest.ge**-ზე ინტერნეტპეტიცია ვრცელდება, რომლის ადრესატი საქართველოს მთავრობა, საქართველოს პრეზიდენტი და განათლების სამინისტროა.

– არა თურქულ-ინდურ სერიალებს!

ხელმომწერები მოვითხოვთ, რომ შეწყდეს ქართულ არხებზე ეს მარაზმი. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნულ საკითხს აუცილებლად განიხილავენ შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოები.

მადლობას ვუხდით ყველა ხელმომწერს და მოგმართავთ თხოვნით, გაავრცელოთ აღნიშნული პეტიციის ბმული თქვენი სოციალური ქსელ(ებ)ის – **Facebook, Twitter, LinkedIn, Google Plus, Vkontakte, Odnoklassniki** და ა.შ. საშუალებით, – აღნიშნულია პეტიციაში.

იმისთვის, რომ პეტიცია აღნიშნულ უწყებებს გადაეგზავნოს, საჭიროა 99 924 ხელმოწერა. პეტიციას, რომელიც 20 იანვარს გამოქვეყნდა, ხელი ჯერჯერობით მხოლოდ 100-მდე ადამიანმა მოაწერა. (daijesti.pia.ge)

**ვისაც სურს, რომ პეტიციას შეუერთდეს, უნდა შევიდეს საიტზე: manifest.ge, ზედა ნაწილში უნდა მოძებნოს „პეტიციები“, დააჭიროს მას, რის შემდეგაც გადახვალთ ახალ გვერდზე და იქ უკვე ნახავს პეტიციას სახელწოდებით „არა თურქულ-ინდურ სერიალებს“. ისე, პეტიციაზე ხელის მოწერა, ალბათ, დიდად არც არაფერს შეცვლის, ყოველ შემთხვევაში, მთავრობა ამ ამბავში არ ჩაერევა, მაგრამ იქნებ ტელევიზიებმა შეიგნონ, რომ ეს მდარე ხარისხის სერიალები მაყურებლის აბსოლუტურ უმრავლესობას საშინლად არ მოსწონს!!!**

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. შენობის ჩონჩხი
2. სტადიონი რიოში
3. ვენესუელას დედაქალაქი
4. მდინარე საფრანგეთში
5. ვენეციური ნავი
6. დინამიტის გამომგონებელი
7. საუბარი, ანუ ...
8. ყაჩაღი
9. ვრცელი ველები ჩრდ. ამერიკაში
10. თბილისის უბანი
11. საესტრადო ჩასაბერი ინსტრუმენტი
12. მწერალი ... ვერნი
13. მტაცებელი თევზი
14. უნგრელი კომპოზიტორი
15. მდინარე პარიზში
16. მედიკამენტი, ანუ ...
17. მწერალი ალბერტო ...
18. საღებავი, ჟანგმიწა
19. ფანქრის შავი გული
20. ნაჭრის თოჯინა
21. წყლის საღებავი
22. ფირნიში
23. გემი ორი კორპუსით
24. „დიდოსტატის მარჯვენა" შორენას მოახლე ქალი
25. თანავარსკვლავედი
26. მწერალი ... ფანჯიკიძე
27. მხ/ფ „...-ძა-ძა"
28. ძვლების დაავადება
29. მსახიობი ... ჯიროტი
30. კურორტი ბულგარეთში
31. ნადირობის ქალღმერთი
32. რეჟისორი ... ტარკოვსკი
33. პალმის კაკალი
34. ტელეკოშკი
35. აბატი პრევო. „... ლესკო"
36. ძაღლის ჯიში
37. რეჟისორი გას ... სენტი
38. რაიმე საგნის მონახაზი, კონტური
39. აცტეკების ბელადი
40. რუსული ავტომობილი
41. ყველის მასალა
42. გვერდების სიგრძეების ჯამი
43. ლოტოს მსგავსი თამაში
44. ქალაქი დას. საქართ.
45. ბოსტნის მავნებელი მწერი
46. მსახ. დუეინ ... ჯონსონი
47. კომპოზიტორი ... პაულსი
48. მსახიობი არკადი ...
49. მსახიობი ... დარკი
50. მისი დედაქალაქია ჰავანა
51. ტყის ფრინველი
52. მომღერალი ... ჯაგერი
53. ნიდერლანდის დედაქალაქი
54. ფსიქოლოგი ზიგმუნდ ...
55. შაბათ საღამო
56. ნიშნავს თვალით ხილულს
57. სოფელი ახმეტის რაიონში
58. განაჩენის გასაჩივრება
59. მსახიობი ლეო ...
60. ... ძედუნი
61. ოთახი დარბაზის წინ
62. მოგზაური ... პოლო
63. კოლოფის ფორმის ბროში
64. რუსი მეცნიერი მიხეილ ...
65. იუპიტერის თანამგზავრი
66. მტაცებელი კატისებრ. ოჯახიდან
67. გემის მოძრავი კიბე
68. მომღერალი მირეი ...
69. კუნძულოვანი სახელმწ. წყნარ ოკეანეში
70. ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში
71. პიანისტი ... ბოლქვაძე
72. მსახიობი ... მუტი
73. ავგაროზი
74. ერთ-ერთი თითი
75. ... აბრაამის ბატკანი
76. ხის ჯიში
77. ბანდეროლი
78. „20000 ... წყალქვეშ"
79. მსახიობი ... დეპი
80. მხატვარი ... დი ბონდონე
81. მსახიობი ... ბლუმი
82. ყმაწვილი ცვილის ფრთებით
83. მსახ. ... ჯიგარხანიანი
84. აპოლონის ქურუმი ტროაში
85. შიიზმის მიმდევარი
86. მომღერალი ... დიონი
87. ორგანული ნივთიერება
88. ნაკურთხი წყალი
89. ... ტიმოშენკო
90. ჯუჯა კამეჩი
91. ტიბეტური ხარი
92. ქართ. მინერალ. წყალი
93. სოფელი ოზურგეთ. რაიონში
94. კურორტი თურქეთში
95. მდინარე აფრიკაში
96. ერთ ფეხზე დგომა ბალეტში
97. ტროას ბერძნ. სახელწ.
98. ანსამბლ „ივერიას" ხელმძღვანელი
99. ნაკლი, ხინჯი
100. ღია მიშენება შენობაზე
101. მსახ. ... მანჯგალაძე
102. ქრისტიანული სიმბოლიკა
103. იგი ოქროს გასაღებს ინახავდა
104. მსახ. ... სილვერსტოუნი
105. მომღერალი ... ვაიკულე
106. ბოჭკოვანი მცენარე
107. სანელებელი
108. ამერიკული სამგზავრო თვითმფრინავი
109. მსახიობი ... ჰილი
110. მწერი
111. ამერიკული სიმებ. საკრავი
112. ბარდი ... ოკუჯავა
113. ... გოგებაშვილი
114. მსახიობი დონატას ...
115. ინფექციური დაავადება
116. მსახიობი ... ჰილტონი
117. მუხის ქერქი
118. ამერიკელების მეტსახელი
119. მტაცებელი ფრინველის ფრენა
120. მომღერალი ... ლავინი
121. დადებითი ელექტროდი
122. მომღერალი ... რიდი
123. სლავური ანბანი
124. ფილტვების ანთება
125. აზროვნების ორგანო
126. პოეტი ნიკოლოზ ...
127. დიდი ჩაქუჩი
128. ლუდის მასალა
129. ნამცხვარი
130. თამბაქოს დახვეული ფოთლები
131. ჰიტი: „კეკელა და ..."
132. ... ევდოშვილი
133. იანის საპირისპირო
134. თანხმობის ფორმა
135. ნიშნავს ცხოველურს
136. პრეზიდენტი ... ობამა
137. რეჟისორი ჯონ ...
138. წინაპარი უჯრედის გამრავლება
139. მსახიობი ნუგზარ ...

პასუხები: 1. კარკასი; 2. „მარაკანა"; 3. კარაკასი; 4. ლუარა; 5. გონდოლა; 6. ნობელი; 7. ბაასი; 8. აბრაგი; 9. პრერია; 10. კუკია; 11. ტრომბონი; 12. ჟიულ; 13. მურენა; 14. ლისტი; 15. სენა; 16. წამალი; 17. მორავია; 18. ოხრა; 19. გრაფიტი; 20. ტიკინა; 21. აკვარელი; 22. აბრა; 23. კატამარანი; 24. ვარდისახარი; 25. ორიონი; 26. გურამ; 27. ქინ; 28. რაქიტი; 29. მასიმო; 30. ვარნა; 31. დიანა; 32. ანდრეი; 33. ქოქოსი; 34. ანძა; 35. მანონ; 36. ერდელტერიერი; 37. ვან; 38. აბრისი; 39. მონტესუმა; 40. „ნივა"; 41. რძე; 42. პერიმეტრი; 43. ბინგო; 44. ტყიბული; 45. მახრა; 46. როკ; 47. რაიმონდ; 48. რაიკინი; 49. მირეი; 50. კუბა; 51. გნოლი; 52. კიმ; 53. ამსტერდამი; 54. ფროიდი; 55. კვირაძალი; 56. მაკრო; 57. ალვანი; 58. კასაცია; 59. ანთაძე; 60. მაო; 61. ავანზალი; 62. მარკო; 63. მედალიონი; 64. ლომონოსოვი; 65. იო; 66. პუმა; 67. ტრაპი; 68. მატიე; 69. ფიჯი; 70. კინტო; 71. ელისო; 72. ორნელა; 73. თილისმა; 74. ნეკი; 75. მამა; 76. ტირიფი; 77. ამანათი; 78. ლიე; 79. ჯონი; 80. ჯოტო; 81. ორლანდო; 82. იკაროსი; 83. არმენ; 84. ლაოკოონი; 85. შიიტი; 86. სელინ; 87. ანილინი; 88. აიაზმა; 89. იულია; 90. ანოა; 91. იაკი; 92. ლებარდე; 93. ნატანები; 94. ანტალია; 95. ნილოსი; 96. არაბესკი; 97. ილიონი; 98. ბასილაია; 99. ზადი; 100. აივანი; 101. ეროსი; 102. ჯვარი; 103. ტორტილა; 104. ალისია; 105. ლაიმა; 106. სელი; 107. პილპილი; 108. „ბოინგი"; 109. ბენი; 110. კალია; 111. ბანჯო; 112. ბულატ; 113. იაკობ; 114. ბანიონისი; 115. გრიპი; 116. პერის; 117. კორპი; 118. იანკი; 119. ირაო; 120. ავრილ; 121. ანოდი; 122. დინ; 123. კირილიცა; 124. პნევმონია; 125. ტვინი; 126. ბარათაშვილი; 127. ურო; 128. ალაო; 129. შუ; 130. სიგარა; 131. მარო; 132. იროდიონ; 133. ინი; 134. კი; 135. ზოო; 136. ბარაკ; 137. ვუ; 138. კლონი; 139. შარია. იკითხება: საახალწლო განწყობა.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. დაუდუღებელი ღვინო
2. თმა, ბეწვი
3. მწვადის შესაწვავი ღუმელი
4. ჩინეთის დედაქალაქი
5. ხის კანი
6. მწერალი თეოდორ ...
7. სახალხო დამცველი
8. დახვეული ქაღალდი
9. მომღერალი ეკა ...
10. წრეების შემოსახაზი ხელსაწყო
11. პოეტი ... ბარათაშვილი
12. გეომეტრიული სხეული
13. მსახიობი დრიუ ...
14. ტბა აფხაზეთში
15. მსახიობი ... პაჩინო
16. დასტაქარი
17. ბაში აჩუკის ქუდი
18. ბილიარდის ჯოხი
19. ფეხბურთელი ზინედინ ...
20. მაიმუნის სახეობა
21. მხ/ფ „პერკეტი ..."
22. ნახევარი წრის ფორმის საგანი
23. მწერალი ... დე ბალზაკი
24. სათხილამურო-საჰაერო აკრობატიკა
25. თევზის ჯიში
26. გამარჯვების ქალღმერთი
27. რეჟისორი ... საურა
28. გაზაფხულის თვე
29. თვითმფრინავიდან გადმოსახტომი
30. ფორტეზე მაღალი ჟღერადობა
31. მეცნიერება მიწისძვრებზე
32. ნაბიჯი ბალეტში
33. მსახიობი სარა ...
34. რეჟისორი ... სპილბერგი
35. რას დებს ქათამი
36. მისი დედაქალაქია თეირანი
37. ადგილი თეატრში
38. ვრცელი ველები ჩრდ. ამერიკაში
39. იაპონური მულტიპლიკაცია
40. სიმაღლის საზომი ხელსაწყო
41. „დაისი" პერსონაჟი
42. მტაცებელი თევზი
43. მსახიობი ჯონ ...
44. ის, ვინც ნალებს აჭედებს
45. კომპოზიტორი ... ლოიდ ვებერი
46. მსახიობი ... სარალიძე
47. დასაქირავებელი მანქანა
48. მტაცებელი თევზი
49. ძველად შვეიცარიას ასე უწოდებდნენ
50. მსახიობი ... ბრინერი
51. ხმლის ბუდე
52. საეკლესიო კრება
53. მსახიობი ... სხირტლაძე
54. ქალის პირბადე
55. ძალიან ჭკვიანი ბავშვი
56. თვითნასწავლი მხატვრობა
57. სპორტ. ინვენტარის ფირმა
58. მსახიობი არკადი ...
59. ბურთის ტარება ფეხბურთში
60. ფრანგული ოქროს მონეტა
61. მსახიობი ... კალკინი
62. ქალაქი შოტლანდიაში
63. ესპანეთის დედაქალაქი
64. ჯუჯა ჟირაფი
65. მსახიობი ... კახიანი
66. მომღერალი ... მინოუგი
67. უსინათლოთა ანბანი
68. გრძელი ბალიში
69. მსახიობი ერიკ ...
70. ქედი საქართველოში
71. ტყის ფრინველი
72. მონღოლეთში: ოქროს ...
73. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
74. გრძელი, ვიწრო ხალიჩა
75. მდინარე იტალიაში
76. მსახიობი ... ასანტე
77. მუსიკოსი ... გილელსი
78. ქართ. საესტრადო ანსამბლი
79. სემი, ... და იაფეტი
80. სათვალიანი გველი
81. ნახ. კუნძული ევროპაში
82. კავშირი, გაერთიანება
83. შეწეული ხაზი ტექსტში
84. მაგიდის მოძრავი ნაწილი
85. კომპოზიტორი ... კვერნაძე
86. იაზონის გემი
87. ცეცხლის დასანთები წვირი
88. ჩრდილოეთის ირემი
89. მზის ამოსვლა
90. შოლოხოვი. „წყნარი ..."
91. მამალი ცხვარი
92. ფქვილით შეზელილი ბადაგი
93. ორგანული ნივთიერება
94. სომეხი რევოლუციონერი
95. მსახიობი ... რივზი
96. სპორტ. ინვენტარის ფირმა
97. ამოსახველებელი ნაყენი
98. ქვეყნის მეთაური
99. საკონცერტო დარბაზი ქალაქ იურმალაში
100. ნაკლი, ხინჯი
101. ვირას საპირისპირო ბრძანება
102. ინერტული აირი
103. შილაფლავის სახელებელი
104. კურორტი ბაღდათის რაიონში
105. ფოლგა
106. კვირის წინა საღამო
107. მონეტების შემგროვებელი
108. ცისარტყელას ფერი
109. ლანგარი
110. ერთი მომღერლის პარტია
111. სოფელი კასპის რაიონში
112. იატაკზე დასაგები ხის ნაჭრები
113. მეკობრე
114. პოეტი ... შევჩენკო
115. გველის ხმიანობა
116. სილა
117. ... პოპინსი
118. საწვავი აირი
119. სამკურნალო მცენარე
120. ნანული სარაჯიშვილი ფილმში
121. ქალაქი შიდა ქართლში
122. გულის მთავარი სისხლძარღვი
123. სამკაციანი ანსამბლი
124. სამსახურებრივი წინსვლა
125. ქალაქი იტალიაში
126. ტელეკოშკი
127. ტუალეტი გემზე
128. დიუმა. „... წლის შემდეგ"
129. შოკოლადის ხის ნაყოფი
130. ახლადმოჭრილი წვეპლა
131. მუხის ნაყოფი
132. ჩაით გაშენებული ადგილი
133. სიმსივნის ფორმა
134. ფოლადის სადნობი ღუმელი
138. მსახიობი ... რიშარი
139. პარფიუმ. ფირმა „...-პარი"
140. სვირინგი
141. სრული გამარჯვება ძიუდოში
142. იაპონური ჭადრაკი
143. ყვავილი

პასუხები: 1. მაჭარი; 2. ბალანი; 3. მაყალი; 4. პეკინი; 5. ქერქი; 6. დრაიზერი; 7. ომბუდსმენი; 8. გრაგნილი; 9. მამალაძე; 10. ფარგალი; 11. ნიკოლოზ; 12. კონუსი; 13. ბერიმორი; 14. რიწა; 15. ალ; 16. ქირურგი; 17. ფაფანაკი; 18. კიი; 19. ზიდანი; 20. მირიკინი; 21. კაკალი; 22. რკალი; 23. ონორე; 24. ფრისტაილი; 25. სვია; 26. ნიკე; 27. კარლოს; 28. მარტი; 29. პარაშუტი; 30. ფორტისიმო; 31. სეისმოლოგია; 32. პა; 33. მონტიელი; 34. სტივენ; 35. კვერცხი; 36. ირანი; 37. ბალკონი; 38. პრერია; 39. ანიმე; 40. ალტიმეტრი; 41. კიაზო; 42. მურენა; 43. ტრავოლტა; 44. ნალბანდი; 45. ენდრიუ; 46. ტრისტან; 47. ტაქსი; 48. ქარიყლაპია; 49. ჰელვეცია; 50. იულ; 51. ქარქაში; 52. სინოდი; 53. დუტა; 54. მანდილი; 55. ვუნდერკინდი; 56. ნაივი; 57. „ადიდასი"; 58. რაიკინი; 59. დრიბლინგი; 60. ლუიდორი; 61. მაკოლეი; 62. გლაზგო; 63. მადრიდი; 64. ოკაპი; 65. იმედა; 66. კაილი; 67. ბრაილი; 68. მუთაქა; 69. ბანა; 70. თრიალეთი; 71. კოდალა; 72. ურდო; 73. მედინა; 74. ფიანდაზი; 75. პო; 76. არმან; 77. ემილ; 78. „ივერია"; 79. ქამი; 80. კობრა; 81. სკანდინავია; 82. ალიანსი; 83. აბზაცი; 84. უჯრა; 85. ბიძინა; 86. „არგო"; 87. ასანთი; 88. მარალი; 89. აისი; 90. დონი; 91. ერკემალი; 92. ფელამუში; 93. ანილინი; 94. კამო; 95. კიანუ; 96. „ნაიკი"; 97. ალოე; 98. პრეზიდენტი; 99. „ძინტარი;" 100. ზადი; 101. მაინა; 102. ნეონი; 103. ძირა; 104. საირმე; 105. კილიტა; 106. კვირაძალი; 107. ნუმიზმატი; 108. იისფერი; 109. სინი; 110. სოლო; 111. გრაკალი; 112. პარკეტი; 113. პირატი; 114. ტარას; 115. სისინი; 116. ქვიშა; 117. მერი; 118. პროპანი; 119. ალოე; 120. „მანანა"; 121. კასპი; 122. აორტა; 123. ტრიო; 124. კარიერა; 125. პარმა; 126. ანძა; 127. გალიუნი; 128. ოცი; 129. კაკაო; 130. როზგი; 131. რკო; 132. პლანტაცია; 133. კისტა; 134. მარტენი; 135. ნონ; 136. მარადია; 137. ზაკ; 138. პიერ; 139. ისი; 140. ტატუ; 141. იპონი; 142. გო; 143. ია. იკითხება: იური ნიკულინი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. ძველ საბერძნეთში: ალექსანდრე ...
2. სიმინდის ფქვილის კვერი
3. რუსი საბჭოთა კარიკატურისტები
4. თეთრი მასა ლუდის თავზე
5. ფსიქიატრი ზურაბაშვილი
6. ქალაქი უკრაინაში
7. კვარცხლბეკი
8. ჟამი
9. ვარცხნილობის ოსტატი
10. წყალქვეშსასუნთქი აპარატი
11. ექსპრეზიდენტი ბილ ...
12. ებრაული ენა
13. „ქვევრი“ პოლიციელი
14. ფრანგი იმპერატორი
15. ნაცია
16. კუნძული ინდონეზიაში
17. მსახიობი გეიდარ ...
18. სრული გამარჯვება ძიუდოში
19. „12 სკამი“ ოსტაპ ...
20. კუროორტი ხარაგაულის რაიონში
21. იგი სწავლობდა რეფლექსებს
22. ღრმული წყნარ ოკეანეში
23. წრის ფორმის საგანი
24. საბჭოთა პერიოდის ექსტრასენსი
25. ფალიაშვილის ოპერა
26. მომღერალი ... კოროშინაძე
27. პროფესორი ... მეტრეველი
28. მონათა აჯანყების წინამძღოლი
29. ნაჭუჭიანი ნაყოფი
30. მდინარე ინდოეთში
31. მხ/ფ „როგორ მოვიპაროთ ...“
32. არგენტინული ცეკვა
33. მსახიობი ... დეინსი
34. რეჟისორი ლუკ ...
35. ცეცხლგამძლე მასალა
36. ძვირფასბეწვიანი მღრღნელი
37. ძროხის ნაშიერი
38. მხატვარი პოლ ...
39. „დათა თუთაშხია“ ნიკანდრო ...
40. ოტელოს ეროვნება
41. ესპანელი მხატვარი
42. ციხესიმაგრე თბილისში
43. ქალაქი შიდა ქართლში
44. მსახიობი ... სიხარულიძე
45. ცისარტყელას ფერი
46. მიმართვა იაპონელი მამაკაცისადმი
47. სახელმწიფო დაფინანსება
48. ნამუსი
49. შინაური მტაცებელი ცხოველი
50. მსახიობი ... დელონი
51. შიიზმის მიმდევარი
52. ბალახის მოსათიბი იარაღი
53. მსახიობი ადვარდ ...
54. სტადიონი რიოში
55. მფრინავი
56. ანსამბლი „სტატუს ...“
57. ჩემოდანი დოკუმენტებისათვის
58. შიშველი სხეული მხატვრობაში
59. ქალაქი ფლორიდის შტატში
60. შრომა
61. ახლად ამოწვერილი ხორბალი
62. ურჩხული ქართულ ზღაპრებში
63. მსახიობი მედეა ...
64. აივენჰოს სატრფო
65. მოგზაურობა გემით
66. პალმის ნაყოფი
67. შავი ჩადრი
68. „მატრიცა“ ჰაკერი
69. სამზარეულო ჭურჭლის ფირმა
70. ედუარდო დე ფილიპო. „... მარტურანო“
71. „ბითლზების“ მშობლ. ქალაქი
72. სპექტაკლი „ძველი ...“
73. მსახიობი ... მონტანი
74. მომღერალი ... საპირსი
75. ინსტიტუტის მოსწავლე
76. ბირმის დედაქალაქი
77. უნივერსიტეტი „...-მატერი“
78. მაღალი შენობა
79. დაწმენდილი შაქარი
80. ვინი პუჰის ავტორი
81. კუნძული ატლანტის ოკეანეში
82. მსახიობი იაკობ ...
83. ტელეანძა მოსკოვში
84. რეჟისორი რობიკო ...
85. წყლის გრაციოზული ფრინველი
86. კომპოზიტორი ... კალმანი
87. გეომ. ფიგურის გვერდების სიგრძეების ჯამი
88. სპორტ. სახეობა ფიგურული ...
89. საოპერო პარტია
90. მდინარე ევროპაში
91. მოსამსახურე (ძვ.)
92. სამატომიანი ჟანგბადი
94. აბატი პრევო. „... ლესკო“
95. ქართ. ანბანის ბოლო ასო
95. პოეტების საკრებულო მთა
96. თაღი
97. ტბა თბილისში
98. მსახიობი ... აფლეკი
99. დაწნული საწოლი
100. ჰომეროსის პოემა
101. ქართ. ფილმი ზღაპარი
102. რეჟისორი ... მჭედლიძე
103. ანტილოპას სახეობა
104. თეფში
105. ჩოგბურთის მოედანი
106. ვაზის მოჭრილი ტოტები
107. მსახიობი ვინსან ...
108. რა ცხოველია რიკი-ტიკი-ტავი
109. ამერიკელი მომღერალი ქალი
110. ... ფერსა, მადლი ღმერთსა
111. გულიანი კანფეტი
112. სამანიშვილების სიძე
113. მსახიობი ... ჰარისი
114. გულის დაავადება
115. მხარე ფინეთთან
116. „მატრიცა“ კერი-ენ მოსი
117. ზღვაოსანი ... და გამა
118. კედლის მანდილი
119. ჟან დიუჟარდენი ფილმში
120. ეთიოპიის დედაქალაქი ...-აბება
121. მსახიობი ... ლონგორია
122. აწჩხლი
123. ჟან რენო ფილმში
124. მსახიობი ... ელიავა
125. წრილი
126. ცხენების ჯოგი
127. კავშირებითი სიტყვა
128. მორზეს ანბანის ნიშანი
129. ქართ. სამარკო ღვინო
130. ... გათეთრებულის ყორანი
131. „ქვინი“ ... მერკური
132. მეჭეჭების მოსაწვავი სითხე
133. ძეხვეული პროდუქტი
134. პირველი ორნიშნა რიცხვი
135. ყველაზე პატარა ფრინველი
136. კომპოზიტორი ... სებასტიან ბახი
137. მსახიობი ... პაჩინო
138. ოსური ცეკვა
139. ფეხბურთის საერთაშ. ორგანიზაც.
140. ვოკალური კომპოზიცია გუნდის, სოლისტებისა და ორკესტრისათვის
141. მწერლები ... და პეტროვი



პასუხები: 1. მაკედონელი; 2. მჭადი; 3. კუკრინიკსები; 4. ქაფი; 5. ავლიპი; 6. ლვოვი; 7. პოსტამენტი; 8. დრო; 9. სტილისტი; 10. აკვალანგი; 11. კლინტონი; 12. ივრითი; 13. სამჭკუაშვილი; 14. ნაპოლეონი; 15. ერი; 16. იავა; 17. ფალავანდიშვილი; 18. იპონი; 19. ბენდერი; 20. ნუნისი; 21. პავლოვი; 22. მარიანი; 23. რგოლი; 24. კაშპიროვსკი; 25. „დაისი“; 26. სულიკო; 27. როინ; 28. სპარტაკი; 29. ნუში; 30. ინდი; 31. მილიონი; 32. ტანგო; 33. კლერ; 34. ბესონი; 35. ასბესტი; 36. ონდატრა; 37. ხბო; 38. გოგენი; 39. ქილია; 40. მავრი; 41. გოია; 42. ნარიყალა; 43. გორი; 44. გივი; 45. იისფერი; 46. სან; 47. დოტაცია; 48. სინდისი; 49. კატა; 50. ალენ; 51. შიიტი; 52. ცელი; 53. ნორტონი; 54. „მარაკანა“; 55. პილოტი; 56. კვო; 57. კეისი; 58. ნიუ; 59. მაიამი; 60. ჯაფა; 61. ჯეჯილი; 62. გველეშაპი; 63. ჯაფარიძე; 64. როენა; 65. კრუიზი; 66. ფინიკი; 67. ფარანჯა; 68. ნეო; 69. ტეფალი; 70. ფილუმენა; 71. ლივერპული; 72. ვოდევილები; 73. ივ; 74. ბრიტნი; 75. სტუდენტი; 76. მიანმა; 77. ალმა; 78. კოშკი; 79. რაფინადი; 80. მილნი; 81. გრენლანდია; 82. ტრიპოლსკი; 83. ოსტანკინო; 84. სტურუა; 85. გედი; 86. იმრე; 87. პერიმეტრი; 88. სრიალი; 89. არია; 90. დნეპრი; 91. ფარეში; 92. ოზონი; 93. ჰაე; 94. მანონ; 95. პარნასი; 96. არკა; 97. ლისი; 98. ბენ; 99. ჰამაკი; 100. „ილიადა“; 101. „ცისკარა“; 102. ნანა; 103. კანა; 104. საინი; 105. კორტი; 106. წალამი; 107. კასელი; 108. მანგუსტი; 109. ენია; 110. ფერი; 111. კარამელი; 112. კირილე; 113. ედ; 114. მანკი; 115. კარელია; 116. ტრინიტი; 117. ვასკო; 118. ბრა; 119. „არტისტი“; 120. ადის; 121. ევა; 122. ავი; 123. „ლეონი“; 124. ლია; 125. ბარათი; 126. რემა; 127. რომ; 128. ტირე; 129. „ნაფარეული“; 130. არ; 131. ფრედი; 132. ლაპისი; 133. სოსისი; 134. ათი; 135. კოლიბრი; 136. იოჰან; 137. ალ; 138. სიმდი; 139. ფიფა; 140. კანტატა; 141. ილფი. იკითხება: პარაშუტი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ქვის სამარხი
2. მსახიობი გეიდარ ...
3. რუკების კრებული
4. ხმადაბალი ჟღერადობა მუსიკაში
5. მსახიობი ... ბესინჯერი
6. ყვავის ბარტყი
7. ავტონომ. რესპუბლიკა საქართველოში
8. მსახიობი ... პაპანოვი
9. ზღაპარი „რწყილი და ...“
10. ნიჩბებიანი ტრანსპორტი
11. წყალქვეშა ჭურვი
12. მსახიობი დოლფ ...
13. სფეროს ფორმის ტყვიები
14. ლურჯი ნივთიერება თეთრეულისათვის
15. „მთვარის მოტაცება“ პერსონაჟი
16. თანამედროვე გიგანტ. ხვლიკი
17. პარფიუმ ფირმა ...-პარი
18. კაკლის დასაბერტყი ჯოხი
19. უკრაინის პარლამენტი
20. მსახ. ... ზაქარიაძე
21. მოგებული პარტია ნარდში
22. წყალქვეშ სასუნთქი მოწყობილობა
23. მსახ. ... გოძიაშვილი
24. მხატვარი ... დალი
25. ძველებური პატრუქიანი თოფი
26. მიმართვა იაპონელი ქალისადმი
27. ზრდადაუსრულებელი ქათამი
28. მტაცებელი ფრინველი
29. მტაცებელი ცხოველი სავანაში
30. ადგილი, სადაც ცხენები დარბიან
31. აივენჰოს სატრფო
32. სოფელი ოზურგეთის რაიონში
33. წვეტიანი გოდორი
34. მსახიობი ლეილა ...
35. ცივი იარაღი
36. კოშკი ლონდონში ...-ბენი
37. აზროვნების ორგანო
38. აკიმის ბაბუა (ფილმიდან)
39. ცეცხლ. იარაღის მარკა
40. ჭადრაკში: ... დაცვა
41. სამსახურებრივი წინსვლა
42. „ქალი კამელიებით“ ... გოტიე
43. ფიზიკოსი ალბერტ ...
44. გაცოცხლებული მიცვალებული
45. პოლიტიკოსი ჯავაჰარლალ ...
46. ძვ. რუსული სიგრძის ერთეული
47. ნაწარმოების შესავალი ნაწილი
48. მომღერალი მუსლიმ ...
49. ციხესიმაგრ. იჯდა აბატი ფარია
50. მსახ. ... ამირანაშვილი
51. ქუჩა ნიუ-იორკში
52. მკერდის კორექციის მასალა
53. მოჭიდავე (მოძვ.)
54. ქალაქი ქვემო ქართლში
55. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
56. სწავლის ... მწარე არის
57. ყურძნის არაყი
58. მხ/ფ „მერი შელის ...“
59. მომღერალი ... სპირსი
60. ... ურჩევნია მამულსა
61. მოქანდაკე ოგიუსტ ...
62. ობობის ქსელი
63. საოპერო პარტია
64. ფრინველი სამხ. პოლუსზე
65. სააგიტაციო ვიდეორგოლი
66. ქართ. მინერალური წყალი
67. მდინარე ყვარლის რაიონში
68. ბუდისტი მღვდელი
69. პაკისტანის დედაქალაქი
70. მომღერალი ... დილანი
71. ერთკუზიანი აქლემი
72. ლონდონის ცენტრი
73. მისი დედაქალაქია ოსლო
74. გალაქტიკა ანდრომედას ...
75. წყლის ორმო ოწნარით
76. გამომგონებელი თომას ...
77. „ბითლზი“ ჯონ ...
78. ლოქო
79. ბალზამირებული სხეული
80. მსახიობი ... ნოლტი
81. კუნძული იაპონიაში
82. ...-დე-ჟანეირო
83. მსახიობი ... მახარაძე
84. ... და სიცილი მეგობრები არიანო
85. ბალანი, ანუ ...
86. შტატი აშშ-ში
87. შტატი აშშ-ში
88. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
89. მევიოლინე ვანესა ...
90. ცნობა, ანუ ...
91. ულვაში წვერთან ერთად
92. აკრძალვა ეპიდემიის დროს
93. მსახიობი როჟე ...
94. მხ/ფ „როცა აყვავდა ...“
95. ვირას საპირისპირო ბრძანება
96. საკანი
97. ფეხბურთის „მეფე“
98. ელვის ... პრესლი
99. მტაცებელი თევზი ამაზონში
100. ქალაქი საქართველოში
101. ქალაქი რუსეთში
102. დაწმენდილი შაქარი
103. ყვავილი
104. ცხენირემი
105. მოძრავი რადიოსადგური
106. პარიკმახერი
107. სამშენებლო მასალა
108. დასარტყამი საკრავი
109. ერთგვარი კანფეტი
110. თხოვნა, სრულდება სიკვდილის შემდეგ
111. რაში რგავენ ყვავილებს
112. ერთგვარი ნამცხვარი
113. ძველი ნახატის აღდგენა
114. დედალი ცხენი
115. ჯუჯა კამეჩი
116. გაქრისტიანებული არაბი ყმაწვილი
117. თოვლის კრის- ტალი
118. პანტომიმის მსახიობი ... მარსო
119. სომხეთის ძველი დედაქალაქი
120. ებრაელთა საღვთო წიგნი
121. მოჭადრაკე ... კუშნირი
122. მწერალი ... ჭავჭავაძე
123. კუნძული პარიზში
124. ყველაზე მტკიცე მინერალი
125. ექსპრომტი
126. თაგუნია ... მაუსი
127. იალქანი
128. ... სულაკაური
129. იგავი
130. საომარი ნადავლი
131. თევზის ძვალი
132. ყაჩაღი ილია ჭავჭავაძის პოემაში
133. მსახიობი ჯენიფერ ...
134. დირიჟორის სამოსი
135. მოუხარშავი, ანუ ...
136. ნელი ტემპი მუსიკაში
137. მსახიობი ... გიბსონი
138. კუნძული ინდონეზიაში
139. რძის პროდუქტი
140. პირველი წინადადება ... ია

პასუხები: 1. სარკოფაგი; 2. ფალავანდიშვილი; 3. ატლასი; 4. პიანო; 5. კიმ; 6. ბახალა; 7. აჭარა; 8. ანატოლი; 9. ჭიანჭველა; 10. ნავი; 11. ტორპედო; 12. ლუნდგრენი; 13. საფანტი; 14. ლილა; 15. ემხვარი; 16. ვარანი; 17. ისი; 18. ხალა; 19. რადა; 20. სერგო; 21. ოინი; 22. აკვალანგი; 23. ვასო; 24. სალვადორ; 25. არკებუზი; 26. ტიან; 27. ვარია; 28. კონდორი; 29. აფთარი; 30. იპოდრომი; 31. როენა; 32. ნაგომარი; 33. გიდელი; 34. აბაშიძე; 35. გორდა; 36. ბიგ; 37. ტვინი; 38. პიპინია; 39. პარაბელუმი; 40. სიცილიური; 41. კარიერა; 42. მარგარიტა; 43. აინშტაინი; 44. ზომბი; 45. ნერუ; 46. არშინი; 47. პროლოგი; 48. მაგომაევი; 49. იფი; 50. ამირან; 51. ბროდვეი; 52. სილიკონი; 53. მორკინალი; 54. ბოლნისი; 55. მემ; 56. ძირი; 57. ჭაჭა; 58. ფრანკენშტაინი; 59. ბრიტნი; 60. ის; 61. როდენი; 62. აბლაბუდა; 63. არია; 64. პინგვინი; 65. რეკლამა; 66. ნაბეღლავი; 67. ლოპოტა; 68. ლამა; 69. ისლამაბადი; 70. ბობ; 71. დრომადერი; 72. სიტი; 73. ნორვეგია; 74. ნისლეული; 75. ჭა; 76. ედისონი; 77. ლენონი; 78. ღლავი; 79. მუმია; 80. ნიკ; 81. ოკინავა; 82. რიო; 83. კოტე; 84. ტირილი; 85. თმა; 86. ალაბამა; 87. არკანზასი; 88. ინდიგო; 89. მეი; 90. სერტიფიკატი; 91. ქილვაში; 92. კარანტინი; 93. ვადიმი; 94. ნუში; 95. მაიანა; 96. დილეგი; 97. პელე; 98. აარონ; 99. პირანია; 100. ქუთაისი; 101. ტულა; 102. რაფინადი; 103. ვარდი; 104. ლოსი; 105. რაცია; 106. დალაქი; 107. არმატურა; 108. დაირა; 109. ნუგა; 110. ანდერძი; 111. ქოთანი; 112. ვაფლი; 113. რესტავრაცია; 114. ფაშატი; 115. ანოა; 116. აბო; 117. ფიფქი; 118. მარსელ; 119. ანისი; 120. თორა; 121. ალა; 122. ილია; 123. სიტე; 124. ალმასი; 125. კაფია; 126. მიკი; 127. აფრა; 128. ზაალ; 129. არკა; 130. ალაფი; ფხა; 132. კაკო; 133. ტილი; 134. ფრაკი; 135. უმი; 136. ანდანტე; 137. მელ; 138. იავა; 139. მაწონი; 140. აი. იკითხება: გვირგვინი.

## სალომე ზურაბიშვილი — რუსეთთან საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა სჯობს შეღავათს, რომელსაც არ იცი, როდის მოგიხსნიან



– ის, რომ ფულადი გადახდა უნდა მივიღოთ რუსეთისგან გაზის სანაცვლოდ, ეს არის საერთაშორისო სტანდარტი, რაც ჯობია შეღავათს, რომელსაც არ იცი, როდის მოგიხსნიან, – ამის შესახებ „გაზპრომთან“ დაკავშირებული პროცესების შეფასებისას საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა.

– ირანის მხრიდან სომხეთს რუსეთი ვერ მიაწოდებს გაზს, ეს არ არის რეალური. მე არ ვიცი, რა სიტყვები იხმარა კალაძემ, მაგრამ ულტიმატუმი არაფერ შუაშია. ის, რომ ფულადი გადახდა უნდა მივიღოთ ამ გაზის სანაცვლოდ, ეს არის საერთაშორისო სტანდარტი. ჩვენ აქამდე გვქონდა სხვა პირობები. ის, რომ რუსეთი აღარ თანხმდება იმ ძველ პირობებს, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გადავედით საერთაშორისო სტანდარტებზე მათთან ურთიერთობაში, რაც ვთვლი, რომ ჯობია იმას, რომ რუსეთისგან გვქონდეს შეღავათიანი პირობები, რასაც როდის მოგიხსნიან, არ იცი. ამაში ვერაფერს ისეთს ვერ ვხედავ, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

მისივე თქმით, ამ თემასთან დაკავშირებით აჟიოტაჟია ატეხილი იმ მხარისგან, რომელმაც თავის დროზე ბევრად მეტი დანაშაული ჩაიდინა რუსეთთან ენერგეტიკული ურთიერთობების თვალსაზრისით. (ინტერპრესნიუსი)

## ISIS-ის მებრძოლებმა ქრისტიანული ტაძარი გაანადგურეს

ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა ერაყის უძველესი ქრისტიანული მონასტერი გაანადგურეს.

ინფორმაციას „ასოშიეიტედ პრესი“ თანამგზავრიდან გადაღებულ სურათებზე დაყრდნობით ავრცელებს. წმინდა ილიას მონასტერი ერაყის ჩრდილოეთში, სირიის საზღვარზე მდებარეობს. მონასტერი 595 წელს ასურელმა ბერმა – ილიამ დააფუძნა. 1743 წელს ირანის მმართველმა ნადირ-შაჰმა ასურელ ბერებს წმინდა ილიას მონასტრის დატოვება ან ისლამის მიღება მოსთხოვა. დაახლოებით 30 ბერი, რომლებმაც პირობების შესრულებაზე უარი თქვეს, შაჰის ბრძანებით მოკლეს. (metronome.ge)

# კახა კუკავა: „მოვემზადოთ ივანიშვილის ხელისუფლების დემონტაჟისა და გასამართლებისთვის“



### რის თქმას აპირებს არასაპარლამენტო ოპოზიცია ევროსაბჭოში?


დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

ინტერპარტიული ჯგუფი 28 იანვარს გარდაბნის გამგებლის რიგგარეშე არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს. ოპოზიციური პარტიები ამბობენ, რომ არსებული საარჩევნო სისტემის ფონზე აღნიშნული არჩევნების ჩატარება არალეგიტიმურია. ისინი მოუწოდებენ ყველა ოპოზიციურ პარტიას, არ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში:

„ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ და მასში შემავალმა პოლიტიკურმა პარტიებმა, კერძოდ, „ქართულმა ოცნებამ“ „რესპუბლიკურმა პარტიამ“ „კონსერვატიულმა პარტიამ“ „მრეწველებმა“ და „ეროვნულმა ფორუმმა“ არ შეასრულეს ამომრჩევლისთვის მიცემული, ერთ-ერთი უმთავრესი დანაპირები, რომელიც საარჩევნო სისტემის ძირეულ ცვლილებას შეეხებოდა. მესამე წელია, სახელისუფლებო კოალიცია, ყველანაირად გაურბის პოლიტიკურ ოპოზიციასთან კონსულტაციებს, რითაც იგნორირებას უკეთებს, ევროსაბჭოსა და ვენეციის კომისიის არაერთ რეკომენდაციას, საარჩევნო სისტემის ცვლილების თაობაზე“.

**რა შედეგს ელოდებიან არჩევნების ბოიკოტირებით ოპოზიციური პარტიები? რის თქმას აპირებენ ევროსაბჭოში?**

**„ალიას“ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი, კახა კუკავა ესაუბრა:**

– საგარეჯოს არჩევნების შემდეგ ჩვენ ვთანამშრომლობთ „პატრიოტთა ალიანსთან“, შევხვდით ერთმანეთს, გავაანალიზეთ ის არჩევნები და მივხვდით, რომ, რამდენი ხმაც არ უნდა აიღო კონკრეტულ რეგიონში, ამას აზრი არა აქვს, იმიტომ, რომ დღეს საქართველოს ხელისუფლებაში ჰყავს ყველაზე დიდი გამყალბებელი მთავრობა და საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა რამდენ ხმას აიღებ, მაინც იმდენს ხმას დაიწერს, რამდენიც უნდა. აი, ეს არის უპრინციპო, უსინდისო ხელისუფლების მიდგომა.

აქედან გამომდინარე, ამ ხელისუფლებას დემონტაჟის გარდა, სხვა არაფერი უშველის, სხვა გამოსავალი არ არსებობს. შესაბამისად, ოპოზიციური პარტიები ვთანხმდებით, რომ ამ პირობებში არჩევნების ჩატარებას აზრი არ აქვს, ეს არის დიაგნოზი. ასე მარტო კახა კუკავა, ირაკლი ალასანია, ნინო ბურჯანაძე და „მემარცხენე ალიანსი“, პროამერიკული ძალები რომ საუბრობდნენ, შესაძლოა, ვინმეს ეთქვა, რომ ეს იყო სუბიექტური მოსაზრება, მაგრამ როდესაც ქვეყანაში ყველა, დედაბუდიანად, „ქოცებისა“ და „ნაცების“ გარდა, ფიქრობს, რომ ამ არჩევნებში მონაწილეობას აზრი არა აქვს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არის ძალიან დიდი სიგნალი, რომელსაც ყველამ ანგარიში უნდა გავუწიოთ და მოვემზადოთ ივანიშვილის ხელისუფლების დემონტაჟისა და გასამართლებისთვის. დღეს არსებულ ვითარებაში გარდაბნის არჩევნებში გამორიცხულია რაიმე შედეგის მიღწევა, ჩვენ რომ დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობდეთ, მაშინ კიდევ შესაძლებელი იქნებოდა რაიმე შედეგისთვის ბრძოლა.

**— ამ ბოიკოტის შედეგად რას ელით?**

– ჩვენ ველოდებით იმ შედეგს, რომელსაც ნაწილობრივ უკვე მივაღწიეთ. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ოპოზიცია ნელ-ნელა ერთიანდება და ჩვენ ყველას ძალიან კარგად უნდა გვესმოდეს და ყველას უნდა ესმოდეს, რომ ივანიშვილის რეჟიმი დგას იმაზე, რომ დღეს ოპოზიცია არ არის ერთიანი. შესაბამისად, ეს ხელისუფლება იარსებებს მანამ, სანამ ოპოზიცია არ გაერთიანდება. ივანიშვილის ხელისუფლებას აწყობს ოპოზიციის დაქსაქსულობა. თუ ივანიშვილის შეთავაზებებზე არ წამოეგებიან ოპოზიციის გარკვეული ძალები, შედეგად მივაღწევთ იმას, რომ ოპოზიცია გაერთიანდება, შედეგად კი ივანიშვილის ხელისუფლება დაემხობა. თუ ხელისუფლების ბოლო პერიოდის რეიტინგებს შევადარებთ ერთმანეთთან, ვნახავთ, რომ არც ერთი ხელისუფლების რეიტინგი არ ყოფილა ისე ახლოს ნულთან, როგორც დღევანდელი ხელისუფლების რეიტინგია.

**— ოპოზიციის ერთიანობა ახსენეთ, ხომ არ მიმდინარეობს მოლაპარაკება ოპოზიციის გაერთიანებაზე ისე, როგორც ეს 2009 წელს მოხდა?**

– ამაზე კონსულტაციები მიმდინარეობს, საუბარია როგორც შესაძლო ფორმატებზე, ასევე სხვა საკითხებზეც, რაც ჯერჯერობით არ არის დასრულებული პროცესი, სწორედ ამიტომაც არის მნიშვნელოვანი გარდაბნის არჩევნების ბოიკოტირება, ეს არის ერთ-ერთი ეტაპი იმისა, რომელიც იქნება კატალიზატორი იმისა, რამდენად შეუძლია გაერთიანება ოპოზიციას. ამ ეტაპზე კი ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ ქვეყანაში ყოველგვარი ბოროტების სათავე არის ბიძინა ივანიშვილი.

**— ოპოზიციის გაერთიანებაზე ამ დროისთვის ხომ არ გამოკვეთილა ვინმეს მხრიდან მტკიცე უარი?**

– იდეურ გაერთიანებაზე არავის მხრიდან ჯერჯერობით არ ყოფილა გამოკვეთილი უარი. რაც შეეხება იმას, რომ ეს ერთიანობა ჩამოყალიბდეს კოალიციის სახით, ამ მხრივ ჯერჯერობით არ არსებობს გამოკვეთილი პროგრესი.

**— ევროსაბჭოში აპირებთ წასვლას. კონკრეტულად რა საკითხებზე ისაუბრებთ?**

– ჩვენ იქ მიწვეული ვართ მემარცხენე პარტიის მიერ, ამ პარტიასთან ჩვენ ვთანამშრომლობთ და ვაპირებთ, ზოგადად, იმ სიტუაციაზე საუბარს. რაც შეეხება ოლიგარქიულ მმართველობას, არადემოკრატიულ მმართველობას, გარკვეული სახით ზეწოლებს, ელიტურ კორუფციას, რაც აქტუალური იყო წინა ხელისუფლების დროს და დღემდე დარჩა აქტუალურ საკითხად და ა.შ.

**— გვინდა თუ არ გვინდა ქვეყანაში პოლიტიკურ საკითხებს ბიძინა ივანიშვილი წყვეტს, ამ ყველაფერს რომ მოუყვებით საერთაშორისო საზოგადოებას, ამით რა შედეგს ელოდებით, მათგან ივანიშვილზე ზეწოლას ელით?**

– ბუნებრივია, ბიძინა ივანიშვილი არის შეუცვლელი ოლიგარქი, შესაბამისად, ჩვენი მთავარი მიზანია, საკითხი გადაწყდეს საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის შედეგად. ივანიშვილმა პასუხი უნდა აგოს იმიტომ, რომ საქართველო დღეს არის გარკვეული სახის პოლიტიკური პერიფერია, შესაბამისად, ივანიშვილი ამ პოლიტიკურ ავანსცენას უნდა ჩამოშორდეს. ეს არის ფეოდალიზმი, არ შეიძლება 21-ე საუკუნეში ხელისუფლებას მართავდეს ოლიგარქი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ეს აქტივობა მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ამ საკითხში. ქვეყანაში შექმნილი ამ სიტუაციის დროს ვხედავთ იმას, რომ საარჩევნო სიაში მოსახვედრად თავს იკლავენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მთელი ოთხი წლის განმავლობაში თვალითაც კი არ გვინახავს. თუმცა დღეს ამოიდგეს ენა. ქართველმა საზოგადოებამ ძალიან კარგად დაინახა, რომ „ქართული ოცნება“ – ეს არის თანამდებობაზე დახარბებული ამორალური ადამიანების ჯგუფი, რომელთაც არანაირი საერთო არა აქვს იმ ვითარებასთან, რაც შექმნილია ქვეყანაში. თუმცა სჯობს, გვიან, ვიდრე არასდროს და 2016 წლის არჩევნებზე ქართველმა საზოგადოებამ უნდა აღიაროს, რომ გასულ არჩევნებზე დაუშვეს დიდი შეცდომა, როდესაც მხარი დაუჭირეს „ქართულ ოცნებას“. მათ ასევე უნდა აღიარონ, რომ მხარი უნდა დაუჭირონ იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც მთელი ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილან შემჩნეული ხელისუფლებასთან პოლიტიკურ კორუფციაში.

> **„ივანიშვილმა პასუხი უნდა აგოს იმიტომ, რომ საქართველო დღეს არის გარკვეული სახის პოლიტიკური პერიფერია, შესაბამისად, ივანიშვილი ამ პოლიტიკურ ავანსცენას უნდა ჩამოშორდეს. ეს არის ფეოდალიზმი, არ შეიძლება 21-ე საუკუნეში ხელისუფლებას მართავდეს ოლიგარქი...“**

## ბაღების სააგენტო: თუ ბავშვი გაციებულია, სურდო, ან ტემპერატურა აქვს, ბაღში არ დაიშვება

ამის შესახებ ბაღების მართვის სააგენტოს ბავშვთა კვების, ჰიგიენისა და სკოლამდელი აღზრდის განვითარების სამსახურის უფროსმა თამთა ამნიაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, ამ კუთხით ვითარება ბაღებში კონტროლდება, თუმცა ამის მიუხედავად, ყოფილა შემთხვევები, როცა მშობლებს სიცხიანი ბავშვი სიცხის დამწევის მიცემის შემდეგ ბაღში მაინც დაუტოვებიათ.

– თხოვნა იქნება ჩემი მხრიდან მშობლების მიმართ, რომ, სანამ ბოლომდე არ გამოჯანმრთელდება ბავშვი, სურდო ან ტემპერატურა ან რაიმე თუ აღენიშნება, ძალიან ვთხოვ მშობლებს, ნუ მოიყვანენ ბაღში, რომ არ მოხდეს ვირუსის გავრცელება. ექთანი და აღმზრდელები ყოველდღიურად ამოწმებენ ამას და ორი კვირის განმავლობაში ცნობაც არ მოეთხოვებათ მშობლებს.

იყო შემთხვევები, როცა დილით ბავშვს წამალს მისცემდნენ და შეჰყავდათ ჯგუფში, ტოვებდნენ, მერე ხდებოდა ტემპერატურის აწევა და მერე მათ უკან მიჰყავდათ. რა თქმა უნდა, მშობელმა თვითონ არ უნდა მიიყვანოს შვილი ასეთ მდგომარეობაში, ეს მშობლების კეთილსინდისიერებაზეც არის დამოკიდებული, თუმცა ჩვენი მხრიდანაც კონტროლდება. ბაღს ჰყავს ექთანი, რომელიც ამას აკონტროლებს, აღმზრდელებიც ამოწმებენ, რომ ბავშვს არ აღენიშნებოდეს ტემპერატურა, სურდო, ხველა ან რაიმე ასეთი სიმპტომი, – აცხადებს თამთა ამნიაშვილი. მისივე თქმით, ჯერჯერობით რომელიმე ბაღში **H1N1** ვირუსის შემთხვევა არ დაფიქსირებულა. (ipress.ge)

## ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის სამი სავარაუდო კანდიდატი ცნობილია

**20/30.news**-სთვის საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის სამი კანდიდატის ვინაობა გახდა ცნობილი. ესენი არიან – გიორგი ბაქრაძე, რომელიც ამ დროისთვის ეროვნულ ბანკში მუშაობს, აგრეთვე, ნია შარაშიძე და არჩილ იაკობაშვილი.

ნია შარაშიძე და არჩილ იაკობაშვილი პროფესიით ფინანსისტები არიან. ორივე მათგანი ასოცირებული პროფესორია.

ამასთანავე, საქართველოს პრეზიდენტს ბანკის საბჭოს წევრობის კანდიდატები ოფიციალურად 27 იანვარს უნდა წარუდგინონ. ამ დროისთვის სულ საუბარია ოთხ კანდიდატზე, თუმცა არ არის გამორიცხული, მათი რაოდენობა კიდევ გაიზარდოს.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტს გიორგი ქადაგიძეს ვადა 2016 წლის თებერვალში ეწურება. ახალი პრეზიდენტი საბჭოს წევრებიდან აირჩევა. (რეპორტიორი)

## 62 უმდიდრესი ადამიანის ქონება = დედამიწის მოსახლეობის 50 პროცენტის ქონებრივ მდგომარეობას



საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია **„oxfam“**-ის მონაცემებით, მსოფლიოში სუპერმდიდარი ადამიანები ბოლო წლებში კიდევ უფრო გამდიდრდნენ, ხოლო ღარიბები კიდევ უფრო გაღარიბდნენ.

მსოფლიოს 62 ყველაზე მდიდარი ადამიანის ქონებრივი მდგომარეობა ტოლია დედამიწის მოსახლეობის ნახევრის ქონებრივი მდგომარეობისა. 5 წლის წინათ კაცობრიობის ნახევრის ქონება 388 მდიდარი ადამიანის ქონებრივ მდგომარეობას უტოლდებოდა.

**„oxfam“**-მა თავისი მონაცემები დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის წინ გამოაქვეყნა. 62 სუპერმდიდარი ადამიანიდან 31 არის ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე, 17 ევროპიდან, ხოლო დანარჩენია – ჩინეთი, ბრაზილია, მექსიკა, იაპონია და საუდის არაბეთი. (ნიუპოსტი)

## H1N1-ის ვირუსით კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა

**H1N1**-ის ვირუსით ქუთაისში შუახნის მამაკაცი გარდაიცვალა. ამის შესახებ ინფორმაციას დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე პაატა იმნაძე ადასტურებს.

პაატა იმნაძე მოსახლეობას გავრცელებული ვირუსების თავიდან ასაცილებლად დროული პრევენციული ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდებს.

როგორც პაატა იმნაძე აცხადებს, საგანგაშო არაფერია, რადგან **H1N1**-ის ვირუსის ეპიდემიის ზღვარი, ამ დროის მდგომარეობით, ნახევრამდეც არ არის მისული.

– ვირუსის ეპიდემიური ზღვარი 100 ათას მოსახლეზე 500 შემთხვევაა, დღეს ამ ზღვარის ნახევარიც არ გვაქვს. ზუსტად იგივე ხდება, რაც იყო შარშან და შარშანწინ. ჩვეულებრივი ზამთარია, ჩვეულებრივი გრიპია, თუ დაგვეწყება გრიპი, ეს ღორის გრიპია, ამიტომ დროზე უნდა მივმართოთ ექიმს. აღნიშნული ვირუსი 10 ათასმა ადამიანმა უკვე გადაიტანა, ისინი კარგად არიან. რაც შეეხება პრევენციულ ღონისძიებებს, ხელები ხშირად უნდა დავიბანოთ. გრიპს ახასიათებს უეცარი მაღალი ტემპერატურა, ასევე, ტკივილი, ორგანიზმში დამტვრეულობის შეგრძნება.

მენეჯერებს მოვუწოდებ, გაციებული თანამშრომლები სამსახურში არ დაუშვან და გამოჯანმრთელებამდე გაათავისუფლონ, – აღნიშნა პაატა იმნაძემ.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, **H1N1**-ის ვირუსით გარდაცვალების ეს უკვე მეორე შემთხვევაა. (pia.ge)

## მარიამ რამინაშვილი: „პრემიერის განცხადება ამ წინასაარჩევნოდ, ჩათვალეს, რომ იქნებოდა მომგებიანი“




დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80


**პრემიერ-მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილი ამბობს, რომ საგანმანათლებლო სისტემაში სერიოზული რეფორმებია ჩასატარებელი. პრემიერის თქმით: „ეს, უპირველეს ყოვლისა, პროფესიული განათლების განვითარება და პროფესიული განათლების პრესტიჟის ამაღლებაა ქვეყანაში. მეორე — ეს არის ზოგადი განათლების რეფორმა და მესამე — ეს გახლავთ უმაღლესი განათლების ძალიან მნიშვნელოვანი ფუნდამენტური რეფორმა, რომელიც დაეფუძნება დინამიკურ კვლევას იმ მოთხოვნებისა, რომელიც ქვეყანაში არსებობს არა მხოლოდ ეკონომიკაში, არამედ სხვა სპეციალობებში, რათა მაქსიმალურად სწორად იქნას დახარჯული სამთავრობო რესურსი, რომ ჩვენ არ ვაწარმოებდეთ მომავალ პოტენციურ უმუშევრებს, როგორც ეს დღეს ხდება, სამწუხაროდ:**

**რას გულისხმობს პრემიერი, როცა განცხადებას აკეთებს განათლების სისტემაში ჩასატარებელ 3 უმთავრეს მიმართულებაზე?**



**რატომ ვერ შეძლებს კვირიკაშვილი განათლებაში რეფორმების გატარებას?**

**„ალიას“ „საგანმანათლებლო ალიანსის“ ხელმძღვანელი, მარიამ რამინაშვილი ესაუბრა:**

– თუ თვალს გადავავლებთ განათლების სისტემაში აქამდე გატარებულ რეფორმებს და არსებულ სიტუაციას შევადარებთ, ძნელი მისახვედრი არაა დასკვნა.

**პირველი** – „პროფესიული განათლების განვითარება და პროფესიული განათლების პრესტიჟის ამაღლება ქვეყანაში“ – 2007 წელს დასრულდა ამ კუთხით საკანონმდებლო ბაზაზე მუშაობა, შეიქმნა კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, ამავდროულად, დაწესებულებებს მიენიჭათ კანონიერების ჩარჩოში მოქმედების სრული ავტონომია. 2012 წლიდან, საქართველოს ყველა მოქალაქე, რომელსაც სურვილი ექნებოდა კერძო თუ სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯში ახალ პროფესიას დაუფლებოდა, სახელმწიფოსგან იღებდა 1000-ლარიან ვაუჩერს. 2012 წელს 5 ახალი პროფესიული კოლეჯი გაიხსნა. საქართველოში პროფესიული განათლების მიღების შემდეგ დასაქმებულთა რაოდენობამ სტატისტიკურად 64% შეადგინა. მოკლედ, 2012 წლისთვის არსებობდა ავტორიზებული კოლეჯები, რომლებიც საკმაოდ მოთხოვნადი პროფესიებით წარმატებით ახორციელებდნენ საგანმანათლებლო პროცესებს.

**— და რა მოხდა 2013-2015 წლებში?**

– დაფუძნდა 3 ახალი პროფესიული სასწავლებელი და 8 ახალი ერთეულით გაფართოვდა არსებული ქსელი რეგიონებში, ასევე, დაწყებულია საერთო საცხოვრებლების რეაბილიტაცია-მშენებლობა ქუთაისში, ზუგდიდსა და მესტიაში, მაგრამ ფაქტია, რომ განვითარებისკენ მიმართული კურსი – დაფინანსებისა თუ ტემპის მიხედვით, 2013 წლიდან ჯერ შემცირდა და შემდეგ საერთოდ გაჩერდა.

**მეორე** – ეს არის ზოგადი განათლების რეფორმა. 2012 წლისთვის საქართველო ჩართული იყო ბოლონიის პროცესში და ასევე იყო ლისაბონის კონვენციის მონაწილე, რაც გულისხმობდა, რომ საქართველოს განათლების სისტემა აბსოლუტურ შესაბამისობაში მოვიდა განათლების ევროპულ სტანდარტებთან. საქართველოში საჯარო სკოლა იყო დეცენტრალიზებული, რომლის მართვაშიც აქტიურად მონაწილეობდა სკოლის სამეურვეო საბჭო. წარმატებით იმართებოდა მოსწავლე-გამომგონებელთა საერთაშორისო კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“. ყველა საჯარო და კერძო სკოლა ჩაერთო ინტერნეტის ქსელში. ყველა ქალაქისა თუ რაიონული ცენტრის სკოლაში დამონტაჟდა ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგის თანამედროვე ლაბორატორიები.

**— და რა ხდება 2012 წლიდან?**

– 2013-15 წლებში, შეჩერდა ან შეამცირა ტემპი ყველა ზემოჩამოთვლილმა პროგრამამ. პედაგოგებისთვის შემუშავდა პროფესიული განვითარების ახალი სქემა, რომელიც მისი შედეგთან შეუსაბამობის გამო დღემდე ვერ ამუშავდა, რაც, თავის მხრივ, პედაგოგებში მოტივაციის გაქრობას უწყობს ხელს და პირდაპირ აისახება მათ ფინანსურ მდგომარეობაზე. ამავე სქემით მასწავლებლების ხელფასზე პირველი ფინანსური ასახვა 2017 წლისთვისაა დაგეგმილი, რაც პედაგოგთა აღშფოთებას იწვევს და, ამავდროულად, ამ სფეროში განაპირობებს საუკეთესო კადრების გადინებას, თავის მხრივ, ყოველივე ეს სწავლის ხარისხზე უარყოფითად აისახება. აქვე, 2014 წელს ჩატარებული დირექტორთა შესარჩევი კონკურსის შედეგმა აჩვენა, რომ სკოლებს აღარ აქვთ ავტონომია, რადგან დირექტორების 80%-ში დირექტორები ან მინისტრის დისკრეციული უფლებით იქნა დანიშნული, ან ასარჩევად სამეურვეო საბჭოებს, მიუხედავად კონკურსანტთა დიდი რაოდენობის, ერთი კანდიდატი წარედგინათ ასარჩევად.

ამ ეტაპისთვის უკვე დასრულებული უნდა იყოს სახელმძღვანელოების გრიფის მინიჭების პროცესი, თუმცა ის კონკურსის კრიტერიუმების გამოცხადების დონეზეც კი არ დაწყებულა – ყოველივე ეს სერიოზულ პრობლემას შეუქმნის 2016-17 სასწავლო წლის დაწყებას. სერიოზული პრობლემები შეექმნა უფასო სახელმძღვანელოების პროექტს. ამ დროისთვისაც კი ასობით სკოლაა, სადაც მოსწავლეებს ჯერ კიდევ არ მიუღიათ საგაკვეთილო პროცესისთვის აუცილებელი სახელმძღვანელოები. რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ გამოყენებისთვის დარიგებული უსარგებლო სახელმძღვანელოების დიდი ნაწილის ქსელში გაშვების გამო, მშობელთა დიდი უმრავლესობა იძულებული გახდა, საჭირო წიგნების 70%-ზე მეტის შესყიდვა თავად მოეხდინა საკმაოდ სოლიდურ ფასად. ამ ანალიზის ფონზე, ადვილი მისახვედრია, რომ მოქმედმა ხელისუფლებამ განათლების სისტემა გამოწვევების წინაშე დააყენა.

**მესამე**, რაზეც პრემიერი საუბრობს – ეს გახლავთ უმაღლესი განათლების ფუნდამენტური რეფორმა, რომელიც დაეფუძნება დინამიკურ კვლევას იმ მოთხოვნებისა, რომელიც ქვეყანაში არსებობს არა მხოლოდ ეკონომიკაში, არამედ სხვა სპეციალობებში, რათა მაქსიმალურად სწორად იქნას დახარჯული სამთავრობო რესურსი, რომ ჩვენ არ ვაწარმოებდეთ მომავალ პოტენციურ უმუშევრებს.

2011 წელს, სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტებით დაფინანსების სისტემა პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების დაფინანსებით შეიცვალა. ძირითადი ყურადღება მიექცა საინჟინრო და საბუნებისმეტყველო მიმართულებების დაფინანსებას, დაფინანსების 80% მიმართული იქნა სწორედ ამ საგანმანათლებლო პროგრამებზე. ჰუმანიტარულ დარგებზე მხოლოდ 100%-იანი გრანტის მფლობელები დაფინანსდნენ, ხოლო 100%-იანი გრანტის მიღმა დარჩენილ სტუდენტებს სახელმწიფო აფინანსებდა იმ შემთხვევაში, თუ მათ მეოთხე საგნად ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნები აქვთ ჩაბარებული. 2013 წლის ბიუჯეტში სტუდენტთა საგრანტო დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხები სახელმწიფომ გაზარდა. მოიხსნა შეზღუდვები გრანტის განაწილების დროს იმ პროგრამებზე, სადაც მხოლოდ 100%-იანი დაფინანსება მოქმედებდა. ყველა პროგრამა თანაბარ პირობებში ჩადგა და შესაძლებელი გახდა 70%-იანი და 50%-იანი დაფინანსების მოპოვებაც. როგორც პრემიერის განცხადებიდან ჩანს, აღნიშნული ცვლილება არასწორი აღმოჩნდა, უფრო მეტიც, არასწორად იქნა დახარჯული სამთავრობო რესურსი. ფაქტია, მანამდე არსებული ფორმა გაცილებით ადეკვატური იყო და სწორად მიმართავდა სამთავრობო რესურსსაც.

აქვე, აუცილებლად ხაზგასასმელია სახელმწიფოს მხრიდან უმაღლესი განათლების დაფინანსებისთვის მიმართული თანხები, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას უმაღლესი განათლების მიმართ. 2013-14 წლების უმაღლესი განათლების დაფინანსების პროცენტული წილი მშპ-ში 2012 წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ არც ამ მიმართულებით არ განხორციელებულა წინსვლა.

როგორც ამ მცირე მიმოხილვიდან ჩანს, ძნელი მისახვედრი არაა, რა იგულისხმა პრემიერმა კვირიკაშვილმა თავისი განცხადების ქვეტექსტში. ამ ეტაპზე განათლების სისტემა სრულიდან ჩამონგრეულია და აუცილებლად ითხოვს სისტემურ ცვლილებებს, რომლის წარმატებით განხორციელების შემთხვევაშიც კი 2012 წლის პოზიციის დაბრუნებას წლები დასჭირდება.

**— პრემიერმა კი ისაუბრა რეფორმებზე, მაგრამ ამისთვის, როგორც ვიცი, თანხა არ არის გამოყოფილი, 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით. მაშინ რა გამოდის, სადღეგრძელოდ უნდა დარჩეს პრემიერის ეს განცხადება?**

– უკვე დამტკიცებული ბიუჯეტის თანახმად, ეს მიმართულებები არ არის გათვალისწინებული და თუ იმავე ბიუჯეტით, იმავე სტრატეგიით აპირებს სამინისტრო მუშაობის გაგრძელებას, თუნდაც შეცვლილი კადრებით, შედეგი მაინც არ მიიღწევა, წინასაარჩევნო განცხადებაა უფრო. ახალი პრემიერი სწორად აფასებს არსებულ სიტუაციას, ხედავს რომ სამინისტროს მიმართ, ძირითადად საზოგადოების მხრიდან უკმაყოფილება მოდის, იმიტომ რომ სამინისტროს ძალიან ბევრი ბენეფიციარი ჰყავს საქართველოში, არა მარტო დასაქმებულთა სახით, არამედ მოსწავლეთა და სტუდენტების სახით, რომლებიც აცხადებენ, რომ სამინისტროს მუშაობა, არა თუ წინ არ მიდის, არამედ ადგილზეც ვერ დგას, უკან მიდის. შესაბამისად, პრემიერის განცხადება ამ წინასაარჩევნოდ, ჩათვალეს, რომ იქნებოდა მომგებიანი. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამ პირობებში, ამ ყველაფერს არ განხორციელება უწერია.

**„ძნელი მისახვედრი არაა, რა იგულისხმა პრემიერმა კვირიკაშვილმა თავისი განცხადების ქვეტექსტში. ამ ეტაპზე განათლების სისტემა სრულიდან ჩამონგრეულია და აუცილებლად ითხოვს სისტემურ ცვლილებებს, რომლის წარმატებით განხორციელების შემთხვევაშიც კი 2012 წლის პოზიციის დაბრუნებას წლები დასჭირდება“**

## ივნისის სტიქიის გმირი გარდაიცვალა



„საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“ სოციალურ ქსელში სამძიმრის წერილს აქვეყნებს:

– თბილისში ივნისის ტრაგიკული დღეები. ირაკლი და მისი მეგობარი ოთარ დავითაშვილი პირველად მოვიდნენ **GSP-SA**-ს თავშესაფარში თავიანთ მეგობრებთან ერთად. რამდენიმე მძიმე დღე ამ კეთილი და ვაჟკაცი ადამიანების ძალისხმევით გადარჩნენ თავშესაფარში მოყვანილი ცხოველები. დღე-ღამის მანძილზე ირაკლი და მისი მეგობრები თავდაუზოგავად იბრძოდნენ წყალდიდობაში მოხვედრილი ცხოველების გადასარჩენად... 18 იანვარს ირაკლი იმნაძე გარდაიცვალა.

„საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“ უსამძიმრებს ირაკლის ოჯახს. „მე თქვენ ყველა მიყვარხართ!“ – ამ სიტყვებით გამოგვემშვიდობა ირაკლი ივნისში, – წერს ორგანიზაციის ხელმძღვანელი თეიმურაზ წიქორიძე სოციალურ ქსელში. (ნიუპოსტი)

**„ალია“ სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს!**

## ევროვიზიის მიღმა დარჩენილი „ყვავილების ქვეყანა“ და სიმართლე სომეხი კონკურსანტის შესახებ

გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ევროვიზიის“ კონკურსზე სომხეთს ვინმე სეროჲ აბჯემიანი წარადგენს. საქართველოსთვის ეს ფაქტი იმით აღმოჩნდა მიუღებელი, რომ, თუ მელოდიას მოუსმენთ, მაშინვე მიხვდებით, რომ ის ერთიერთში „ყვავილების ქვეყანაა“. ამ თემასთან დაკავშირებით საზოგადოებრივ მაუწყებელში, პროექტ „ევროვიზიის“ პროდიუსერს, ნათია უზნაძეს დავუკავშირდით:

– როდესაც ასეთ ინფორმაციას ავრცელებს სააგენტო, ჯერ უნდა გადაამოწმოს, ვინ წარადგენს ქვეყანას „ევროვიზიაზე“. ეს ბიჭი კი არაფერ შუაში არ არის ამ კონკურსთან, შესარჩევშიც კი არ ყოფილა, არც განაცხადი გაუკეთებია. ვეძებ იმ სააგენტოს საკონტაქტო ნომერს, რომელმაც ეს ამბავი გაავრცელა, მაგრამ უშედეგოდ. უბრალოდ, მინდა ვკითხო, საიდან მოიპოვეს ეს ინფორმაცია.

როდესაც ეს უზუსტობა გაავრცელა სააგენტომ, ინფორმაციის გადასამოწმებლად დავუკავშირდი ჩემს კოლეგას სომხეთში, გოჰარ გასპარიანს და ლინკიც გადავუგზავნე. ეს ამბავი მისთვის ძალიან დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა. ძალიან გაურკვეველ მდგომარეობაში არიან. პირველად ნახეს ეს მომღერალი. რეალურად, სომხეთს „ევროვიზიაზე“ გოგონა წარადგენს, ივეტა მუკუჩიანი.

რაც შეეხება სიმღერას, ის ვერც იქნებოდა კონკურსზე წარდგენილი, რადგან, როგორც იცით, ყველა ქვეყანა სპეციალურად წერს „ევროვიზიისთვის“ ახალ სიმღერას. ეს არის, რისი თქმაც შემიძლია, სხვა ინფორმაცია ჩვენც არ გვაქვს, – განაცხადა ნათია უზნაძემ. (ნიუპოსტი)

# პაკისტანში უნივერსიტეტზე თავდასხმას 19 ადამიანი ემსხვერპლა



პაკისტანის ქალაქ ჩარსადაში უნივერსიტეტზე თავდასხმის შედეგად 19 ადამიანი დაიღუპა, 50 კი დაშავდა. პაკისტანის არმიის წარმომადგენელი 4 მოკლული თავდამსხმელის შესახებ ავრცელებს ინფორმაციას.

თავდასხმა სასწავლებელზე ადგილობრივი დროით დილის 09:30-ზე დაიწყო. ადგილზე მისულმა შეიარაღებულმა ძალებმა შენობიდან სტუდენტებისა და უნივერსიტეტის თანამშრომლების ევაკუაცია განახორციელეს. სამხედროებსა და თავდამსხმელებს შორის შეტაკება 3 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე „თალიბანმა“ აიღო. (რეპორტიორი)

# სასწრაფო დახმარების სამსახური საგანგებო მუშაობის რეჟიმზე გადადის

– სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური საგანგებო მუშაობის რეჟიმზე გადადის, – აღნიშნული გადაწყვეტილება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ სამინისტროში გამართულ თათბირზე მიიღო.

თათბირს უწყების სხვადასხვა სამსახურებისა და დეპარტამენტების, ასევე, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

– გავაძლიერებთ თბილისის სასწრაფო დახმარების სამსახურს. მივამაგრებთ დამატებით მანქანებს. იგივე ეხება რაიონულ სასწრაფოს. სამსახურებრივი მოხმარების მანქანები უნდა გადამისამართდეს, მეც მზად ვარ, რითიც დავდივარ, ჩემი მანქანა გადავამისამართო ამ საქმეზე, რომ ოჯახის ექიმებმა დაიწყონ სიარული მაღალი ტემპერატურის დროს გამოძახებებზე და არ გაუშვან ასეთ გამოძახებაზე აკივლებული სასწრაფოები, როდესაც ამ დროს კაცი კვდება სადღაც. ცხელების გამოძახებები, რომლებიც არის არა რისკჯგუფის პაციენტებში, ამაზე სასწრაფო ბრიგადა არ უნდა გავიდეს. არამედ უნდა გავიდეს მსუბუქი პატარა მანქანა, რომელშიც იქნება ოჯახის ექიმი. თბილისის სასწრაფოს მიმართ მაქვს რეკომენდაციები და ბრძანება, ასევე, რაიონული სასწრაფოს მიმართ, მენეჯერები ცოტა ხნით ჩამოვიდნენ თავიანთი მანქანებიდან. მათ საზოგადოებრივი ტრანსპორტით ან ტაქსით იარონ, ყველას აქვს საკმარისი ხელფასი ამისთვის და ეს მანქანები გამოიყენეთ ამ კატეგორიის გამოძახებებზე. ასეთ შემთხვევებზე გავიდეს სწორედ ეს მანქანები, – განაცხადა დავით სერგეენკომ. (რეპორტიორი)

ნინო ლაზარტყავა
571 99-92-33



# ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, „ჯიპიაი ჰოლდინგს“ სოლიდური ჯარიმები ელის

## რას აცხადებენ კომპანიაში

**ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ვანის მოსახლეობა, შესაძლოა, საავადმყოფოს გარეშე დარჩეს, რაც სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგის“ ბრალი იქნება — ჯანდაცვის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით, ვანში ახალი 9-საწოლიანი სტაციონარის აშენებისა და აღჭურვის ვალდებულება სწორედ „ჯიპიაიმ“ აიღო და ამავე ხელშეკრულების თანახმად, სტაციონარი მიმდინარე წლის 1-ელ მაისს უნდა შევიდეს ექსპლუატაციაში. თუმცა როგორც ირკვევა, კომპანიას, ჯერჯერობით, ელემენტარულად კედლებიც კი არ მოუწესრიგებია, სხვა სამშენებლო პროცესებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.**

„ჯიპიაის“ „საჩკავიკობას“ უკვე გამოეხმაურა ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო:

„მართლაც გასაოცარი იყო ასეთი არასერიოზული და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება „ჯიპიაისგან“, რომლის მინიმალური ვალდებულება იყო ამ პროექტის დასრულება. შემოგვითვალეს, რომ გადაიფიქრეს. ამიტომ, პირველი – სიტყვას ვიძლევი, რომ ვანის მოსახლეობას არ დავტოვებთ სამედიცინო ინფრასტრუქტურის გარეშე, წელსვე ამას აუცილებლად მოვაგვარებთ, მეორე, იმედი მაქვს, „ჯიპიაის“ მენეჯმენტს ოდნავ საღი აზრი მაინც აქვს შერჩენილი, საკუთარ თავს და საკუთარ ბიზნესს არ შეუქმნიან საფრთხეს იმით, რომ ყველაზე ძვირფასი რაც არის, განსაკუთრებით სადაზღვევო კომპანიისთვის – საკუთარი სანდოობისა და რეპუტაციის შენარჩუნება, საკუთარი ხელით არ გაუთხრიან სამარეს. ჩვენ ყველა პროექტის მონიტორინგს ვახორციელებთ, იქ იმ პროექტზე რომელიც აპრილის ბოლოს უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს ლიცენზიის შესაბამისად, თითი თითზე არ არის დადებული. ეს გამოჩნდება უახლოეს დღეებში, თუ ეს კომპანია 3-ცვლიან რეჟიმში დაიწყებს თავისი ვალდებულების შესრულებას, თუ არა იმ პირობებს, რაც მოგახსენეთ, დავიცავთ. ვანის საავადმყოფოსთან მიმართებაში, თუ 1-ელ მაისამდე არ მოხდა ისეთი ინფრასტრუქტურის ჩაბარება, რომელიც სანებართვო პირობებს შეესაბამება, ჩაერთვება ფინანსური სანქციების მზარდი კასკადი და მძიმე საკმაოდ მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი მიადგება მათ, იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე დაიხარჯებოდა ამ პროექტის განხორციელებაში და რაც მთავარია, ჩვენ ცალსახად დავკარგავთ სანდო პარტნიორს არა მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტრო, არამედ ვფიქრობ, მთელი ქვეყანა, – განაცხადა მინისტრმა.

თავის მხრივ, სააგენტო „აიპრესთან“ „ჯიპიაის“ წარმომადგენელი მოკლე და არეულდარეულ კომენტარს აკეთებს და აცხადებს: „1-ელ მაისს გაიხსნება თუ 15 მაისს, ამაზე ახლა ვერ გიპასუხებთ. თუ არ შესრულდება ვალდებულებები, მერე ვილაპარაკოთო“.

გაუგებარია, სახელმწიფო უწყება, ამ შემთხვევაში ჯანდაცვის სამინისტრო, სოფლის ორღობეა, რომ, როცა ვინმეს მოუნდება, მაშინ გადაახტეს თავზე? თუმცა სამინისტროზე მეტად რიგითი მოქალაქეები ზარალდებიან – რა, ვანის მოსახლეობას ჯანმრთელობის პრობლემები არ აწუხებს, რომ ასე თვითნებურად ჭრი და კერავ საკუთარ ვალდებულებებსა თუ განცხადებებს? ეს კომუნისტური მიდგომა – „ვაშენებთ სწრაფად, იაფად და ხარისხიანად“, სააკაშვილის ფასადური „გამონათებების“ მიბაძვაა, თუ რა ხდება? 1-ელ მაისამდე 3 თვეზე ცოტა მეტია დარჩენილი და „ჯიპიაიში“ რომელი იგორ კიოები მუშაობენ, რომ ერთი „ალლე ჰოპ“-ით წამოჭიმონ თანამედროვე ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის საავადმყოფო, ძალიან საინტერესოა, რა!

**„ალია“ ჯანდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის წარმომადგენელ ნინო მამალაძეს დაუკავშირდა და დაინტერესდა, რა ფინანსური სანქციები დაეკისრება „ჯიპიაი ჰოლდინგს“ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ვანში ახალ სტაციონარს 1-ელ მაისამდე ვერ ააშენებს?**

**„იმ შემთხვევაში, თუ „ჯიპიაი ჰოლდინგი“ ნაკისრ ვალდებულებას ვერ შეასრულებს, ხელშეკრულების დარღვევის გამო მას დაეკისრება ფინანსური ჯარიმა 125 ათასი ლარის ოდენობით. ხოლო თუ ვალდებულებას შეასრულებს, მაგრამ დათქმულ ვადას გადააცილებს, ყოველ დაგვიანებულ დღეზე ჯარიმა 3 ათასი ლარი იქნება. როგორც ვიცი, მათ თქვეს, მოვასწრებთ აშენებასო და ვნახოთ, რა იქნება“, — გვითხრა ნინო მამალაძემ.**

**„ალია“, ასევე, დაუკავშირდა სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროს თინათინ სტამბოლიშვილს:**

**— ასწრებთ 1-ელ მაისამდე ვანში საავადმყოფოს აშენებას, რომ ის ექსპლუატაციაში შევიდეს?**

– დიახ, დიახ, რადგან გარკვეული სამუშაოები უკვე გაკეთებულია, და უკვე ხვალიდან (კომენტარი ჩაწერილია 20 იანვარს. – ნ.ლ.) სამუშაოები ინტენსიურად განახლდება, რომ ვადებში ჩავეტიოთ და საავადმყოფო ექსპლუატაციაში ამ ვადებში შევიდეს.

**— ანუ ჯანდაცვის სამინისტროსთან დადებულ ხელშეკრულებას არ დაარღვევთ?**

– რა თქმა უნდა. ჩვენ არც არასდროს გვითქვამს, რომ ამ ვალდებულებას არ შევასრულებდით.

**— თუმცა ძალიან ცოტა დრო გაქვთ დარჩენილი, სულ რაღაც სამი თვე და ამ მცირე დროში როგორ უნდა მოასწროთ საავადმყოფოს აშენება, ცოტა რთული წარმოსადგენია... სისტემატური მუშაობა მოგიწევთ.**

– სისტემატურად ვიმუშავებთ (იცინის).

**— აქამდე რა გიშლიდათ ხელს, რომ ეს სამუშაო ეტაპობრივად გეწარმოებინათ?**

– არაფერი არ გვიშლიდა ხელს, ჩვენ გარკვეული სამუშაოები უკვე ჩავატარეთ. დაახლოებით, 300 ათას ლარზე მეტია იქ უკვე დახარჯული ინვესტიციების სახით და როგორც გითხარით, ახლა სამუშაოები ინტენსიურად აღდგება. უბრალოდ, ჩვენ სამინისტროს ალტერნატიული წინადადება შევთავაზეთ, ოღონდ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ მათთან შეთანხმების გარეშე უარს ვამბობდით ამ ვალდებულების შესრულებაზე. პირიქით, უფრო მეტი სამუშაოს ჩატარება შევთავაზეთ სხვა რაიონში ამის სანაცვლოდ, თუმცა ჩვენ ამ ყველაფერს შევასრულებთ. ეს იყო და ეს.

**— და ის ალტერნატიული შეთავაზება რით იყო განპირობებული? რა გიშლიდათ ხელს იმაში, რომ ვანში აგეშენებინათ საავადმყოფო?**

– არაფერი არ გვიშლიდა ხელს. ეს შეთავაზება განპირობებული იყო იმით, რომ უბრალოდ, ჩვენი მოსაზრებით, ის შეიძლება უფრო რაციონალური ყოფილიყო ამ სიტუაციიდან გამომდინარე, მეტი არაფერი.

**— კი, მაგრამ რაციონალურობაზე ხელშეკრულების დადებამდე არ გიფიქრიათ? მოსახლეობა ამ საავადმყოფოს აშენებას ხომ ელოდება, არა?**

– ეს საავადმყოფო ექსპლუატაციაში აუცილებლად შევა და ჩვენ მიერ ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

**— ანუ საბოლოოდ აცხადებთ, რომ ვანის საავადმყოფო ექსპლუატაციაში 1-ელ მაისიდან შევა?**

– დიახ, 1 მაისიდან.

**მოკლედ, თუ „ჯიპიაიმ“ არ შეასრულა ვალდებულება, გვარიან ჯარიმას აირტყამს, მაგრამ ვანის მოსახლეობას ამით რა? — არც არაფერი და კიდევ რამდენი თვე მოუწევთ სამტრედიასა თუ ქუთაისში სამკურნალოდ სიარული, კაცმა არ იცის...**




# მკვლელობაში სხვა პირიც ფიგურირებს — ვახტანგ ქირიას ძმა



მოკლული პროკურორის, ვახტანგ ქირიას ძმა ვარაუდობს, რომ მისი ძმის მკვლელობაში სხვა პირიც ფიგურირებს.

– ვინმეს ეჭვი ეპარება ამაში? დანაშაული თბილისში ხდება და ტელეფონი კი რუსთავში დააგდეს, ყურადღება სხვა რამეზე რომ გადაეტანათ სამართალდამცავებს, – აცხადებს მოკლულის ძმა.

მისი თქმით, ამ ვერსიაზე საუბარი იყო სამართალდამცავების მხრიდანაც.

შეგახსენებთ, რომ პროკურორი ვახტანგ ქირია გარდაცვლილი შაბათ საღამოს იპოვეს. შსს-ს ინფორმაციით, მკვლელობაში ბრალდებული რადიო „საქართველოს ხმის“ დირექტორი ბიძინა კუჭავაა, რომელმაც თავი მოიკლა. თუმცა განსხვავებული პოზიცია აქვთ კუჭავას ოჯახის წევრებსა და ადვოკატებს – მათ გამოძიების ვერსიის არ სჯერათ. (ნიუპოსტი)

# რუსეთიდან მომავალი ავტომობილები საქართველოში შემოსვლას ვერ ახერხებენ



რუსეთიდან მომავალი ავტომობილები საქართველოში შემოსვლას ვერ ახერხებენ. მიზეზი უამინდობაა, რის გამოც კობი-გუდაურის საავტომობილო გზა ჩაკეტილია. როგორც რეგიონული განვითარების სამინისტროში განაცხადეს, რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო, კობი-გუდაურის მონაკვეთზე გადაადგილება ყველა სახის ავტოტრანსპორტისთვის აკრძალულია. რაც შეეხება საბაჟო გამშვებ პუნქტ „ყაზბეგს“, როგორც შემოსავლების სამსახურში აცხადებენ, საბაჟო 24-საათიან, ჩვეულ რეჟიმში მუშაობს. აღნიშნულ საკითხზე წერს რუსული მედიაც. მათი ინფორმაციით, რუსეთის საზღვარზე დაახლოებით 100 მანქანაა გაჩერებული.

– უამინდობის გამო საქართველოსკენ მიმავალი გზა ჩაკეტილია. საზღვარზე საქართველოს სამხედრო გზის გახსნას 75 მანქანა, მათ შორის 60 სატვირთო მანქანა ელოდება, – აცხადებენ რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს პრესსამსახურში.

საქართველოს სამხედრო გზა სასაზღვრო რეგიონში ამინდის გაუარესების გამო 19 იანვარს ჩაიკეტა. 19 იანვარს შეწყდა სატრანსპორტო გადაადგილება ტრანსკავკასიურ ავტომაგისტრალზე, რომელიც ერთადერთი დამაკავშირებელი გზაა რუსეთსა და ე.წ სამხრეთ ოსეთს შორის. (bpn.ge)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## განსაზღვრულია თუ არა ნამდვილი მეგობრების რაოდენობა „ფეისბუკზე“?




ფსიქოლოგ რობინა დანბარის ხელმძღვანელობით, დიდ ბრიტანეთში ფრიად საინტერესო და საჭირო კვლევა ჩაატარეს იმის შესახებ, მაქსიმუმ, რამდენი მეგობარი შეიძლება ჰყავდეს ადამიანს.

დანბარი 1990-იან წლებში, სხვა ფსიქოლოგების მიერ ჩატარებულ კვლევებსაც ითვალისწინებდა. ძველი კვლევების თანახმად, ადამიანს, საშუალოდ, 100-230 ადამიანთან შეუძლია ურთიერთობის ქონა.

სპეციალისტებმა ასეთი შედეგი პრიმატების ქცევასა და მათი ტვინის მოქმედებაზე დაკვირვებით მიიღეს.

ახალი კვლევით კი აღმოჩნდა, რომ ადრე მიღებული შედეგები ახლაც, სოციალური ქსელებით ურთიერთობის ეპოქაშიც ამართლებს. ადამიანს შეუძლია, მაქსიმუმ 5 უახლოესი მეგობარი და 150 ისეთი ადამიანი ჰყავდეს, რომელთანაც მეტ-ნაკლებად ახლო დამოკიდებულება აქვს. დანარჩენი ადამიანები „ფეისბუკზე“ მხოლოდ ნაცნობები არიან.

კვლევაში 3.3 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. ისინი ორ ჯგუფად გაანაწილეს. პირველ ჯგუფში ის ადამიანები იყვნენ, რომლებსაც, საშუალოდ, 155 მეგობარი ჰყავდა „ფეისბუკზე“. მეორე ჯგუფის წევრების მეგობრების რაოდენობა კი დაახლოებით 183 იყო. ორივე ჯგუფის წევრებს 4 ნამდვილი მეგობარი აღმოაჩნდათ. თანაგრძნობის გამომხატველი, მაგრამ არა რეალურად მხარდამჭერი ადამიანების რაოდენობა კი 14 იყო. სხვა დანარჩენების სტატუსი გაურკვეველი დარჩა, ანუ მხოლოდ ნაცნობობა აკავშირებდათ.

„ფრთხილად უნდა ვყოფილიყავით, რომ კვლევაში „ფეისბუკის“ პროფესიონალ მომხმარებლებს არ მიეღოთ მონაწილეობა. მაგალითად, ჯასტინ ბიბერს, ჟურნალისტებს, კონგრესმენებს, მომღერლებს, პოეტებსა და ისეთ ადამიანებს, რომლებიც „ფეისბუკს“ ფან-კლუბის შესაქმნელად იყენებენ“, – აღნიშნა კვლევის ავტორმა, რობინა დანბარმა.

აღნიშნულ ხალხთა გამოკლებით კი აღმოჩნდა, რომ 150 და 300 მეგობარი მითია და სოციალური ქსელი ვერ დაგვეხმარება ახლო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ხორცსა და რძეზე უარის თქმას დეპრესიამდე მივყავართ



არჩევანი თქვენზეა – ჭარბი წონა (რომელიც შესაძლოა, სულაც არ იყოს ჭარბი) და ჯანსაღი ემოციური მდგომარეობა, თუ დიეტა და გაფუჭებული ნერვები, ცუდი მადა, დარღვეული ძილის გრაფიკი და მთელი რიგი გართულებების ჩამონათვალი.

ადამიანის განწყობა პირდაპირ არის დაკავშირებული იმ საკვებთან, რომელსაც მიირთმევს. საკვებზე დამოკიდებულია ტვინში მიმდინარე ქიმიური პროცესები და ე.წ. ნეიროგადამცემების მუშაობა, რომლებზეც სეროტონინია დამოკიდებული. ანტიდეპრესანტები კი ტვინში სეროტონინის დონეს ამაღლებს.

სეროტონინი გავლენას ახდენს ბედნიერების შეგრძნებაზე, დეპრესიის რისკზე, სოციალურ ქცევაზე, მადაზე, ძილზე, მეხსიერებასა და სექსუალურ სურვილებზე.

ტრიპტოფანი უცნობი ამინომჟავაა. სხეულს არ შეუძლია, თავისთავად გამოიმუშაოს ტრიპტოფანი, ამიტომ ის საკვებიდან უნდა მივიღოთ. ტრიპტოფანს ხორცი, რძის პროდუქტი და ხილი შეიცავს.

მართალია, რაციონიდან ტრიპტოფანის ამოღება სეროტონინის დონეს დიდად არ აამაღლებს, მაგრამ უკმარისობის განცდა მარტივად დააგდებს სეროტონინის დონეს. საბოლოოდ კი, ადამიანი აგრესიული გაღიზიანებული გახდება და მეხსიერებასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები შეექმნება.

სხვათა შორის, არც ისე დიდი ხნის წინ დაამტკიცეს, რომ ჭარბი რაოდენობის შაქრისა და ცხიმისგან შემდგარი რაციონიც ახდენს ფსიქიკაზე გავლენას. ასეთი რაციონი კუჭ-ნაწლავის მიკროფლორას ცვლის, რომელიც, თავის მხრივ, პირდაპირ მოქმედებს განწყობაზე. ასე რომ, კუჭ-ნაწლავის ტრაქტატის დროს ცოცხალი ბაქტერიები იწოვენ ტრიპტოფას. ასეთი ბაქტერიების რაოდენობის გაზრდა, ტრიპტოფანის სერიოზულ უკმარისობას გამოიწვევს.

***rosbalt.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ფეხბურთელმა ქალმა პაემანზე დაპატიჟების გამო მსაჯი სექსიზმში დაადანაშაულა




მსოფლიო მასშტაბით, როგორც წესი, პროფესიები ორ ნაწილად იყოფა – ქალური პროფესია და კაცური პროფესია. ღმერთმა არ ქნას და თუ ქალმა „კაცური“ პროფესიის არჩევა გადაწყვიტა, იქვე იწყება პრობლემების სერია – ჯერ ოჯახთან უნდა გადაიტანო ბრძოლები იმისთვის, რომ როგორმე დააჯერო – არჩეული პროფესია შენი მოწოდებაა. მერე იწყება გარშემომყოფი, ნაცნობი ხალხის საუბრებისა და ჭორების გადახარშვა. როგორც იქნება, მიხვალ დანიშნულების ადგილამდე, გგონია, აი, აქ გაგიგებენ და სერიოზულად მოეკიდებიან შენს არჩევანს და ბახ... იქაც „გეკაიფებიან“.

ჰოდა, სწორედ „არასწორად“ შერეული პროფესიის პრობლემა აწუხებს რუმინელ ფეხბურთელ ელენ პაველს, რომელიც ესპანეთის გუნდ „ჰუელვაში“ თამაშობს. თურმე, მსაჯი, სანტიაგო კიხადა ალკონი მას მთელი მატჩის მიმდინარეობისას ეფლირტავებოდა.

„ლამაზო, სიამოვნებით დავლევდი დღეს შენთან ერთად ყავას“, – ასე გამოთქვამდა თავის მოწონებას მსაჯი სანტიაგო ფეხბურთელ ელენასადმი.

საპასუხოდ კი, ფეხბურთელმა მსაჯი სექსიზმში დაადანაშაულა და სასამართლოზე მისი ქმედება ასე შეაფასა:

„ჩემს პროვოცირებას ცდილობდა. აღარ მჯერა ფეხბურთის, როგორც მართალი თამაშის“, – განაცხადა შეურაცხყოფილმა ფეხბურთელმა.

ქალი მსაჯს მოწინააღმდეგე გუნდისთვის აშკარა უპირატესობის მინიჭებაშიც ადანაშაულებდა და ამბობდა, რომ მის გუნდს ორი წითელი ბარათი უჩვენა და პენალტის დარტყმის უფლება არ მისცა.

ეტყობა, ეს სანტიაგო სკოლის მოსწავლეებივით გამოხატავს მოწონებას, თმაზე რომ ქაჩავენ და თავში წიგნებს ურტყამენ.

მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთი თავისი ფეხბურთით მსოფლიოშია ცნობილი, ქალთა გუნდების განვითარების დონე მაინც ნულის დონეზეა.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა დედა გარდაიცვალა



პერუში 83 წლის ასაკში ლინე მედინე გარდაიცვალა. მედინე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა დედა იყო.

მის შესახებ მსოფლიომ ჯერ კიდევ 1939 წელს შეიტყო, როცა მან 5 წლის ასაკში ბავშვი გააჩინა. ეს მოვლენა ახლაც შოკში აგდებს ექიმებს. ჩვილი, რომელიც 5 წლის ბავშვმა გააჩინა, სრულიად ჯანმრთელი იყო და სხვა ბავშვებისგან არაფრით განსხვავდებოდა.

გოგონას პირველი თვიური 8 თვის ასაკში მოუვიდა, 5 წლისას კი უკვე ჩამოყალიბებული მკერდი ჰქონდა. მედინა ბავშვობის ასაკში გაჩენილი შვილის გარდაცვალებასაც მოესწრო. მედინას შვილი 40 წლის ასაკში გარდაიცვალა. მშობლებმა ლინე საავადმყოფოში მიიყვანეს, რადგან 5 წლის გოგონას უცნაურად ეზრდებოდა მუცელი. ექიმებმა აღმოაჩინეს, რომ 5 თვის გოგონა 7 თვის ორსული იყო.

ექიმმა ხერარდომ დარწმუნების მიზნით პაციენტი დედაქალაქში გაწერა.

ამ ფაქტიდან ერთი თვის შემდეგ, 1939 წლის 14 მაისს, მან ბიჭი გააჩინა. იქიდან გამომდინარე, რომ მას მენჯის ძვალი საკმარისად განვითარებული ჯერ არ ჰქონდა, ბავშვი საკეისრო კვეთის შედეგად გაჩნდა. სამედიცინო დასკვნაში წერია, რომ მედინას 4 წლის ასაკში სარძევე ჯირკვლები უკვე სრულად განვითარებული ჰქონდა. ახალშობილი 2.7 კილოგრამს იწონიდა. მას ექიმის პატივსაცემად მისი სახელი – ხერარდო დაარქვეს. ბიჭი ისე იზრდებოდა, რომ მედინა თავისი და ეგონა. მან სიმართლე მხოლოდ ათი წლის ასაკში შეიტყო.

ბიჭი სრულიად ჯანმრთელი გაიზარდა, თუმცა 40 წლის ასაკში ძვლის ტვინის დაავადებით გარდაიცვალა.

არავინ იცის, როგორ დაფეხმძიმდა ლინე. მას არასოდეს დაუსახელებია არც ბავშვის მამა და არც იმ გარემოებების შესახებ მოუყოლია, რის შედეგადაც დაორსულდა. ეჭვი მედინას მამაზე მიიტანეს და გაუპატიურების ბრალდებით დააკავეს კიდეც, მაგრამ მტკიცებულებების არარსებობის გამო ისევ გამოუშვეს. ლინე 1972 წელს რაულ ხურგადოს გაჰყვა ცოლად და მეორე ვაჟი გააჩინა.

***plus.kvira.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ეჭვიანმა ქმარმა ცოლი აიძულა, ქუჩაში შიშველიევლო



რა შეიძლება მოაფიქრდეს სამაგიეროს გადასახდელად ეჭვიანობის ნიადაგზე გაღიზიანებულ ქმარს? ნიუ-იორკში მცხოვრები მამაკაცი დიდად არ დაფიქრებულა და არც ფანტაზია დაუძაბავს – ადგა და ცოლი შუა ქუჩაში გააშიშვლა.

როგორც ირკვევა, ცოლი მამაკაცებისთვის განკუთვნილ საიტზე საკუთარი შიშველი ფოტოების განთავსებაზე იყო ეჭვმიტანილი. თუმცა, მხოლოდ ეჭვმიტანილი და ქმარს არ ჰქონდა ფაქტები, რითიც თავის ეჭვს დაადასტურებდა.

ყველა სიკეთესთან ერთად, ქმარი ვიდეოს იღებდა და ქუჩაში მიმავალ პირსახოცშემოხვეულ ცოლს ლანძღავდა – „გაიხადე ეგეც, ყველამ უნდა ნახოს შენი სირცხვილი“. მერე ის პირსახოციც წაართვა და შიშველი ქალი ამაოდ ცდილობდა, მანქანებს ამოფარებოდა.

ვიდეოს 270 ათასზე მეტი მნახველი ჰყავს. კომენტარების უმრავლესობაში ქმარს უაზრო და სასტიკი საქციელის გამო ადანაშაულებენ.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ამერიკელი მეცნიერი მიიჩნევს, რომ საეკლესიო საკმეველი კიბოს მკურნალია



ამერიკელი მეცნიერ-იმუნოლოგი მაჰმუდ სუჰალი მიიჩნევს, რომ საეკლესიო საკმეველი ონკოლოგიაში დიდი სარგებლობის მომტანია.

თვითონ სუჰალი ერაყში დაიბადა, კარგად იცნობს კეთილსურნელებასა და ნელსაცხებლებს, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა დაახლოებით ათასი წელია არა მარტო რელიგიური, არამედ სამედიცინო მიზნებისთვისაც იყენებს.

საკმევლის ხე ომანის მთებში იზრდება, მისი ზოგი ნაირსახეობა კი – იემენში, ეთიოპიასა და ინდოეთში. საკმევლის კვამლი შეიცავს ნივთიერებას, რომელიც ანტიდეპრესანტია.

საკმევლის ფისი გამოიყენება პარფიუმერიულ და ჰომეოპათიურ ნაწარმში, მისი ზეთი კი – არომათერაპიაში. ამჟამად სუჰალის კვლევის საგანია საკმევლის ფისიდან მიღებული აქტიური ნივთიერება, რომელიც ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. მიღებულ ხსნარს ჯერ ცხოველებზე ცდიან.

***gurianews.com***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## ბრიტანეთის კონტრდაზვერვის სამსახური ყველაზე კარგი დამსაქმებელი ორგანოა... გეებისთვის



დიდი ბრიტანეთის კონტრდაზვერვის სამსახური გეი თანამშრომლებისთვის ყველაზე მეგობრული დამოკიდებულებით გამოირჩევა. ასეთი შედეგი აჩვენა ერთ-ერთი „ლგბტ“ ადამიანების უფლებათა დამცველი ორგანიზაციის გამოკითხვამ.

კონტრდაზვერვის გენერალურმა დირექტორმა ენდრიუ პარკერმა განაცხადა, რომ მრავალფეროვნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. „არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეს ვაკეთებთ, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლის ჭკუა და არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ის“, – განმარტა ბრიტანეთის კონტრდაზვერვის უფროსმა.

ჰომოსექსუალების დასაქმების მხრივ რეიტინგში მეორე ადგილს ბრიტანეთის ყველაზე დიდი ბანკი იკავებს. მესამე ადგილი კი, უელსის საკანონმდებლო ორგანომ დაიკავა.

გამოკითხვა 400 სხვადასხვა ორგანიზაციაში ჩატარდა და მასში 60 ათასი თანამშრომელი მონაწილეობდა. მათ ანონიმურად გასცეს პასუხები კარიერის, კოლეგებთან დამოკიდებულების და სხვა, სამსახურზე გავლენის მქონე თემების შესახებ დასმულ კითხვებს.

გასულ წელს სადაზვერვო სამსახურმა ჰომოსექსუალებისადმი განსაკუთრებულად კარგი დამოკიდებულების გამო პირველი ადგილი დაიკავა, მაშინ, როდესაც 2014 წელს 24-ე ადგილზე იყო. ეტყობა, იფიქრეს, ე მანდ ჰომოფობიაში არ დაგვდონ ბრალიო და ვაკანსიას რომ აცხადებდნენ, ჰომოსექსუალობას პლუსად თვლიდნენ.

გაგიკვირდებათ და 1990-იანი წლების დასაწყისამდე კონტრდაზვერვის სამსახურში ჰომოსექსუალების მიღება აკრძალული იყო. სულ რაღაც 25 წელში კი, თავისი განვითარებისა და ლოიალურობის წყალობით, ჰომოსექსუალების მოწინავე დამცველი გახდა.

**lenta.ru**

## მაგიდის ზომა მადაზე გავლენას ახდენსო



როგორ შეიძლება ვაკონტროლოთ მიღებული საკვების რაოდენობა. კალიფორნიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალისტები ამბობენ, რომ პატარა და დიდი მაგიდები განსხვავებულად მოქმედებენ მადაზე.

ექსპერიმენტში მონაწილეების ნაწილს პიცა 8 ნაჭრად, მეორე ნაწილს კი 16 ნაჭრად დაუჭრეს.

დიდ მაგიდასთან მსხდომი მოხალისეები პატარა ნაჭრებს დიდად თვლიდნენ, ამიტომ პატარა მაგიდასთან მჯდარი მოხალისეებისგან განსხვავებით, უფრო ნაკლებს ჭამდნენ.

ასეთი მეთოდით მეცნიერებმა ორმაგი შედეგი მიიღეს, რომლის თანახმადაც, თუ არ გვინდა, რომ ბევრი ვჭამოთ, დიდ მაგიდასთან უნდა დავსხდეთ და საკვები პატარა ნაჭრებად უნდა დავჭრათ.

**myjane.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ყველაზე მოხუცმა ბრიტანელმა დაბადების დღისთვის ახალი... ყბა ითხოვა



რა საჩუქარი სურთ ქალებს დაბადების დღისთვის? არსებობს რამდენიმე სტანდარტული ვარიანტი ასაკის მიხედვით. მაგალითად, 20 წლის ასაკში შეიძლება საჰაერო ბუშტები და სუნამო გაუხარდეს, 30 წლის ასაკში ავტომობილი, 50 წლისას, ალბათ, უკვე ჭურჭლის სარეცხი მანქანა ან ბეწვი გაახარებს, 80 წლისას ტორტი და, სავარაუდოდ, ყურის აპარატი, მაგრამ რაზე შეიძლება ოცნებობდეს 113 წლის ქალი?

გლედის ჰუპერი თავის 113-ე დაბადების დღეს ძალიან მოკრძალებული იყო. ბევრი არ მინდა, ხალხოო, ამ ცხოვრებისგან რაც შეიძლებოდა მივიღე, ამიტომ ერთი ჭიქა ჩაი, ერთი ნაჭერი ტორტი და ბარემ, ერთი ცალი ახალი ყბაც მომიყოლეთ, რომ ამ ყველაფერს მოვერიოო.

გლედისი 12 წელია მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრობს. დღესასწაულზე კი მეგობრები და ოჯახის წევრები ეწვივნენ. მისმა ვაჟმა, 85 წლის დერეკ ჰერმისტონმა თქვა, რომ გლედის ჰუპერი პროფესიონალი პიანისტი იყო. „ვხედავთ, ხანდახან მისი ხელები როგორ იმეორებს მოძრაობებს, თითქოს პიანინოზე უკრავს. ვფიქრობ, ასე იმ მელოდიებს იხსენებს, რომელსაც წარსულში უკრავდა“, – აღნიშნა ჰერმისტონმა.

გლედის ჰუპერი 1903 წელს ბრაიტონში დაიბადა. ბრიტანელი ქალი ისეთ მუსიკოსებთან და ჯაზმენებთან უკრავდა, როგორებიც ჯეკ პეინომი, დებროემ სომერი და მორის უინიკი არიან.

ალბათ, ახალგაზრდობაში, როცა უკრავდა, არ უფიქრია, რომ მოხუცთა თავშესაფარში იცხოვრებდა და პიანინოს ნაცვლად მუხლებზე აათამაშებდა თითებს. როგორიც არ უნდა იყოს აწმყო, მომავალი ყოველთვის ბუნდოვანია.

**lenta.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## სახლი კატებს დაუთმო, თავად კი ტრაილერში გადასახლდა



რით შეიძლება ჩავანაცვლოთ მარტოობა? მეგობრებით, სამსახურით, შინაური ცხოველებით, მაგალითად, ერთი კატა, ან ორი... კაი, სამი, ოთხი, ხუთი, მაგრამ ათასობით?

აი, კალიფორნიელი ლინეია ლატანცომ თავისი ხუთოთახიანი, 390 კვადრატული მეტრი ფართობის ბინა კატებს დაუთმო და თავად საცხოვრებლად ტრაილერში გადავიდა.

ლინეია შტატების მასშტაბით ყველაზე დიდი ცხოველთა თავშესაფრის პატრონია, სადაც ცხოველები გისოსებს მიღმა არ სხედან.

მანქანა და ძვირფასეულობა გაყიდა და თავშესაფარი საკუთარი სახსრებით გახსნა. დღეს 800 დიდსა და 300 პატარა ცხოველს უვლის.

პირველად ქუჩიდან 1992 წელს გააყოლა ხელს უსახლკარო კატა. 1993 წელს ვეტერინარული განათლება მიიღო, რომ უკეთ დახმარებოდა ცხოველებს.

„არა მგონია, სხვა ვინმე კიდევ არსებობდეს, ვისაც 24 წლის მანძილზე 28 ათასამდე კატისთვის მოუვლია. შეიძლება, ეს რეკორდია“, – აცხადებს თავის გმირობაზე მოფიქრალი ლატანცო.

**lenta.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ტაივანში ფეხსაცმლის ფორმის ეკლესია ააგეს



დასაწყისისთვის, კარგი იქნებოდა შენობებისა და დაწესებულებების ზოგადი დანიშნულება და მათი აშენების პრინციპები სცოდნოდათ.

ჯერ ერთი, შე დალოცვილო, თუ ეკლესიაში წასვლა და ლოცვა არ მინდა, გინდ ფეხსაცმლის ფორმის ააშენე და გინდ ქვაბის. სულიერი საზრდო მომეცი, თორემ ხორციელს უფასო სასადილოშიც მივიღებ როგორმე, ნუ, თუ გამგეობამ არ იმაიმუნა. დანარჩენში კი – თუ არც სულიერად მიჭირს და არც ხორციელად და ფურშეტი და გართობა მინდა, კაფე-რესტორნის გზასაც გავიგნებ როგორმე, რაღა ეკლესიაში დავნაყრდე?!

როგორც ირკვევა, ტაივანში, **ocean view** პარკში გიგანტური შუშის ეკლესია ააგეს, რომელსაც ქუსლიანი ფეხსაცმლის ფორმა აქვს. მისი სიმაღლე 16.7 მეტრია და 320 ცალი ლურჯი მინისგან შედგება.

როგორც „ბიბისი“ წერს, უჩვეულო ფორმის ეკლესია მდედრობითი სქესის წარმომადგენლების მისაზიდად ააგეს. ეკლესიაში ხელმისაწვდომი იქნება 100 სახის მომსახურება, მათ შორის ფოტოსესია, ტორტითა და ორცხობილებით გამასპინძლება.

ტაძრის გახსნის ზუსტი თარიღი უცნობია. სავარაუდოდ, ჩინურ ახალ წელს – 8 თებერვალს გაიხსნება.

**newposts.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ნორვეგიაში ყველაზე პატარა კინოთეატრი გაიხსნა



ვინაიდან კინოთეატრი მხოლოდ ორ ადამიანს იტევს, ზედგამოჭრილია წყვილებისთვის.

კინოთეატრი ყოფილი კიოსკის ტერიტორიაზეა. მისი გახსნა ნორვეგიის 26-ე კინოფესტივალს დაემთხვა. მომდევნო ერთი კვირის განმავლობაში, დღეში ერთი ფილმი გავა.

ბილეთის ფასი 500 ნორვეგიული კრონია. ორგანიზატორების თქმით, დარბაზის ტექნიკური მხარე არ არის ჩვეულებრივი. ფილმს კინომექანიკოსი გაუშვებს.

**lenta.ru**



ყრუ-მუნჯმა თხილამურები აიღო და სასრიალოდ გასწია. გზაში მეზობელი შეხვდა:

– საით გაგიწევია?

ყრუ-მუნჯმა პროცესი ხელებით აუხსნა...

– გასაგებია... და თხილამურები რაღაში გჭირდება?

*****

გრამატიკის მასწავლებელი კოტეს ეკითხება:

– კოტე, ფრაზა: „საქმროს დავეძებ“, რომელი დროა?

– ეჰ, დაკარგული დროა, მას, დაკარგული!..

*****



მამა ვაჟს:

– შვილო, შენ უკვე დიდი ხარ და დროა, სექსზე ვისაუბროთ. მითხარი, გყავს მეგობარი გოგო?

– კი, მამა.

– ახლა კი უშუალოდ სექსზე: შენს მეგობარ გოგოს კაი დაქალი არ ჰყავს?

*****

– გძინავს?

– არა.

– აბა, თვალები რატომ გაქვს დახუჭული?

– რა ვიცი, მხედველობის ეკონომიაზე ვზრუნავ!..

*****

– გახსოვდეთ – სამსახურში მთელი 100 პროცენტით უნდა დაიხარჯოთ! უფრო ზუსტად: 12 პროცენტით ორშაბათობით, 23 პროცენტით სამშაბათობით, 40 პროცენტით ოთხშაბათობით, 20 პროცენტით ხუთშაბათობით და 5 პროცენტით პარასკევობით!

და გახსოვდეთ ისიც, რომ როცა შეფი გეჩხუბებათ, შეშფოთებული სახის მისაღებად 44 კუნთი უნდა აამოქმედოთ, ხოლო მხოლოდ 4 კუნთის ამოქმედებაა საჭირო შუა თითის გასაჭიმად...

*****



– სადღაც წავიკითხე, რომ თურმე, ადამიანი თავისი ცხოვრების 4 წელიწადს ტუალეტში ატარებს...

– მე ბევრად მეტს – ვაი-ფაი მაქვს!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ამერიკელი მოსამართლე დამნაშავეების გამოსწორებას „კრეატიული განაჩენებით“ ცდილობს



როგორც ჩანს, ამერიკაში იფიქრეს, ციხეში ჯდომა დამნაშავეებისთვის საკმარისი არ არისო და მათი აზრზე მოყვანის ახლებური ხერხებიც მოიგონეს. კერძოდ, ოჰაიოს შტატის ქალაქ ლეი-ქაუნთის მოსამართლე 54 წლის მაიკ ციკონეტი მსჯავრდადებულებს არჩევანის წინაშე აყენებს – ხანგრძლივი პატიმრობა, ან „კრეატიული განაჩენი“.

ასე მაგალითად, 26 წლის დიასახლისს მიშელ მიურეის, რომელმაც 35 კნუტი ქუჩაში გადაყარა, მოსამართლემ დაბურულ ტყეში მარტოდმარტო რამდენიმე დღის გატარება მიუსაჯა, რათა თავადაც ეგრძნო ის ტკივილი, რაც დაუცველმა ცხოველებმა იგრძნეს.

გარდა ამისა, ამავე მოსამართლემ ახალგაზრდა მამაკაცს, რომელმაც ნასვამ მდგომარეობაში უმისამართოდ სროლა დაიწყო, ცენტრალურ მორგში ერთკვირიანი სიარული მიუსაჯა, რათა მიცვალებულები ენახა. უფროსკლასელებს კი, რომლებმაც სკოლის ავტობუსის საბურავები დაჭრეს, დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის პიკნიკის მოწყობა აიძულეს.

რამდენიმე მოზარდი, რომლებმაც ქალაქის ერთ-ერთ ტაძარში იესოს ქანდაკებაზე „666“ ამოტვიფრეს, მოსამართლის გადაწყვეტილებით, სამი დღის მანძილზე ქალაქის ქუჩებში შემდეგი წარწერით დადიოდა:

– გვაპატიეთ, რადგან ვირებივით მოვიქეცით...

მაიკ ციკონეტის თქმით, სავსებით შესაძლებელია, ზოგიერთებმა მას ვერ გაუგონ და იფიქრონ, რომ ადამიანებს ზედმეტად სასტიკად ექცევა, მაგრამ ამის მიუხედავად, უჩვეულო განაჩენების გამოტანას ის მომავალშიც აუცილებლად გააგრძელებს.

*etotupo.ru*

## საღეჭი რეზინი და სილამაზე: კავშირი არცთუ სასიამოვნო აღმოჩნდა



როგორც ირკვევა, საღეჭი რეზინის მოყვარულებში გაცილებით ხშირია ნაადრევი ნაოჭების გაჩენა.

სპეციალისტებმა ჩაატარეს კვლევა, რომლის დახმარებითაც დადგინდა, რომ კევის ხშირ გამოყენებას ის შედეგი მოსდევს, რომ სახის კუნთების ჯგუფები ზედმეტად იტვირთება. შესაბამისად, კარგავს ელასტიკურობას და ნაოჭებიც მალევე ჩნდება.

განსაკუთრებით დიდი პრობლემები ექმნება პირისა და ტუჩების მიდამოებს. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ამგვარი გზით გაჩენილი ნაოჭების გამოსწორება პლასტიკური ქირურგის ჩარევითაც ვერ ხერხდება. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ კვლევის ავტორები და თუ დავუჯერებთ, ისევ ჩვენთვისაა სასარგებლო.

*mediki.in.ua*



## სატელევიზიო რეკლამა ბავშვებს მადას უორმაგებსო

– სატელევიზიო ეთერში გასული რეკლამები მადას აძლიერებს და ორჯერ მეტი საჭმლის მიღებას გვაიძულებს, – ასეთი დასკვნა ლივერპულის ფსიქოლოგიის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა გამოიტანეს. მათი თქმით, განსაკუთრებული ზიანი ბავშვებს ადგებათ, რადგან პატარების შესაძლებლობები საკმარისზე დაბალია.

ექსპერიმენტში მონაწილეობა რამდენიმე ასეულმა 9-11 წლის ასაკის მოზარდმა მიიღო, რომლებიც სპეციალისტებმა ორ ჯგუფად დაყვეს. ბავშვების დავალება ასეთი იყო: მათ ჯერ ტელევიზორისთვის უნდა ეყურებინათ, შემდეგ კი ესადილათ.

ერთი ჯგუფი მულტფილმებს, დრო და დრო კი სათამაშოების რეკლამებს უყურებდა, მეორე კი იმავე მულტფილმებს, თუმცა ტკბილეულობის რეკლამებით.

როცა ბავშვები მაგიდას მიუსხდნენ, აღმოჩნდა, რომ მეორე ჯგუფის წევრებმა პირველთან შედარებით მნიშვნელოვნად ბევრი შეჭამეს.

აქედან გამომდინარე, დასკვნა ის გახლავთ, რომ სატელევიზიო რეკლამა სერიოზულად მოქმედებს კვების სტილზე და ხშირ შემთხვევებში გასუქების მიზეზიც ხდება.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*doctor-prof.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**21 იანვარი:** დღეს ისეთი საინტერესო საქმით დაკავდებით, თქვენს ყველა პრობლემას დაივიწყებთ, რადგან მათზე ფიქრის დრო არ გექნებათ.

**კურო 22.04-21.05**
**21 იანვარი:** ულიმღამო დღე გელით. მთელი დღე უსიამოვნო პერსონებთან ურთიერთობა გელით, საღამოს კი ისეთ ადამიანთან ერთად აღმოჩნდებით, რომელიც ძალიან გაღიზიანებთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**21 იანვარი:** ორმაგი განცდა დაგეუფლებათ, ერთი მხრივ, მოდუნება და დასვენება მოგინდებათ, მეორე მხრივ, ვალდებულებები დაგიკარგავთ მოსვენებას.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**21 იანვარი:** საეჭვოა, დღეს აღიარება მოიპოვოთ. საკუთარი თავი თვითონვე შეიქეთ, ვინმესგან მოწყალების ლოდინი საჭირო არ არის.

**ლომი 23.07-22.08**
**21 იანვარი:** მართალია, უფრო ხშირად შინაარსი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფორმა, მაგრამ დღეს უფრო მეტად გარეგნულ იერზე უნდა იფიქროთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**21 იანვარი:** შეიძლება სიტყვიერ გამოხატვაში პრობლემები შეგექმნათ, რადგან ძალიან ემოციური იქნებით და გრძნობების გადმოცემა გაგიჭირდებათ.

**სასწორი 23.09-22.10**
**21 იანვარი:** კოლექტივი დიდი ძალაა. შესაძლოა, ცალ-ცალკე შედეგით უკმაყოფილო იყვნენ, მაგრამ მთლიანობაში ყველაფერი კარგად გამოვა.

**მორიელი 23.10-21.11**
**21 იანვარი:** არავითარ შემთხვევაში არ წამოიწყოთ საქმე, რომელსაც კარგად არ აწონ-დაწონით. ნებისმიერი გაუაზრებელი ქმედება სავალალო შედეგებს მოგიტანთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**21 იანვარი:** სამწუხაროდ, შესაძლოა, თქვენთვის მნიშვნელოვანი საქმის გადადება და ვილაცის პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვა მოგიწიოთ. არჩევანი თქვენზეა.

**თხის რქა 22.12-19.01**
**21 იანვარი:** ეჭვი არავის შეეპარება, რომ ყველა საქმეში მაგარი ხართ. შესაძლოა, ასეც არის. ყოველ შემთხვევაში, დღეს ძალიან ბევრი რამე კარგად გამოგივათ.

**მერწყული 20.01-18.02**
**21 იანვარი:** სამსახურებრივ რომანებს მოერიდეთ. თუ ასეთ შარში უკვე გაეხვიეთ, ყველაფერი იღონეთ, რომ თქვენი ურთიერთობები საიდუმლოდ შეინახოთ.

**თევზები 19.02-20.03**
**21 იანვარი:** შესაძლოა, რთული დღე აღმოჩნდეს. სიტუაციიდან გამომდინარე, ოჯახის წევრები, ან მეგობრები დაგეხმარებიან. უცნობ ადამიანებთან ურთიერთობას მოერიდეთ.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!
დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
577 74 99 89
„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი
(15 საათიდან)

## სტრესი მიიღეთ? მიირთვით... მჟავე კიტრი



თუკი ამ მოსაზრებაში სიმართლის იოტისოდენა მარცვალი მაინც არის ჩადებული, გამოდის, რომ სხვადასხვა ანტიდეპრესანტით და ზოგადად, წამლებით გაჭყეპა აღარავის მოუწევს – სტრესს მიიღებს? მჟავე კიტრს „მისცხებს“ და მეორე დღეს ნერვიც აღარ გაუტოკდება.

რაც მთავარია, ამერიკელი მეცნიერები ამტკიცებენ, იოტისოდენა კი არა, ისეთი მართლები ვართ, წყალი არ გაუვა ჩვენი კვლევის შედეგებსო.

მათი განმარტებით, მარილიანი საკვების დახმარებით, შესაძლებელია მღელვარებისა და სტრესის განადგურება.



რომ დავაკონკრეტოთ, კვლევამ აჩვენა, რომ ყველა მარილიან საკვებში და მით უმეტეს, დამწნილებულ კიტრში, დიდი რაოდენობით ნატრიუმი მოიპოვება, ნივთიერება, რომელიც ჰორმონ ანგიოტენზინის გამომუშავებას ამცირებს და ამით სხვა ჰორმონის – ოქსიტოცინის რაოდენობას ზრდის.

პირველი ჰორმონი მღელვარებასთანაა კავშირში, მეორე პირიქით – სიმშვიდესთან. შესაბამისად, ორგანიზმის დაწყნარებას ახერხებს.

– შედეგი ის არის, რომ სტრესი მინიმუმ მცირდება მაინც, თუ მთლიანად არ ქრება, – ასკვნიან ამერიკელი სპეციალისტები.

უნდა ითქვას, რომ ექსპერიმენტებში ლაბორატორიული თაგვები მონაწილეობდნენ, მაგრამ კონტინენტსგაღმელები ამტკიცებენ, რომ ანალოგიურ გავლენას ახდენს მლაშე საკვები ადამიანებზეც.

ჰოდა, მიირთვით მჟავე კიტრი და დაემშვიდობეთ ნერვების შლას და მამაძაღლ დეპრესიას.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*myjane.ru*



ორსულ ქალს ბევრი ნაყინის ჭამა ურჩიეს. გავიდა დრო და ექოსკოპისტმა მის მუცელში ასეთი სურათი დაინახა: ტყუპები მუცელში ვარჯიშობენ, ერთი მეორეს ამშვიდებს:

– არ შეგეშინდეს, გადავიტანთ ამ ზამთარს!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
»211359457
გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.45